

**Sieg Heil!**

A3



ბრიტანელი რეჟისორის ქართული თავგადასავალი

A7



უიღბლობა თუ ალბიონთან გაუცხოება?

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 21 ოქტომბერი, 2006 წელი. №234 (1386)

ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

**თიბისი-ფოსტა**

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 21/10 | 22/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | 20 |
| ბათუმი | 25 | 22 |
| სოხუმი | 23 | 23 |
| ქუთაისი | 25 | 23 |
| გორი | 17 | 16 |
| ონი | 15 | 16 |
| ზუგდიდი | 26 | 23 |
| ახმეტა | 18 | 19 |
| სამტრედია | 25 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7435 |
| ევრო | 2.1895 |
| ბირთვანქა სტერლ. | 3.2445 |
| რუბლი | 0.0647 |



| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |



# ერთიანი ფრონტით რუსეთის წინააღმდეგ

## ევროპა ენერგოდამოუკიდებლობის, თავისუფალი სიტყვისა და საქართველოს დასაცავად ერთიანდება, თუმცა...

*ენერგორესურსების თავისუფალი მიწოდების უზრუნველყოფა, ბუნებრივია, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა დღეს ევროპისათვის. მის მისაღწევად კი - "ერთიანი, თანაც მტკიცე პოზიციის" დაფიქსირება რუსი ლიდერის წინაშე, თუნდაც საქართველოსა და საკუთარი ჟურნალისტების მისამართით სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ, - ერთ-ერთი ტაქტიკური სვლა. ოფიციალური ინფორმაცია გუშინ გვიან ღამემდე არ არსებობდა, თუმცა საფიქრებელია, რომ ლაჰტის სადილზე პუტინს "ერთიანი ხმით" დასმულ საკმაოდ უხერხულ კითხვებზე მოუწია პასუხის გაცემა. თუმცა, რა მოჰყვება ამ კითხვა-პასუხს, მომავალი გვიჩვენებს.*



ნიკა თარაშვილი

ლაჰტი საკმაოდ პატარა ქალაქია, ასეთივე პატარა ფინეთში, თუმცა, გუშინ იგი "დიდი პოლიტიკის" არენად იყო გადაქცეული. გუშინ ამ პატარა ქალაქის უმნიშვნელოვანეს შენობაში, სიბელიუსის სასახლეში დილიდან უჩვეულო ხალხმრავლობა იყო. ევროკავშირის არაოფიციალური სამიტის ფარგლებში 25 ქვეყნის სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაური მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა საერთო ენის გამონახვას საშიშ "პარტნიორთან" - ვლადიმირ პუტინთან მოსალოდნელ შეხვედრამდე.

უთანხმოების რისკი მართ-

გაგრძელება A3 გვერდზე

# პუტინი მკვლელობებით მიიწევს წინ

## დროა, რუსეთის ლიდერის შემოტევას პირისპირ დავუდგეთ

ანდერს ასლუნდი
*„უიკლი სტანდარდი„ (აშშ)*

რუსეთში "განგსტერებს" უჩვეულო ტრადიცია აქვთ - დაბადების დღეზე იუბილარს მოკლულ მტერს უძღვნიან. ერთ დღესაც, როდესაც ვლადიმირ პუტინს 54 წელი შეუსრულდა, მოსკოვში, საკუთარი სახლის სადარბაზოში, მოკლეს ანა პოლიტკოვსკაია. ის მიეკუთვნებოდა ქვეყნის შიგნით კრიტიკოსთა რიცხვს. პოლიტკოვსკაია მუშაობდა "ნოვაია გაზეტაში", რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა. ორი წლის წინ მისი მთავარი რედაქტორის მოადგილეც მოკლეს, თუმცა მკვლელს დღემდე ვერ მიაკვლიეს.

პოლიტკოვსკაიას "ფსბ" რამდენიმე წელი უთვალთვალებდა. მისი მკვლელობა სახლთან დაყენებულმა კამერამ გადაიღო, მაგრამ მკვლელმა მიმალვა მაინც მოახერხა. კრემლს არასდროს გაუკეთებია კომენტარი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ მკვლელობის საქმეს პირად კონტროლზე აიყვანს, თუმცა მსგავსი საქმეები იშვიათად სრულდება დაპატიმრებებით.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "საგარეჯო" თეთრებით იწყებს

## დავექიდოთ პუტინს!




# ვარიაციები საკონსტიტუციო ცვლილებების თემაზე

*პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გამოდის საკანონმდებლო ინიციატივით, რომ მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წელს ერთდროულად ჩატარდეს. პრეზიდენტის თქმით, ყოველწლიურად არჩევნების ჩატარება ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული და, ამდენად, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების "გაერთიანება" ორგანიზაციული საკითხების მოგვარებასაც გაადვილებს და ქვეყანას ფულის ზედმეტად ხარჯვასაც თავიდან ააცილებს. "ხალხმა განსაჯოს, ვინ უნდა იყოს პრეზიდენტი და ვინ, - პარლამენტარი, მაგრამ განსაჯოს ერთად. საჭიროა ხელისუფლების ერთიანობა. პრეზიდენტის და პარლამენტის გაყოფა არ შეიძლება. ჩვენ არ გვინდა მოქიშპე ხელისუფლება," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტი გამოთქვამს იმედს, რომ საპარლამენტო უმრავლესობა მის საკანონმდებლო ინიციატივას მხარს დაუჭერს.*

გიორგი ასანიშვილი

საკონსტიტუციო ცვლილებების იდეამ, როგორც სავარაუდო იყო, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში შეხედულებების პოლარიზაცია გამოიწვია. მიხეილ სააკაშვილის ინიციატივას პროსახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები რომ მწვანე შუქს აუნთებენ, ამაში ეჭვი არავის ეპარება. სამაგიეროდ, არჩევნების ერთად ჩატარების იდეას კატეგორიულად არ ეთანხმება ოპოზიცია, რომელიც პრეზიდენტის განზრახვაში, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკურ ეშმაკობას ხედავს.

ხელისუფლების ოპონენტები ვარაუდობენ, რომ მმართველ გუნდს მომავალი საპარლამენტო არჩევნების ეშინია, რადგან შესაძლოა ამომრჩევლის მაღალი მხარდაჭერა ვერ მიიღოს.

"მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი ფიქრია ჩიხრაძე პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას "ტრიუკს" უწოდებს და ამტკიცებს, რომ დემოკრატიის ანაბანა სწორედ არჩევნების ცალკ-ცალკე ჩატარებაში მდგომარეობს.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დღეს "24 საათში"

# Weekend

შაბათ-კვირა, №19
21-22 ოქტომბერი, 2006




# ფონდის საქმის გამოძიება გრძელდება

## პროკურატურის ვარაუდით, ბრალდებულთა სია გაიზრდება

*საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის 21 თანამშრომელი ბრალდებულია. თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში, ქრთამის აღებასა და თაღლითობაში ბრალდებულ თანამდებობის პირებს მართლმსაჯულებამ წინასწარი 2-თვიანი პატიმრობა შეუფარდა, გარდა ფონდის ყოფილი გენერალური დირექტორისა. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ზაზა სოფრომაძეს აღმკვეთ ღონისძიებად გირაო დაუწესა - 50 ათასი ლარი ზაზა სოფრომაძემ შვიდი დღის ვადაში უნდა გადაიხადოს. თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული ზაზა სოფრომაძე თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და აცხადებს, რომ შეძლებს, სიმართლე დაამტკიცოს.*

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში გამოძიება 22 სექტემბერს დაიწყო - ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, სახელმწიფო ქონების დაუფლების ფაქტზე. გამოძიების დაწყებას საფუძვლად ოპერატიული ინფორმაცია დაედო, რომლის თანახმად, სხვადასხვა დაწესებულებები, 8 თვის ფეხმძიმე ქალების მონაცემების გამოყენებით, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან დიდი ოდენობით თანხებს ითვისებდნენ. მითვისებულმა სახელმწიფო თანხამ ჯერჯერობით ნახევარ მილიონს გადააჭარბა.

ფონდის ყოფილი გენერალური დირექტორის ზაზა სოფრომაძის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობაში დარწმუნებულია. ადვოკატ მიტროფანე სტურუას განცხადებით, ზაზა სოფრომაძის მუშაობის პერიოდში მან ეჭვქვეშ დააყენა იმ შპს-ების მოქმედებების კანონიერება, რომლებიც, დღეს ფინანსური პოლიციის მიერ ეჭვმიტანილ ორგანიზაციებად არიან დასახელებული. ადვოკატის თქმით, მას ხელთ აქვს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გაგრძელება A4 გვერდზე

## დსთ-ს მორიგი სამიტი მინსკის ნაცვლად ასტანაში გაიმართება

"ნეზავისიმაია გაზეტა" რუს ექსპერტებზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ სამიტის ჩატარების ადგილის შეცვლა ბელორუსის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს მიერ ბოლო პერიოდში რუსეთთან ურთიერთობებში დაშვებული შეცდომებით არის განპირობებული. ყაზახეთის ხელისუფლება კი ბელორუსის პრეზიდენტზე მას შემდეგ განაწყენდა, რაც ლუკაშენკომ ყაზახი ექსპერტების მიერ მომზადებული დსთ-ს რეფორმირების პროგრამა დაიწუნა.

სწორედ ამიტომ, რუსეთის და ყაზახეთის ინიციატივით გადაწყდა, რომ დსთ-ს სამიტი ოქტომბრის ნაცვლად, ნოემბერში ასტანაში ჩატარდება. ექსპერტები დაპირისპირებას რუსეთის მთავარი სანიტრის, გენადი ონიშენკოს ბოლო დროინდელ განცხადებებსაც უკავშირებენ. ონიშენკოს მტკიცებით, ბელორუსი, უკრაინა და აზერბაიჯანი საქართველოსა და მოლდოვასთან ფარულად შეთანხმდენ, რომ აკრძალული ქართული და მოლდავური ღვინო რუსეთის ტერიტორიებზე სწორედ მათი საბაჟოების გავლით, კონტრაბანდული გზით შევა, იტყობინება გაზეთი.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი ხუთშაბათს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ის დსთ-ს მომავალ სამიტს აუცილებლად დაესწრება, რადგანაც "ჩვენ არც ერთ ტრიბუნაზე და დიალოგის არც ერთ საშუალებაზე არ ვიტყვით უარს".

**პრაიმ-ნიუსი**

## მეთიუ ბრაიზა აფხაზეთის დე-ფაქტო პარლამენტის ინიციატივას გმობს

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლების ინიციატივა, რუსეთმა "რესპუბლიკის" დამოუკიდებლობა აღიაროს, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ევროპისა და ევრაზიის საკითხებში მეთიუ ბრაიზამ დესტაბილიზაციის გამომწვევ ინიციატივად შეაფასა.

ბრაიზამ რუსულ საინფორმაციო სააგენტო '"იტარ-ტასთან" საუბრისას დაგმო დე-ფაქტო რესპუბლიკის პოზიცია და განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თუ ყველა საკითხი მოლაპარაკებების მაგიდასთან გადაწყდება და არა - ცალმხრივად.

სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების პარლამენტმა აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით რუსეთის პრეზიდენტსა და ფედერალურ საბჭოს 18 ოქტომბერს მიმართა. უფრო ადრე კი, ანალოგიური თხოვნა რუსეთის სათათბიროს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ყველა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაუგზავნა.

**ინტერპრესნიუსი**

## თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

*მედია პროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემას უძღვება ჟურნალისტი ზვიად ქორიძე, ხოლო გადაცემის სტუმრები არიან, ფრაქცია "მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე და რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი.*

**ზვიად ქორიძე:** საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად ჩატარდება. "ხალხმა უნდა განსაჯოს, ვინ უნდა იყოს საქართველოს პრეზიდენტი და ვინ უნდა იყოს ქვეყნის პარლამენტში. საჭიროა ხელისუფლების ერთიანობა, პრეზიდენტისა და პარლამენტის გაყოფა არ შეიძლება. ჩვენ არ გვინდა მოქიშპე ხელისუფლება". ასეთია პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომელმაც თავისი საპრეზიდენტო ვადა 9 თვით შეამცირა. ჩვენთან სატელეფონო ხაზზეა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი, ფრაქცია "მრეწველების" ერთ-ერთი ლიდერი, ბატონი ზურაბ ტყემალაძე. ბატონო ზურაბ, პრეზიდენტის ინიციატივა პარლამენტში უკვე შემოვიდა?

**ზურაბ ტყემალაძე:** პრეზიდენტის ინიციატივა პარლამენტში ჯერ არ შემოსულა.

**ზ.ქ.** რა არის ეს ინიციატივა და თქვენი წარმოდგენით, რას უნდა ნიშნავდეს ის?

**ზ.ტ.** ჩემი წარმოდგენით ეს არის ის, რომ ორივე არჩევნები ერთად ჩატარდეს. სხვათაშორის ძალიან იშვიათია, როდესაც პრეზიდენტი თვითონ ითხოვს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას.

**ზ.ქ.** ეს პრეზიდენტის მხრიდან გამოჩენილი ავტორიზმია?

**ზ.ტ.** რა თქმა უნდა, გარანტირებული არავის არაფერი არ აქვს. პრეზიდენტი მიდის ვადამდელ არჩევნებზე იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ მიიღოს დასტური ამომრჩევლებისგან, უჭერენ მას მხარს, თუ არა.

**ზ.ქ.** ეს არის რისკი?

**ზ.ტ.** დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება არ იყოს, თუმცა არავინ არ იცის, წელიწად ნახევარში რა მოხდება. ასე, რომ თავისთავად რისკი არის.

**ზ.ქ.** რა შეიძლება მოხდეს წელიწადნახევარში?

**ზ.ტ.** ბევრი რამ შეიძლება მოხდეს. შეიძლება პრეზიდნტის რეიტინგმა დაიწიოს, ან პირიქით, აიწიოს. ნდობის ფაქტორი შეძლება უფრო მეტად მოიპოვოს, ან დაკარგოს და ა. შ.

**ზ.ქ.** თქვენი აზრით, რამ შეიძლება შეუწყოს ხელი რეიტინგის მატებას, ან პირიქით, კლებას?

**ზ.ტ.** იცით, რომ ამ ეტაპზე ძალიან რთული სიტუაციაა რუსეთთან მიმართებაში. ასევე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხითაც. აღნიშნული პრობლემებიდან გამოსავლის მოძებნა, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის რეიტინგს აწევს, თუ გამოსავალს ვერ ვიპოვით, ამას შესაძლოა საპირისპირო მოჰყვეს, ანუ პრეზიდენტის რეიტინგმა დაიწიოს.

**ზ.ქ.** თქვენ ხედავთ იმის საფრთხეს, რომ თუ საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის მარტში დაინიშნა, შეიძლება სააკაშვილმა წააგოს?

**ზ.ტ.** ამის საფრთხე ყოველთვის არის. წელიწადნახევრით ადრე იმის თქმა, ვინმე მოიგებს თუ წააგებს არჩევნებს, დამერწმუნეთ, ნამდვილად გულუბრყვილო იქნება.

**ზ.ქ.** საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთად დანიშვნა ხომ არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილი უკვე აცხადებს, რომ ის ლოკომოტივად ჩაუდგება თავის პარტიას?

**ზ.ტ.** პრეზიდენტი თავის პარტიას ყოველთვის უდგას ლოკომოტივად, რადგან ის არის ამ პარტიის თავმჯდომარე. როგორც იცით, შეიცვალა კონსტიტუაცია და პრეზიდენტს ამის უფლება აქვს. ასე, რომ ეს გამორიცხული არ ყოფილა. თვითმმართველობის არჩევნებზეც კი იყო პრეზიდენტი თავისი პარტიის ლოკომოტივი.

**ზ.ქ.** პრეზიდენტის ინიციატივას, თავისი მნიშვნელობის მიუხედავად, ოპოზიცია მაინც ბოიკოტს უცხადებს?

**ზ.ტ.** ჯერ ინიციატივა უნდა შემოვიდეს პარლამენტში. შემდეგ დავიწყოთ განხილვა კომიტეტებში. ამას საკონსტიტუციო ცვლილება ჭირდება. საკონსტიტუციო ცვლილებას კი, პროცედურის დაწყება. მერე ერთთვიანი განხილვა. საზოგადოებრივი განხილვა უნდა მოეწყოს. ამას დიდი დრო ჭირდება და მაგ დრომდე რაიმე გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**ზ.ქ.** თქვენ ელოდებით აღნიშნულ კანონპროექტს თუ კანონპროექტის დასაბუთებას?

**ზ.ტ.** რა თქმა უნდა, კანონპროექტს, რომელსაც მოყვება თავისი არგუმენტაცია, ანუ განმარტებითი ბარათი. ვნახავთ, წავიკითხავთ და მივიღებთ განსახილველად. კანონპროექტს განიხილავს პარტიის მთავარი კომიტეტიც და ფრაქციაც. რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ.

**ზ.ქ.** თუმცა, პრეზიდენტს უმრავლესობის მხრიდან სრული მხარდაჭერა აქვს...

**ზ.ტ.** რა თქმა უნდა, უმრავლესობის მხრიდან სრული მხადაჭერა აქვს. აღნიშნული კანონპროექტის გატანაზე პრობლემა არ ექნება, მაგრამ მნიშვნელოვანია ოპოზიცია როგორ ჩამოყალიბდება.

**ზ.ქ.** ჩვენთან სატელეფონო ხაზზეა გადაცემის მეორე სტუმარი, რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დავით ბერძენიშვილი. ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ დაიწყო ზრუნვა ბიუჯეტზე?

**დავით ბერძენიშვილი:** ერთ-ერთი საფუძველი, რა თქმა უნდა, ესეც არის. ამდენი ფული მოსაპარი არ არის საქართველოს ბიუჯეტში. მათ ძალიან ძვირი დაუჯდათ თვითმმართველობის არჩევნები. ძალიან ბერვი ფული მოპარეს ხალხს. ეს არის ზუსტად ერთ-ერთი მიზეზი, თუმცა ბუნებრივია, არის სხვა მიზეზებიც.

**ზ.ქ.** ანუ, ეს მიზეზი შეიძლება ჩავთვალოთ პოზიტიურ მიზეზად?

**დ.ბ.** არ არის ეს პოზიტიური მიზეზი. გარდა ამისა, არის სხვა მიზეზებიც. პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი გუნდის უპასუხისმგებლო, პოპულისტური ქმედებების გამო, ჩვენს საზოგადოებაში უკმაყოფილება იზრდება. თვითმმართველობის არჩევნებმა დაადასტურა, რომ პოლიტიკურმა ოპოზიციამ, კერძოდ, ჩვენმა ბლოკმა, საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. გაცილებით მაღალი შედეგი, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცეში ოპოზიციურ ძალას მიუღია. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ხელისუფლება შეშფოთებულია. პრეზიდენტმა, საპარლამენტო ლიდერები ვერ გამოაჩინა თვითმმართველობის არჩევნებზე. ვერც მაია ნადირაძე, ვერც მისი მოადგილეები ბოკერია და სამყურაშვილი. ამიტომ მას სურს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების ჩრდილქვეშ ჩაატაროს საპარლამენტო არჩევნები.

# ვარიაციები საკონსტიტუციო ცვლილებების თემაზე

პირველი გვერდიდან

**"2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში "ნაციონალურ მოძრაობას" ძალიან მძიმე ბედი ელოდა და ამის კვალობაზე, მიხეილ სააკაშვილის მეორე ვადით ასარჩევად, ასევე მძიმე ფონი იქმნებოდა,"** - ასეთ ახსნას აძლევს ფიქრია ჩიხრაძე პრეზიდენტის გადაწყვეტილებას.

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარის მოადგილე დავით ზურაბიშვილი კი გაურკვევლობაშია. მისთვის გაუგებარია, საკანონმდებლო ინიციატივა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ცალკცალკე, მაგრამ ერთ დღეს გამართვას გულისხმობს თუ იქნება ერთი ბიულეტენი და ჩაითვლება, რომ ვინც მიხეილ სააკაშვილს დაუჭერს მხარს, ამავდროულად, "ნაციონალური მოძრაობის" 100-კაციან პროპორციულ სიასაც მისცემს ხმას. ზურაბიშვილის თქმით, მისთვის ორივე ვარიანტი მიუღებელია.

**"პირველ შემთხვევაში პრეზიდენტი მაინც თვითონ ირბენს და სულ ის იქნება ტელევიზორში. თუმცა, ეს შედარებით ნაკლები უბედურებაა. მეორე გაცილებით უარესი ვარიანტია, რადგან თურქმენეთსა და უზბეკეთს დავემსგავსებით,"** - მიიჩნევს ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე. "24 საათთან" საუბარში დავით ზურაბიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ "თუ გვინდა, ნორმალური ქვეყანა ვიყოთ, კონსტიტუციისადმი ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია".

**"დარწმუნებული ვარ, ჩვენს პრეზიდენტს გულწრფელად არ ესმის, რომ კონსტიტუცია მის სურვილებზე მაღლა დგას. მისთვის ის არის დოკუმენტი, რომლის გადასწორება და ჩასწორება ყოველთვის შეუძლია,"** - აცხადებს პარლამენტარი.

გაცილებით უფრო მწვავე შეფასებებს აკეთებს "დემოკრატიული ფრონტის" ლიდერი ზვიად ძიძიგური. მისი თქმით, "სააკაშვილს ლუკაშენკოს სინდრომი დაეწყო".

**"მიხეილ სააკაშვილმა გადაწყვეტილება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გათვალისწინებით მიიღო. 5 ოქტომბერს ის დარწმუნდა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა დაბალი იყო და მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ოპოზიციას მისცა ხმა. ამიტომ, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ერთად ჩატარებით, სააკაშვილი ოპოზიციას არანაირ შანსს აღარ უტოვებს,"** - შენიშნავს ძიძიგური. თუმცა, მისივე აღიარებით, პრეზიდენტ სააკაშვილის რეიტინგი მართლაც მაღალია და აქედან გამომდინარე, "მას აქვს შანსი, ისეთი ბალასტი, როგორიც საპარლამენტო უმრავლესობაა, კიდევ ერთხელ გაათრიოს პარლამენტში".

შედარებით ზომიერია "დემოკრატიულ ფრონტის" კიდევ ერთი წევრის, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილის კომენტარი. მართალია, იგი აცხადებს, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ერთდროულად ჩატარების იდეა "გონივრულად" არ ეჩვენება, მაგრამ იქვე დასძენს, რომ საბოლოო დასკვნები მხოლოდ მას შემდეგ უნდა გაკეთდეს, როდესაც კანონპროექტი პარლამენტში გადაიგზავნება.

"წავიკითხავთ კანონპროექტს, იქნებ პრეზიდენტი გვარწმუნებს, რაიმე ჭკვიანურს ვამბობო," - პაუზის აღებას ამჯობინებს ლევან ბერძენიშვილი.

საკონსტიტუციო ცვლილებს არც ფრაქცია "მრეწველების" თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ცაგარეიშვილი მიესალმება. იგი მოითხოვს, რომ ცვლილებები სულ სხვა მიმართულებით განხორციელდეს.

**"საპრეზიდენტო ინსტიტუტმა ვერ გაამართლა. ეს ინსტიტუტი საცდელ პოლიგონს წარმოადგენს და ეს ცდები მოსახლეობაზე ტარდება. საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუტი საერთოდ უნდა გაუქმდეს და ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბდეს,"** - აცხადებს გიორგი ცაგარეიშვილი.

ის, რაც ოპოზიციას აღაშფოთებს, უმრავლესობას აღაფრთოვანებს: საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივას "უპრეცედენტოს" უწოდებს და აცხადებს, რომ მაშინ, როდესაც ქვეყანას გარედან რთული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია ექმნება, მიხეილ სააკაშვილმა, საკუთარი საპრეზიდენტო ვადის შემცირების ხარჯზე, პრაგმატული გადაწყვეტილება მიიღო.

ნადირაძე ხელისუფლების ოპონენტების შეფასებებში ვერანაირ ლოგიკას ვერ ხედავს და დარწმუნებულია, რომ "ოპოზიცია კომენტარებს რეფლექსების დონეზე აკეთებს".

**"პრეზიდენტის მიზანია, საქართველო წარმატებული ქვეყანა იყოს. ოპოზიციას კი, როგორც ჩანს, სხვა სურვილები აქვს. მას პრეზიდენტად ნათელაშვილის ხილვა სურს, პარლამენტში კი - მხოლოდ გამყრელიძის,"** - ამტკიცებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი.

დადებითად აფასებს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას მადრიდში მყოფი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც.

**"პრეზიდენტი, პრაქტიკულად, თმობს თავისი უფლებამოსილების ვადის ნაწილს, რათა ქვეყანა პერმანენტული საარჩევნო პროცესიდან სამუშაო რეჟიმში გადავიდეს,"** - აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

მისი ვარაუდით, ინიციატივას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება, თუმცა, ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ საკანონმდებლო ცვლილებას პარლამენტი აუცილებლად დაამტკიცებს.

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს კი საკონსტიტუციო ცვლილებების თემა შაყირის ხასიათზე აყენებს. **"პრეზიდენტის გადაწყვეტილება ოპოზიციას ორ დარტყმას აცილებს და 2008 წელს ის მხოლოდ ერთ, "გაერთიანებულ" დარტყმას მიიღებს,"** - პოლიტიკური ოპონენტებისთვის გათვალისწინებულ "შეღავათიან პირობებზე" ამახვილებს ყურადღებას კოტე გაბაშვილი.

# კონდოლიზა რაისის აზიური ტურნე სიგნალი ჩრდილოეთ კორეისთვის

ხათუნა ბაბიევი



*ჩინეთის საკმაოდ რადიკალური პოზიცია კონდოლიზა რაისის აზიური ტურნეთიც აიხსნება.*

ჩრდილოეთ კორეაში ჩინეთის სპეციალური წარგზავნილის თქმით, ოფიციალური ფხენიანის ლიდერმა კიმ ჩენ ირმა მასთან საუბარში დაადასტურა, რომ მისი ქვეყანა აღარ გამოცდის ბირთვულ იარაღს. თავად ის ფაქტი, რომ ჩინეთი, რომელიც ჩრდილოელი მეზობლის უახლოესი მოკავშირეა, უკვე საკმაოდ შეშფოთებას გამოთქვამს ჩრდილოკორეული ბირთვული პროგრამის გამო, უკვე მეტყველებს საფრთხის იმ სიღრმეზე, რაც საერთაშორისო თანამეგობრობას შეიძლება დაემუქროს პრევენციული ზომების ან გნებავთ სანქციების განუხორციელებლობის შემთხვევაში. სამხრეთკორეული საინფორმაციო სააგენტო "ენჰალ"-ის თანახმად, ჩინეთის წარგზავნილმა ტან ძიასიუანმა კიმ ჩენ ირს ახალი გამოცდებისგან თავის შეკავება ურჩია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩინეთი ჩრდილოეთ კორეას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნავთობის მიწოდებას შეუწყვეტს.

**"საბედნიეროდ, ამჯერად ჩემი ვიზიტი უშედეგო არ ყოფილა,"** - განაცხადა ფხენიანში კიმ ჩენ ირთან შეხვედრის შემდეგ ჩინეთის წარმომადგენელმა, მაგრამ თავი შეიკავა ვიზიტის მიზნის დეტალების გამჟღავნებისგან. თუმცა, ტან ძიასიუანის ვიზიტის ძირითად მიზანზე, მოგვიანებით, თავად ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ისაუბრეს, სადაც აღნიშნეს, რომ ოფიციალური პეკინის მთავარი ამოცანა ჩრდილოეთ კორეის დათანხმება იყო ექვსმხრივ მოლაპარაკებებში ჩართვაზე, რომელიც 2005 წლის ბოლოს შეჩერდა.

ჩინეთის საკმაოდ რადიკალური პოზიცია კი გარკვეულწილად კონდოლიზა რაისის აზიური ტურნეთიც აიხსნება. ამ უკანასკნელმა რეგიონის ქვეყნებში ვიზიტს, რომლის ფარგლებში პეკინსაც ეწვია, ჩრდილოეთ კორეისთვის "ხმამაღალი სიგნალი" უწოდა. ჩინეთი, თავის მხრივ, აშშ-ს სახელმწიფო მდივანს დაპირდა, შეასრულოს ყველა ის ვალდებულება, რომელთა დაცვაც სავალდებულოა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული სანქციების განხორციელებისთვის. ადრე კი ოფიციალური პეკინი ჩრდილოეთ კორეის მიმართ თავშეკავებული ქმედებების მომხრე იყო, რასაც მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების საფრთხის თავიდან აცილებით ხსნიდა. თუმცა, როგორც სამხრეთ კორეაში ყოფნისას კონდოლიზა რაისმა ახსნა, სანქციები არა მდგომარეობის ესკალაციის, არამედ ბირთვული ნედლეულის გაუვრცელებლობის მიზნით არის შემოღებული.

სეულში შეხვედრაზე ჩრდილოკორეულ კრიზისსა და მისი გადაჭრის გზებზე ისაუბრეს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა, სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გაერო-ს მომავალმა გენერალურმა მდივანმა ოან გი მუნმა და იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ტარო ასომ. თუმცა, როგორც თავად კონდოლიზა რაისი აცხადებს, მისი მიზანი სულაც არაა თავს მოახვიოს რეგიონის ქვეყნებს რამე დირექტივა, უბრალოდ იგი ცდილობს, მოლაპარაკებაში ჩართული ყველა მხარე სასწრაფოდ დააბრუნოს მოლაპარაკებების მაგიდასთან.

**"აშშ-ს არ სურს რამე ისეთის გაკეთება, რაც კრიზისს კიდევ უფრო გაამწვავებს. ვარაუდი იმისა, რომ ჩვენ 1718-ე რეზოლუციის გამოყენება კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის გართულებისთვის გვინდა, მცდარია. ჩვენ უბრალოდ გვინდა, რომ რეზოლუცია მაქსიმალურად შესრულდეს. თუმცა, ჩრდილოეთ კორეის მხრიდან აგრესიული ქმედებების შემთხვევაში აშშ თავის მოკავშირეებს დაიცავს,"** - აღინიშნა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა სეულში შეხვედრის დამთავრების შემდეგ.

შეგახსენებთ, კონდოლიზა რაისის აზიური ტურნე მოსკოვში ვიზიტით დასრულდება.

გაერო-ს მიერ სანქციების დაწესებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ერთსულოვანი მოწოდების ფონზე ჩრდილოეთ კორეა ოფიციალურ განცხადებებში ამბობს, რომ მზადაა, კვლავ დაუბრუნდეს ექვსმხრივ მოლაპარაკებებს და აღარ ჩაატაროს ბირთვული გამოცდა, მაგრამ სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს ფხენიანის გენერალიტეტის განწყობა და კომენტარები. როგორც ჩრდილოკორეული შეიარაღებული ძალების გენერალმა რი ჩან ბოკმა ამერიკელ ტელეჟურნალისტებთან ინტერვიუში აღნიშნა, მის ქვეყანას აუცილებლად სჭირდება ბირთვული იარაღი ქვეყნის დასაცავად და ჯორჯ ბუში ჩრდილოეთ კორეას მუხლებზე ვერ დააჩოქებს.

**"ჩრდილოკორეელი ხალხის სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ არ მოგვწონს აშშ-ს ჩვენდამი დამოკიდებულება, რადგან ამერიკელები ჩვენ ჯერ კიდევ მიგვაკუთვნებენ "ბოროტების ღერძს" და ჩვენი ხელისუფლების წარომადგენლებს ტირანებს უწოდებენ, რომლებიც საკუთარ ხალხს აშიშმილებენ. ამერიკის შეერთებული შტატები თუ პოლიტიკას არ შეცვლის - ომი გარდაუვალია,"** - აცხადებს ჩრდილოკორეელი გენერალი.

თეთრი სახლის წარმომადგენლის ტონი სნოუს თქმით, აშშ-ს სულაც არ სურს ჩრდილოეთ კორეისთვის შეურაცხყოფის მიყენება, არამედ ცდილობს მის ინტეგრაციას საერთაშორისო საზოგადოებაში მისი ეკონომიკის, უსაფრთხოების სისტემისა და მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაუმჯობესების გზით.

## მოკლედ

### რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აგრესიას აღარ ერიდება

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განცხადებით, "რუსეთმა შესაძლოა, არ თქვას უარი სუვერენულ სახელმწიფოს მიმართ აგრესიაზე".

სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტებით, ამას ადასტურებს რუსეთის მიერ ქართული მხარის კონსტრუქციულ წინადადებებზე უარის თქმა და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრების მიერ საქართველოსადმი წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიები.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი აღშფოთებულია ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელის ედუარდ კოკოითის განცხადებით, რომლის მიხედვითაც, 28 ოქტომბერს დაიწყება ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა. ეს რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევა და სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსიის მცდელობაა, რადგან როგორც ჩანს, რუსეთი ე.წ. სამხრეთ ოსეთს უკვე თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად განიხილავს," - მიაჩნიათ სახელმწიფო მინისტრის აპარატში. **მედიანიუსი**

### მიხიელ მაჭავარიანის აზრით, ოპოზიცია არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა ხელისუფლების ოპონენტებს უპასუხა. "რა ურჩევნია ამ ხალხს - პრეზიდენტად ნათელაშვილი და პარლამენტში "ლეიბორისტები", თუ "ნაციონალური მოძრაობა" და მიხეილ სააკაშვილი. საქართველოს სჭირდება საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთიანი, ძლიერი გუნდი", - განაცხადა მაჭავარიანმა. ვიცე-სპიკერის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლების ოპონენტებმა ვერაფერი ისწავლეს და ვერაფერი დაივიწყეს. "ისინი არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებენ. მათ ვერ გადაიტანეს ის მძიმე მარცხი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ერგოთ და შესაბამისად, ვერ ისწავლეს, როგორ უნდა გააკეთონ სწორი პოლიტიკური სვლები", - განაცხადა მაჭავარიანმა. პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურსაც უპასუხა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილი ბელორუსის პრეზიდენტ ლუკაშენკოს შეადარა. "ლუკაშენკო თავი აბია", - დასძინა მაჭავარიანმა. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში ერთდროულად, 2008 წელს ჩატარდება. **ინტერპრესნიუსი**

### მიხეილ სააკაშვილი ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოვა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 15 ნოემბერს ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე სიტყვით გამოვა.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, პრეზიდენტი 14-15 ნოემბერს, სტრასბურგში ევროპარლამენტის შენობის პირველ სართულზე დაგეგმილ ქართული ღვინის გამოფენა-დეგუსტაციასაც დაესწრება.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობას ევროპარლამენტარების გარდა, ევროპის საბჭოში აკრედიტებული დიპლომატებიც მიიღებენ. **ინტერპრესნიუსი**

### ივანოვი იმედოვნებს, რომ უკრაინა საქართველოს იარაღს კანონიერად აწვდის

რუსეთის ვიცე-პრემიერი, თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი იმედოვნებს, რომ თუ უკრაინა საქართველოს იარაღს მართლაც აწვდის, ეს კანონის სრული დაცვით ხდება.

"მომბეზრდა საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების კომენტირება. იმედი მაქვს, საქართველოსა და უკრაინას შორის იარაღის მიწოდებისთვის აუცილებელი იურიდიული დოკუმენტები არსებობს," - განუცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ჟურნალისტებს.

გასულ კვირას უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატმა, "კომუნისტთა" ლიდერმა პეტრე სიმონენკომ განაცხადა, რომ უკრაინა საქართველოს იარაღს უკანონოდ აწვდის და რომ კიევიდან თბილისში 40 ტანკი უკვე გაიგზავნა. **ინტერპრესნიუსი**

### აფხაზეთი საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთი მალე დამოუკიდებლობის აღიარების მოთხოვნით ევროსაბჭოს, ევროპის უშიშროების საბჭოს, ევროკავშირსა და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს. აფხაზთა ლიდერმა ასევე განმარტა, რომ აფხაზეთი, მიუხედავად იმისა, მიიღებს კოსოვო დამოუკიდებლობას თუ არა, აღიარებას მაინც მოიპოვებს. "ე.წ. კოსოვოს ფაქტორი ჩვენთვის განმსაზღვრელი როდია. აფხაზეთი ნებისმიერ შემთხვევაში მოიპოვებს აღიარებას", - აცხადებს აფხაზთა ლიდერი. **ჯი-ეიჩ-ენი**

### აზერბაიჯანი ირანული გაზის მიღებას 2007 წლისთვის შეძლებს

აზერბაიჯანი ირანული გაზის მიღებას 2007 წლისთვის შეძლებს, - აცხადებს აზერბაიჯანის პირველი ვიცე-პრემიერი იაგუბ ეიბოვი.

მისი განცხადებით, აზერბაიჯანი ირანის მთავრობასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და რა მოცულობაზე შეთანხმდებიან, ჯერჯერობით უცნობია. როგორც ეიბოვი განმარტავს, გაზის იმპორტზე ინტენსიური მოპლაპარაკებები მიმდინარეობს, აგრეთვე, რუსეთთან.

"რუსეთი გეგმავს გაზის ფასი გაზარდოს, თუმცა ჩვენთვის ამის შესახებ არ უცნობებია და წინასწარ არ ვიცით, რა ფასს დაგვიწესებენ," - აცხადებს აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერი. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# ერთიანი ფრონტით რუსეთის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ლაც დიდი იყო. მაშინ, როცა "ახალი ევროპის წარმომადგენლები" მტკიცე პოზიციის დაფიქსირებას ესწრაფოდნენ პუტინის "უსამართლო" ქმედებებთან დაკავშირებით, "ძველი" ევროპის ერთ-ერთი ბურჯი საფრანგეთი, ისევე, როგორც მეტ-ნაკლები ხარისხით, დიდ ბრიტანეთი, რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის პერსპექტივებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

ბუნებრივია, არაფორმალური სამიტის ფარგლებში რაიმე შეთანხმების მიღწევა ან ხელშეკრულების ხელმოწერა არ იგეგმებოდა. ერთადერთი, რითიც შეხვედრის შედეგებზე ვარაუდი შეიძლება, სადილის შემდგომი პრესკონფერენცია უნდა გამხდარიყო.

პრესკონფერენცია კი აშკარად მონოლოგების სტილში წარიმართა. უთანხმოების დაძლევისკენ, ჯერჯერობით, რომ არანაირი წინსვლა არ შეინიშნება, პუტინის პირველივე ფრაზაში გამოჩნდა: **"ვფიქრობ, აბსოლუტურად სწორი იყო საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, როცა ამბობდა, რომ ჩვენ საერთო პრობლემები გვაქვს და ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავალი - მე სრულად ვეთანხმები ამ მოსაზრებას,"** - განაცხადა პუტინმა და, ფაქტობრივად, არსებულ უთანხმოებას უფრო გაუსვა ხაზი, ვიდრე ამ უთანხმოების დასაძლევად მიღწეულ პროგრესს.

ალბათ ამიტომ აცხადებდა ევ-




*პრესკონფერენცია აშკარად მონოლოგების სტილში წარიმართა.*

როკომისიის პრეზიდენტიც, რომ "ენერგეტიკის საკითხებში პოლიტიზაციას უნდა აარიდონ თავი". თუმცა, მაშინ, როცა რუსეთისთვის ენერგორესურსები, ძირითადად, პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტს წარმოადგენს და ამას არც არავინ (მათ შორის პუტინი) არ მალავს, ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება გამოსავლის მოძებნა.

მოკლედ, რუსეთი ევროპისთვის ასე სასურველი ენერგეტიკულ ქარტიის ხელმოწერას თვალსაჩინო მომავლაში არ აპირებს და, შესაბამისად, პრობლემაც, თუნდაც მისი არაპოლიტიკურ სიბრტყეში გადაყვანის შემთხვევაში, გადაუჭრელი რჩება.

რაც შეეხება ე.წ. ტაქტიკურ საკითხებს, აქაც ძნელია რაიმე დათმობაზე საუბარი რუსეთის მხრიდან. იმავე პრესკონფერენციაზე ვლადიმირ პუტინი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების კრიზისში კვლავაც ოფიციალურ თბილისს ადანაშაულებდა. რუსეთის ლიდერის თქმით, კრიზისის მთავარი მიზეზი საქართველოს უუნარობაშია, საერთო ენა გამონახოს სეპარატისტულ რეგიონებთან და არა "რუსეთის ბოროტ ზრახვებში".

**"ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ვითარება სისხლისღვრის დაწყების მიმართულებით მიდის. საქართველოს ხელმძღვანელობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას სამხედრო ძალით აპირებს, რის შესახებაც პრაქტიკულად ღიად აცხადებს,"** - ამბობს პუტინი და იქვე ხაზს უსვამს, რომ საუბარია ძალიან მცირე ერებზე, რომელთაც პრობლემები საქართველოსთან უკვე დიდი ხანია, ჯერ კიდევ 1917-1921 წ.წ. აქვთ.

**"ვისაც არ უნდა ვესაუბრო, ყველა აღნიშნავს, რომ თუ რუსეთი მოინდომებს, ხვალ ყველაფერი მოგვარდება. რუსეთი არ აიღებს თავის თავზე ასეთ პასუხისმგებლობას. ეს პირველ რიგში, ამ ხალხებისა და მათი წარმომადგენლების პასუხისგებლობაა. მათ ერთმანეთში უნდა მოილაპარაკონ და კომპრომისი გამოძებნონ,"** - აცხადებს პუტინი და სავსებით ავიწყდება ის ფაქტი, რომ ამ მოლაპარაკებებში რუსეთი ერთ-ერთი მთავარი მხარეა, ისევე როგორც ის, რომ რუსი სამშვიდობოები არიან ამ კონფლიქტის ზონებში მშვიდობის გარანტი.

**p.s.** გუშინ გვიან ღამით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავცელა ოფიციალური განცხადება, სადაც ვლადიმირ პუტინის ბრალდებებს უარყოფს.

# პუტინი მკვლელობებით მიიწევს წინ

პირველი გვერდიდან

მას შემდეგ, რაც 1999 წლიდან პუტინი შეუდგა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას, პოლიტიკური ჩავარდნების უწყვეტი ჯაჭვი წარმოიშვა. ყოველ წელს რუსეთის ხელისუფლება, უფრო და უფრო შორდებოდა ამერიკასა და ევროკავშირს, ხოლო დასავლეთის გავლენა რუსეთზე მცირდებოდა

გასულ წელს, პრეზიდენტ პუტინის სანქციით ირანს საზენიტო რაკეტები გადაეცა. შესაძლოა, სწორედ ამ რაკეტებმა ჩამოაგდონ ამერიკული F-1-ები. მან სირიას მიყიდა იარაღი, რომელიც "ჰეზბოლამ" წარმატებით გამოიყენა ისრაელის წინააღმდეგ. ერთი წლის წინ კრემლმა გამარჯვება იზეიმა, როცა უზბეკეთიდან მსხვილი ამერიკული ბაზის ევაკუირება მოხდა. დღეს ის აქეზებს ყირგიზეთს, რომ ტაშკენტის მაგალითს მიბაძოს.

ამავე დროს რუსეთის სახელისუფლებო მედია დაუღალავად ეწევა ნაციონალურ და ანტიდასავლურ პროპაგანდას. ყოველ დღე, მთავარი საინფორმაციო გამოშვების შემდეგ, სახელმწიფო პირველ არხზე ჩნდება კრემლის ერთ-ერთი პროპაგანდისტი, მიხაილ ლეონტიევი, რათა ანათემას გადასცეს დასავლეთი.

სტრატეგიულ პარტნიორად პუტინის ჩათვლა ნიშნავს, რომ იგნორირება გაუკეთო რეალობას. პუტინი მტრულ პოლიტიკას აწარმოებს ამერიკასთან და ევროკავშირთან მიმართებაში, ჩვენ გვიწევს ვუპასუხოთ გამოწვევას. მხოლოდ მშიშრები და ლაჩრები იმოქმედებდნენ სხვანაირად.

დიდი რვიანის სამიტის შემდეგ, პუტინმა შეხვედრაზე პოსტსაბჭოთა 11 ქვეყნის პრეზიდენტი დაპატიჟა, რომლებმაც არ იცოდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე, ოთხმა უარი განაცხადა შეხვედრაზე. აქედან ორმა გამოგზავნა შეტყობინება, რომ გადიოდნენ შვებულებაში. აი, პრეზიდენტ ბუშს კი მოუწია პუტინის შეურაცხყოფების ატანა (მაგალითად, პუტინის რეპლიკა: "სულაც არ გვინდა გვქონდეს ისეთი დემოკრატია, როგორიც ერაყშია".)

მთავარი პრობლემა დასავლური პოლიტიკის რუსეთთან მიმართებაში შემდეგში მდგომარეობს: ის ბოლომდე იმ იდეაზეა, რომ "ცივი ომი" წარსულს ჩაბარდა.

რუსეთმა დასავლეთთან პასიური მეგობრული კურსი შეინარჩუნა, რომელიც ელცინის გადაყენებას ეფუძნებოდა, მაგრამ პუტინი ელცინი არ არის. უფრო ზუსტად ის "ანტიელცინია". იმ თვისებებს, რაც ელცინს ქონდა, თქვენ ვერ იპოვით პუტინის ხასიათში, გარდა რამდენიმე დამთხვევისა. მაგალითად, პუტინსაც არ სურს აღორძინოს კომუნისტური იდეოლოგია, მაგრამ ამავდროულად, ზღუდავს საბაზრო ეკონომიკას.

დასავლეთში ვერ იგებენ იმას, რომ ელცინი იყო დემოკრატი. ელცინს სჯეროდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების და მასმედიის. პუტინს კი პირიქით - ის არის საიდუმლო პოლიციის ნაწილი, სადაც ის მუშაობდა.

ბერკლის უნივერსიტეტის პოლიტოლოგ სტივენ ფიშს პუტინი დეტალურად ჰყავს აღწერილი. იგი აცხადებს, რომ პუტინსაც უყვარს დემოკრატიაზე საუბარი, მაგრამ მეთოდურად ზღუდავს მას. პუტინმა გაანადგურა თავისუფალი პრესა, პარლამენტის ორივე პალატას ჩამოართვა რეალური ძალაუფლება. თავის კონტროლს დაუქვემდებარა სასამართლო და გააუქმა რეგიონების გუბერნატორების არჩევნები. თუკი ბორის ელცინმა მშვიდობიანად მოახდინა საბჭოთა კავშირის დემონტაჟი და მისცა მასში შემავალ ხალხს თავისუფლება, პუტინი ამ მოვლენას "მე-20 საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფას" უწოდებს. თავის წიგნში "პირველი პირისგან" პუტინი ამაყად საუბრობს, თუ როგორ სდევნიდა დისიდენტებს.

ელცინს ხშირად აკრიტიკებდნენ, რუსეთის ეკონომიკის ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის გამო, რადგანაც მან ეკონომიკა არ დატოვა ქვეყნისთვის უფრო საიმედო ხელში. პუტინი კი აწარმოებს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ რენაციონალიზაციას.

ელცინი თვლიდა, რომ რუსეთი მიეკუთვნებოდა თავისუფალ და დემოკრატიულ დასავლეთის ქვეყნებს. პუტინს კი, სხვა მოსაზრება აქვს. მისი კრიტიკის ობიექტებია ამერიკა და ევროკავშირი, ხოლო ჩინეთს გამუდმებით ხოტბას ასხამს.

ჩინეთს, დასავლეთისგან განსხვავებით, არ აქვს კითხვები ავტორიტარიზმზე, კორუფციაზე, ფულის გათეთრებაზე, რომელზეც პუტინს არასოდეს არ აქვს დამაჯერებელი პასუხი.

მიუხედავად მისი უკიდურესობებისა, ელცინი ერთ-ერთი ჩვენთაგანი იყო. ამიტომაც ღირდა მასთან საქმის დაჭერა, რასაც ვერ ვიტყვით პუტინზე. მატყუარას არ შეიძლება მოვექცეთ ისე, თითქოს ის წესიერი კაცი იყოს.

არის არაერთი მაგალითი იმისა, რომ ამერიკამ შეძლო, სწორი მიდგომა ეპოვა რუსეთთან მიმართებაში. პირველი: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა უკრაინა "ნარინჯისფერი რევოლუციით" ჩააყენეს დემოკრატიულ შესასვლელში და პუტინი ამას შეეგუა.

მეორე, დასავლეთმა ღია პროტესტი გამოთქვა რუსეთში იმ კანონპროექტის მიღებაზე, რომელიც ზღუდავდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას და ამის შემდეგ კანონი შეიცვალა.

მესამე, დასავლეთის აღშფოთებამ მიმდინარე წლის იანვარში რუსეთის მხრიდან უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეზღუდვის გამო, იძულებული გახადა კრემლი, დაუყოვნებლივ აღედგინა ენერგომომარაგება.

ყველა შემთხვევაში პუტინი უკმაყოფილო იყო, მაგრამ თავის ქმედებებში კორექტივები შეჰქონდა. მსგავსი სწორი დამოკიდებულების კიდევ ერთი მაგალითია, ცოტა ხნის წინ ვაშინგტონის მიერ "როსობორნექსპორტისთვის" და ავიამშენებელი ფირმა "სუხოი"-სთვის დაწესებული სანქციები. (ეს რუსული სახელმწიფო კომპანიები ირანს თანამედროვე შეიარაღებას აწვდიდნენ.)

ამ ყველაფრიდან შემდეგი გაკვეთილის გამოტანა შეიძლება: პუტინი რეაგირებს მხოლოდ საჯარო, ხმამაღალ პროტესტებზე, რომლებიც, ამავდროულად, მუქარით არის გამაგრებული. იმის ნაცვლად, რომ "ცივი ომის" დასრულების შესახებ ბანალური ჭეშმარიტება ვიქადაგოთ, უმჯობესი იქნება, გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირთან ყველაზე საუკეთესო კურსი რონალდ რეიგანს ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით ზოგი შემედავება და იტყვის, რომ რუსეთის მიმართ დასავლეთის პოლიტიკის ხასიათი უახლოეს წარსულში დიდი მნიშვნელობის მქონე არ იყო - ეს ქვეყანა მეტისმეტად სუსტი იყო იმისთვის, რომ თავზეხელაღებული ნაბიჯები გადაედგა. თუმცა, სიტუაცია შეიცვალა. თუ 1999 წელს რუსეთის მშპ დღევანდელი კურსით 200 მლნ დოლარს შეადგენდა, მიმდინარე წელს მან 920 მლრდ დოლარს მიაღწია. რუსეთის ბიუჯეტი პროფიციტული ხდება, რაც მას საშუალებას აძლევს, გადადგას თავზეხელაღებული ნაბიჯები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, როგორც ჩანს, საერთაშორისო ასპარეზზე.

დღეს რუსეთი, როგორც ჩანს, ომისათვის ემზადება დამოუკიდებელი სახელმწიფოს - ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოს წინააღმდეგ. პუტინმა პირადად, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე დაადანაშაულა საქართველო სახელმწიფო ტერორიზმში. ოთხი მაღალი რანგის რუსი მზვერავის თბილისში დაკავება მან სტალინისდროინდელი ჯალათის ლავრენტი ბერიას ქმედებებს გაუთანაბრა. რუსეთმა საქართველოდან თავისი დიპლომატებისა და სხვა მოქალქეების ევაკუაცია მოახდინა და ამ ქვეყანას თითქმის სრული ბლოკადა დაუწესა. ამჟამად კი, საქართველოს საზღვრებთან რუსული შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიანი წვრთნები ხორციელდება.

მიმომხილველთა უმრავლესობა, ელცინის ეპოქასთან პარალელის გავლებისას ამტკიცებს, რომ ამ ქმედებების მიზანი თბილისის მხოლოდ დაშინებაა. ეჭვი მეპარება. ომი - პუტინის სავიზიტო ბარათია. იგი ხომ პრეზიდენტი ერთობ საჭვო ომის, მეორე ჩეჩნური კამპანიის შედეგად გახდა. სწორედ ამ რეგიონის მცხოვრებთა წამების შესახებ სიმართლის თქმას შეეწირა ანა პოლიტკოვსკაია.

იგი ხელმეორედ აირჩიეს და ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა ოლიგარქების წინააღმდეგ ომის დაწყების საბაბით; შედეგად კომპანია "იუკოსის" ნავთობაქტივების კონფისკაცია მოახდინა.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთან ომი ლოგიკურ ნაბიჯად მოჩანს, რომელიც პუტინს საშუალებას მისცემს, ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივოს კანონით დადგენილი ვადის შემდეგაც.

ეს ყველაფერი თვალსაჩინო მტკიცებულებაა იმისა, რომ აშშ-მ აუცილებლად უნდა გამოიმუშავოს სერიოზული პოლიტიკა რუსეთის მიმართ - და ეს დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს.

# რატომ გადადის რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების სცენა გაერო-ში

თორნიკე შარაშენიძე

რუსეთის საგარეო პოლიტიკას უკვე დიდი ხანია ახასიათებს დუალიზმი. მსოფლიოს ეს უდიდესი ქვეყანა დასავლეთის მხრიდან ევროპაშია შეჭრილი, აღმოსავლეთის მხრიდან კი აზიაში. აქედან გამომდინარე, კრემლს მუდამ უწევდა როგორც აზიური, ასევე ევროპული წესებით თამაში.

ევროპული წესები უკვე მე-19 საუკუნიდან მოყოლებული შეთანხმებულ მოქმედებას გულისხმობდა. არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ ეძლეოდა უფლება, თვითნებურად ემოქმედა და დაეპყრო რაღაც ტერიტორიები. საამისოდ სხვა დიდი სახელმწიფოების ნებართვა იყო საჭირო.

მაგრამ აზიაში ამგვარი წესები არ არსებობდა. საერთაშორისო ურთიერთობათა იქაური წესები ძირითადად წესების არარსებობაში მდგომარეობდა. წესების არარსებობისა და ანარქიის პირობებში კი ძლიერი სახელმწიფოები განუკითხავად ჩაგრავდნენ სუსტებს. ეს ხელ-ფეხს უხსნიდა რუსეთს თავისი იმპერიული ექსპანსიისათვის და ლამის ყოველდღიურად ახალ-ახალ ტერიტორიებს იერთებდა. ევროპელთა შეშფოთებას რუსული ექსპანსია აზიაში მაშინ თუ იწვევდა, როცა რუსეთი, დავუშვათ, ინდოეთს (ინგლისის კოლონიას) მიუახლოვდებოდა.

აქედან გამომდინარე, რუსეთს მუდამ ჰქონდა ცდუნება, აზიური თამაშის წესები ევროპაშიც გადმოეტანა და თვითნებურად გაეფართოებინა ტერიტორია თურქეთისა თუ პოლონეთის ხარჯზე. კრემლის ამგვარი ქმედებები ევროპის მხრიდან მკვეთრ წინააღმდეგობას იწვევდა.

მე-20 საუკუნეში არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია გაჩნდა, რომელთა ფუნქციებში სხვა ყველაფერთან ერთად პატარა სახელმწიფოთა ინტერესების დაცვაც შედიოდა. რუსეთიც, როცა პატარა სახელმწიფოებთან საქმეებს არჩევდა, მუდამ ერიდებოდა საერთაშორისო ორგანიზაციათა ფორმატს და ცდილობდა პატარებთან ერთი-ერთზე მორიგებულიყო. ეს მისთვის უფრო მომგებიანი იყო: საერთაშორისო ორგანიზაციაში პატარა ქვეყანას საერთაშორისო მხარდაჭერა ექნებოდა, ერთი-ერთზე კი რუსეთის დაწოლისგან იგი თავს ვერანაირად ვერ დაიცავდა და ყველაფრის დათმობა მოუწევდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ყველანაირად ცდილობდა საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენებას რუსეთისგან თავის დასაცავად, მაგრამ აქამდე ეს ნაკლებად გამოსდიოდა - რუსეთი ეფექტურად იყენებდა თავის გავლენას ამ ორგანიზაციებში, რათა საქართველოს ხმა იქ არ შეესმინათ. ახლა კი კურიოზულ ვითარებას ვაწყდებით: რუსეთმა თავად დასვა საქართველოს (კერძოდ კი აფხაზეთის) საკითხი გაერო-ს უშიშროების საბჭოში, რუსეთს თავად გააქვს მოსკოვ-თბილისის ურთიერთობა მრავალმხრივ, საერთაშორისო ფორმატში.

რას ნიშნავს ეს? ერთი მხრივ ალბათ იმას ნიშნავს, რომ კრემლში უკვე ხვდებიან ეკონომიკური ბლოკადის არაეფექტურობას. კრემლისათვის გასაგები ხდება, რომ მას აღარ გააჩნია საქართველოზე ერთი-ერთზე ზემოქმედებისათვის სერიოზული ბერკეტები. ამიტომაც, ახლა ხორციელდება საქართველოზე საერთაშორისო ზემოქმედების მცდელობა.

მეორე მხრივ კი, ეს ალბათ იმას ნიშნავს, რომ კრემლმა, უბრალოდ, გადაწყვიტა საქართველოს წინააღმდეგ ყველა შესაძლო მეთოდი გამოიყენოს, მათ შორის საერთაშორისოც. გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში კოდორის ხეობის ნებისმიერი ხსენება რუსეთმა შესაძლოა თავის სასარგებლოდ გაშიფროს და ქართული მხარისთვის ხეობის შესაძლო წართმევა ამ რეზოლუციით გაამართლოს.

რუსეთს საქართველოზე ზემოქმედებისათვის ერთადერთი გზა დარჩა - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ვითარების გამწვავება. კრემლისათვის ცუდი არ იქნება, თუკი საამისოდ რაღაც დონეზე გაერო-ს დოკუმენტზე აპელირების საშუალება ექნება.

# Sieg Heil!

სოფო ბუკია

*როგოც ჩანს, 1945-ში ფაშიზმზე გამარჯვების აღნიშვნა ნაადრევი იყო. მეორე მსოფლიო ომიდან 61 წლის შემდეგ ფაშიზმმა მაინც მოახერხა რუსეთის დაპყრობა.*

შარშან, 4 ნოებერს, რუსეთის ნაციონალური ერთიანობის დღე, მოსკოვის ცენტრში ულტრანაციონალისტების მსვლელობით - "პრავი მარშით" ცნობილი. მსვლელობაში რამდენიმე ათასმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. რუსმა ნაცისტებმა დეკორაციად სვასტიკა და ფაშისტური შინაარსის პლაკატები გამოიყენეს, შეძახილებად - "ზიგ ჰაილ" და "ჰაილ ჰიტლერ".

გამართლდა ვარაუდები "რუსული ფაშიზმის" არსებობის შესახებ. ისინი, ვინც მიიჩნევდნენ, რომ რუსული ნაციონალიზმი ყოფით დონეზეა და პოლიტიკასთან არაფერი აქვს საერთო, ამ მსვლელობამ ძალზე დააფიქრა.

"პრავი მარშმა" მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო.

მსგავსი ღონისძიება მოსკოვში წელსაცაა დადეგმილი. "რუსკი მარშის" ორგკომიტეტის შემადგენლობაში ახლა უკვე დეპუტატები არიან - პარტია "ნაროდნია ვოლია"-ს ლიდერი სერგეი ბაბურინი, "ლდპრ"-ელი ნიკოლაი კურიანოვიჩი, "როდინას" ყოფილი ხელმძღვანელი დმიტრი როგოზინი, მისივე თანაპარტიელი ანდრეი საველიევი და სხვები.

ორგანიზატორები აცხადებენ, რომ წლევანდელი ღონისძიება უფრო პომპეზური და რაც მთავარია, მასშტაბური იქნება.

მოსკოვის პრეფექტურამ გუშინ "რუსკი მარშის" ჩასატარებლად



*"პრავი მარშმა" მთელი მსოფლიო შოკში ჩააგდო.*

სანქცია არ გასცა, მაგრამ ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მოსკოვის ხელისუფლების უარი დიდი ვერაფერია. **"მსვლელობა არასანქცირებულად ჩაივლის, ეგ არის და ეგ. ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს,"** - განაცხადა ჟირინოვსკის თანაგუნდელმა კურიანოვიჩმა.

კურიანოვიჩის და მისთანების შეჩერებას დიდად არც არავინ ცდილობს.

მოსკოვის პრეფექტურის უარი - საკმაოდ უწყინარი პასუხია ამ ღონისძიებაზე და თავისი ახსნაც აქვს. პირველი ის, რომ მკვეთრად გამოხატული რასისტული იდეების ღონისძიებაზე ვიზის გაცემა, სხვა თუ არაფერი, ცოტა არაეთიკური საქმეა.

და თანაც, რა მნიშვნელობა აქვს, გაივლის თუ არა რამდენიმე ათასი ადამიანი მოსკოვში სახაროვის პროსპექტზე "ზიგ ჰაილ"-ის შეძახილით - მთავარი მათი არსებობაა. ისინი არიან - სახაროვის პროსპექტზე გაივლიან, ტყულაში, ვორონეჟში თუ ბალაკლავაში, არა აქვს მნიშვნელობა. ისინი არიან. თანაც უფრო მეტნი, ვიდრე შარშან.

შარშან ეს ადამიანები როგოზინის "როდინას" წინასაარჩევნო კლიპებით საზრდოობდნენ, სადაც ეს უკანასკნელი მოსკოვის "ნაგვისგან" ანუ კავკასიელებისგან გაწმენდას ითხოვდა.

კლიპმა იმუშავა, ნაციონალისტური იდეები, რომლებიც უროგოზინოდაც არსებობდა რუსულ საზოგადოებაში, კიდევ უფრო გაღვივდა. დღეს საკითხი სხვაგვარად ისმის - ვინ ჩაუდგება სათავეში მზარდ რუსულ ქსენოფობიას? რა თქმა უნდა, ის, ვინც რუსეთში ყველას და ყველაფერს უდგას სათავეში. პუტინს დღეს ნამდვილად არ სჭირდება კონკურენტი, რომელიც მზარდი რუსული ქსენოფობიური მადის პირობებში შეიძლება სერიოზულ ძალად იქცეს.

დღევანდელი რუსეთის დაკვეთას ნაციონალისტური იდეები წარმოადგენს. მაგალითისთვის, ერთი სოციოლოგიური გამოკითხვა კმარა, რომელიც რუსულმა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრმა "ვციომ"-მა ჩაატარა. ამ გამოკითხვამ ცხადყო, რომ თურმე რუსებს ძალიან მოსწონებიათ ქართველების დევნა. გამოკითხულთა 40 პროცენტი რუსეთის ანტიქართულ პოლიტიკას მიესალმება და საქართველოსა და ქართველების მიმართ გატარებულ ღონისძიებებს ეფექტურსა და სამართლიანს უწოდებს. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ მსგავსი ღონისძიებები სხვა ეროვნების ადამიანების მიმართაც უნდა გატარდეს. თუ ამ გამოკითხვას არ ენდობით, ოპოზიციური "ეხო მოსკვის" საიტზე შედით, იქაც ანალოგიური შედეგებია.

პუტინის რეიტინგი კი ცალკე აღნიშვნის ღირსია - ოქტომბრის თვეში მან 37 პროცენტს მიუკაკუნა. ასეთი მაჩვენებელი მას კარგა ხანია არ ჰქონია.

ცხადია, არც ერთი ხელისუფლება არ წავა არაპოპულარულ ნაბიჯებზე საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე. არჩევნებამდე, როგორც წესი, საზოგადოების დაკვეთას ასრულებენ. რუსეთში მთავარ იდეოლოგიად ნაციონალიზმი იქცა (აბა, კრემლის მიერ შემოგდებული რაღაც გაურკვეველი "სუვერენული დემოკრატია" ხომ არ იქნებოდა, რომლის მნიშვნელობა ივანოვოელ რუსს კი არა, წამყვან ექსპერტებს არ ესმით.) ნაციონალიზმი კი გასაგებია და მშობლიური.

თუ ამ ლოგიკას მივყვებით, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის რუსეთში მოდაში "ლე პენობა" იქნება. პრეზიდენტობის კანდიდატები ერთმანეთს ნაციონალისტური იდეების გატარებაში შეეჯიბრებიან.

და არავინ თქვას, რომ 2008 წლის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის პუტინი არ იქნება, რადგან კონსტიტუციით მას მხოლოდ ორი საპრეზიდენტო ვადა აქვს განსაზღვრული. ამ ზღაპრების უკვე რუსეთშიც ცოტა ვინმეს თუ სჯერა.

## მოკლედ

### სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ

იუსტიციის სამინისტრო რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაწესებულ სანქციებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოში შესატან სარჩელზე მუშაობას უახლოეს ხანში დაასრულებს.

სარჩელში გათვალისწინებული იქნება სანქციების პერიოდში საქართველოს მოქალაქეთა დეპორტაციისას ადამიანთა გარდაცვალების ფაქტები, რუსული სკოლებიდან ქართველი ბავშვების გამოძევება, სატრანსპორტო სივრცის ჩაკეტვის გადაწყვეტილება და სხვა ფაქტები.

კანონის მოთხოვნების შესაბამისად, სარჩელზე დამატებით კომენტარს იუსტიციის სამინისტროში არ აკეთებენ.

სტრასბურგში გასაგზავნი სარჩელის შედგენაში მონაწილეობას მიიღებს სახალხო დამცველის აპარატიც. როგორც სოზარ სუბარი აცხადებს, კანონით შესაძლებელია, სარჩელი რუსეთის სასამართლოს გვერდის ავლით, პირდაპირ ევროპის ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოში შევიდეს.

**24 საათი**

### ტოტალიზატორ "777"-ის მეპატრონე დააკავეს

ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის ბიუროს თანამშრომლებმა ზუგდიდში ტოტალიზატორ "777" -ის მეპატრონე ვლადიმერ ლომაია დააკავეს. მას ბრალი უკანონო სამეწარმეო საქმიანობაში ედება.

როგორც ბიუროს უფროსი გიორგი გუგუჩია აცხადებს, ტოტალიზატორს არ ჰქონდა სათანადო დოკუმენტაცია, გარდა ამისა, ფსონების დადება ზეპირი შეთანხმების საფუძველზე, ყოველგვარი გაფორმების გარეშე მიდიოდა.

ვლადიმერ ლომაიას ბრალი უკვე წარედგინა. მისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს სასამართლო განიხილავს.

**ინტერპრესნიუსი**

### სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი საქართველოს სასაზღვრო პოლიციას ეცნობა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი რალფ ბაკი, რომელიც საზღვრის დაცვისა და კანონგანმტკიცებისა და ექსპორტის პროგრამის კოორდინატორია.

რალფ ბაკი სასაზღვრო პოლიციის ხელმძღვანელს გენერალ-ლეიტენანტ ბადი ბიწაძეს შეხვდა. აშშ-ს წარმომადგენელმა ქართულ მხარეს არა მარტო ტექნიკურ საქმეებში, არამედ სასწავლო პროცესში ხელშეწყობაც აღუთქვა.

რალფ ბაკი სასაზღვრო პოლიციის რეგიონულ სამმართველოებსაც მოინახულებს.

მისი ვიზიტი 22 ოქტომბრამდე გაგრძელდება. **მედიანიუსი**

### ინციდენტი სენაკის სასამართლოში

სამართალდამცველებმა სენაკის სასამართლოში ჩხუბი აღკვეთეს. სასამართლო ქურდობაში ეჭვმიტანილი თამაზ წულაიასთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე მსჯელობდა. წულაიას ბრალად ედება სენაკში მცხოვრები ხუნწარიასთვის ძვირფასი საათის მოპარვა, რომელიც მას ჩხრეკის დროს აღმოუჩინეს.

დაკავებულის ახლობლები და ოჯახის წევრები კი აცხადებენ, რომ პოლიციამ წულაიას მოპარული ნივთი ჩაუდო და ამის საფუძველზე დააკავა. მათ სასამართლო დარბაზში შეჭრა და მოსამართლეზე ფიზიკური ზემოქმედება სცადეს. ამ ინციდენტისას ბრალდებულის ახლობელი რამდენიმე ქალბატონი შეუძლოდ გახდა და ისინი სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სენაკის რაიონულმა სასამართლომ წულაიას ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**ინტერპრესნიუსი**

### პრობაციონერებმა კომპიუტერული პროგრამები შეისწავლეს

იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფ 20 პრობაციონერს კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

ტრენინგი კომპიუტერულ პროგრამებში არაპატიმარმა მსჯავრდებულებმა იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია "ათინათს" შორის 2006 წლის 31 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაიარეს. შეთანხმება მიზნად ისახავს ზუგდიდის რაიონში აღრიცხვაზე მყოფ პრობაციონერთა რესოციალიზაციას.

პროექტი ამჯერად ახალ ეტაპზე გადადის, რომელიც პრობაციონერთა დასაქმებაში ხელშეწყობის მიზნით, ბიზნესის საკითხების შემსწავლელ ერთთვიან ტრენინგში მათ მონაწილეობას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**

## ორი სიტყვით

**ფოთი.** ფოთში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე როკვავას ქუჩაზე საბრძოლო ჭურვი აღმოაჩინეს. ვიზუალური დათვალიერებით გაირკვა, რომ ჭურვი ძველი და, სავარაუდოდ, მწყობრიდან გამოსული იყო. გამნაღმველთა ჯგუფი ფოთში ბათუმიდან ჩავიდა. ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე სამაუწყებლო კომპანია "მე-9 ტალღის" ოფისი და ორი ბენზინგასამართი სადგური განთავსებული.

**ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** იუსტიციის სკოლაში გაიმართება ორდღიანი სემინარი თემაზე: "ადამიანით ვაჭრობა, არსებული კანონმდებლობა და ინსტიტუციონალური მექანიზმები". შეხვედრაზე განიხილავენ ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანით ვაჭრობის შესახებ, პალერმოს კონვენციას, ადამიანით ვაჭრობით ჩადენილი დანაშაულის სისხლის სამართლებრივ თავისებურებას და ასევე ისაუბრებენ რუმინეთის, უკრაინის და სლოვენიის გამოცდილების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ მოსამართლეები, პროკურორები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები. **მედიანიუსი**

## განცხადება

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2006 წლის 18 ოქტომბრის N231-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

შეტანილ იქნეს ცვლილება "მე-2-ე" პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით.

2. საწვავის მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან **2006 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.**

**სატენდერო კომისია**

## განცხადება დამატების შესახებ

მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს შპს "საქაერონავიგაციის" მიერ ქ. ბათუმის აეროპორტში შპს "საქაერონავიგაციის" სატრანსფორმატორო ქვესადგურის ტექნიკური აღჭურვის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შევიდა შემდეგი სახის დამატება: ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი (დაწვრილებითი ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში).

**სატენდერო კომისია**

# ფონდის საქმის გამოძიება გრძელდება

პირველი გვერდიდან

მას შემდეგ, რაც ფინანსურმა პოლიციამ თბილისში ხმაურიანი ოპერაცია ჩაატარა - დააკავა ფონდის გენერალური დირექტორი და მისი ექვსი თანამშრომელი -

სოცდაზღვევის რეგიონული ოფისების საქმიანობით პროკურატურა დაინტერესდა და სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ მორიგი სადამსჯელო ღონისძიება ჩაატარა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ საპენსიო ფონდიდან თანხების არამიზნობრივად გაფლანგვასთან დაკავშირებით 14 ადამიანი დააკავა, მათ შორის რვა ქალი. დაკავებულები არიან ზუგდიდის, მარტვილის, წალენჯიხისა და სენაკის საპენსიო ფონდების ხელმძღვანელები. წინასწარი ინფორმაციით, ფონდის რეგიონულ თანამშრომელთა დაკავება სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის გენერალური დირექტორის ზაზა სოფრომაძის საქმეს უკავშირდება.



*ზაზა სოფრომაძე უდანაშაულობის დამტკიცებას შეეცდება.*

ზუგდიდის რაიონში დააკავეს ფილიალის დირექტორი ზვიად ჭანტურია, მისი მოადგილე მაია ყუფუნია, მთავარი ბუღალტერი ნუგზარ ჭეჟია, მოლარე თამარ კუკავა, სპეციალისტი ნანა ხუფენია და წამყვანი სპეციალისტი მაია ანთია.

მარტვილის რაიონში: საპენსიო ფონდის მარტვილის ფილიალის დირექტორი გოჩა გობეჩია, მთავარი სპეციალისტი ინეზა წულაია.

სენაკში: საპენსიო ფონდის ყოფილი უფროსი მამუკა გვასალია, სპეციალისტი მზია ტოგონიძე, მთავარი სპეციალისტი თინა სახოკია და მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე თამაზ კუპრეიშვილი.

წალენჯიხაში დააკავეს საპენსიო ფონდის წალენჯიხის ფილიალის დირექტორი ეთერ ქარჩავა და უფროსი სპეციალისტი ნონა ფიფია.

ოლქის პროკურორის როლანდ ახალაიას განცხადებით, მათ ბრალი ედებათ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში.

**"ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ ფონდის ზუგდიდის, მარტვილის, სენაკისა და წალენჯიხის ფილიალის თანამშრომელთა უმრავლესობა ხშირად ამეტებდა სამსახურებრივ უფლებამოსილებას. მათ გარდაცვლილ პენსიონერებზე, ე.წ. მკვდარ სულებზე და მომუშავე პირებზე ათეულ ათასობით ლარი გასცეს. ამას გარდა, ზუგდიდის ფილიალის ხელმძღვანელებმა სამეურნეო ხარჯებისათვის გათვალისწინებული თანხები მიითვისეს. საუბარია 53 ათას 700 ლარზე,"** - განაცხადა როლანდ ახალაიამ.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ფონდის რეგიონული ოფისის თანამშრომლებს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

**"ამ ადამიანების ბრალის დასადასტურებლად გამოძიებას გააჩნია უტყუარი მტკიცებულებები, როგორც აუდიო ასევე, ვიდეო ჩანაწერების სახით. ზაზა სოფრომაძეს ბრალი წაეყენა სამსახურეობრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში და მის მიმართ გამოძიება სასამართლოს წინაშე იშუამდგომლებს აღმკვეთი ღონისძიების სახით გირაოს გადახდის თაობაზე. გამოძიება გაარკვევს, მონაწილეობდა თუ არა ზაზა სოფრომაძე ქრთამის აღებაში. რის შემდეგაც მის ქმედებას მიეცემა შესაბამისი სამართლებრივი შეფასება,"** - სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის თანამშრომლების დაკავებისას განაცხადა გენპროკურორის მოადგილემ კახა კობერიძემ, რომელიც არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა, მომავალში გაიზარდოს იმ პირთა სია, ვისაც აღნიშნულ დანაშაულში მიუძღვის ბრალი.

**24 საათი**

# ევროსასამართლოში რეგისტრირებული კიდევ ერთი საქმე

*ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში უკვე ნომერი ადევს და განხილვის პროცესშია საქართველოდან გაგზავნილი საჩივარი - "ბაღაშვილი საქართველოს წინააღმდეგ". სტრასბურგის სასამართლოში განაცხადი მოკლული 19 წლის ზვიად ბაღაშვილის დედამ გაგზავნა. ქართული მართლმსაჯულების ყველა ინსტანციის მოვლის შემდეგ მოკლულის ოჯახი სიცოცხლის უფლების დარღვევაში, არაადამიანურ მოპყრობაში, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვასა და ევროკონვენციის სხვა მუხლების დარღვევაში საქართველოს ხელისუფლებას სტრასბურგში უჩივის. მომჩივნთა განცხადებით, საქმე ეხება პოლიციელის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულს.*

საუბარია 1999 წელს მომხდარ ფაქტზე, რომლის გამოც, სიღნაღის ქვეგანყოფილების პოლიციის უფროსის, აბულაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, მხოლოდ 2000 წლის 7 აპრილს აღიძრა. თუმცა, მძიმე ბრალდებებში დადანაშაულებული პოლიციელი პატიმრობიდან მალევე გათავისუფლდა და მას პოლიციის ზედამხედველობა დაუწესდა.

ბაღაშვილის ოჯახის ინტერესების დამცველის, არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატის თამარ გაბისონიას განმარტებით, ზვიად ბაღაშვილის მკვლელობის საქმე პროცესუალური დარღვევების ნუმუში გახლავთ და სწორედ გამოძიებისა და სასამართლოს მხრიდან დაშვებული პროცესუალური შეცდომების გამო გათავისუფლდა პატიმრობიდან მძიმე დანაშაულში ბრალდებული პოლიციელი. ადვოკატის ინფორმაციით, ბაღაშვილის მკვლელობის საქმის წინასწარი გამოძიება მთელი ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ კი, სიღნაღის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მიმართ სამართალწარმოება შეწყდა.

**"საქმის მასალებიდან ნათლად იკვეთება, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც ზვიად ბაღაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა, აბსოლუტურად დაუგეგმავი იყო, გარდაცვლილი არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა პოლიციელების სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, პირიქით, ის მათგან გარიდებას ცდილობდა,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას გარდაცვლილის ადვოკატმა თამარ გაბისონიამ. მისი განმარტებით, ყველაფერი ასე დაიწყო: ზვიად ბაღაშვილი მეგობარ გოგონასთან სტუმრად იმყოფებოდა. მეგობრის მეზობლებმა პოლიციაში დარეკეს და სამართალდამცველებს ინფორმაცია მიაწოდეს, რომ სტუმრად მყოფ ბაღაშვილს შელაპარაკება მოუვიდა მასპინძლებთან. ადვოკატის ინფორმაციითვე, პოლიციის ადგილზე მისვლისას ბაღაშვილი ეზოში, ავტომანქანაში იმყოფებოდა და სამართალდამცველების დანახვისთანავე თავის არიდება სცადა.

**"ავტომანქანით გაქცეულ ბაღაშვილს პოლიციელები გაედევნენ, გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ, იმ დროს, როდესაც გაქცეულმა სვლა შეანელა, პოლიციელმა აბულაშვილმა მას თავის არეში ესროლა. დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა,"** - აცხადებს ადვოკატი.

სხვათა შორის, საქმეში დევს მოწმეთა მიერ მიცემული ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებები. ბაღაშვილების ინტერესების დამცველის მტკიცებით, არც გამოძიებაში და არც სასამართლოზე, არ დაკითხულა ყველა ის მოწმე, რომლებიც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას იძლეოდნენ.

ადვოკატის მტკიცებითვე, ბაღაშვილის მკვლელობის საქმეზე წინასწარი და სასამართლო გამოძიება არაობიექტურად მიმდინარეობდა და მთლიანად მიმართული იყო პოლიციელის გამართლებისკენ, რაზეც, თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ისეთ მძიმე დანაშაულში, როგორიც განზრახ მკვლელობაა, ბრალდებული პირი არ დააპატიმრეს.

სიღნაღის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მიმართ სისხლის სამართალწარმოების შეწყვეტის ფაქტი ადვოკატმა სამჯერ გაასაჩივრა. უზენაესმა სასამართლომ სამჯერვე გააუქმა პროკურატურის დადგენილებები საქმის შეწყვეტის თაობაზე და საქმე სამჯერვე დაბრუნდა წინასწარ გამოძიებაში. საბოლოო გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა, რომელმაც აბულაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება უცვლელი დატოვა.

**"პოლიციელი თავს იცავდა, მისი გამამტყუნებელი მოტივი საქმეში არ არსებობს,"** - ასეთი გახლდათ სასამართლოს გადაწყვეტილების არგუმენტი, რომელიც საბოლოო იყო და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარებოდა. არადა, მოკლულის ოჯახის ადვოკატის მტკიცებით, ბაღაშვილს იარაღი არ ჰქონდა ხელში და ამდენად, ის პოლიციელთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხეს ვერ შეუქმნიდა.

სტრასბურგის სასამართლომ ბაღაშვილების განაცხადი დასაშვებად ცნო და საქმეს ნომერიც მისცა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროსასამართლომ ბაღაშვილების საქმეში ევროკონვენციის მუხლები დარღვეულად მიიჩნია. საქმის "ბაღაშვილი საქართველოს წინააღმდეგ" განხილვა ევროპელმა მოსამართლეებმა ერთი თვის წინ დაიწყეს.

**24 საათი**

# იუსტიციის უმაღლესი საბჭო განმარტავს

რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურორს გახმაურებული საქმე - ბაძგარაძის საქმე შეახსენა და 21 წლის უდანაშაულო დავით ბაძგარაძის დამსჯელი პროკურორის პასუხისგებაში მიცემა კატეგორიულად მოითხოვა.

საქმე ისაა, რომ 2005 წლის 16 დეკემბერს ისანი-სამგორის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს დავით ბაძგარაძე და მას ბრალი დასდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - ყაჩაღობასა და დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაში. მძიმე დანაშაულებში ბრალდებულმა დავით ბაძგარაძემ ციხეში რვა თვე გაატარა და მხოლოდ საქმის სასამართლოში არსებითი განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ იგი სრულიად უდანაშაულო იყო. მოსამართლე ნანა მაისურაძემ მტკიცებულებების განხილვის შემდეგ ბაძგარაძე უდანაშაულოდ მიიჩნია, გაამართლა და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. მოგვიანებით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნანა მაისურაძე ბაძგარაძისთვის გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გამო დასაჯა - იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა და განმარტავს:

"საინფორმაციო საშუალებებით რამდენიმე დღეა ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლე ნანა მაისურაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა, იმის გამო, რომ მან მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში განსასჯელ დავით ბაძგარაძის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო აცხადებს, რომ აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან, ნანა მაისურაძის თანამდებობიდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო მის მიერ 2006 წლის თებერვლის თვეში ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმის განხილვის დროს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა. მითითებულ საკითხზე "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის საფუძველზე, ნანა მაისურაძის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო 2006 წლის 8 ივნისს, ხოლო ნანა მაისურაძემ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა 2006 წლის 20 აგვისტოს.

"საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია, რის გამოც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი, გაახმაუროს აღნიშნული საქმის დეტალები, თუმცა აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მოსამართლის მიერ ჩადენილ მძიმე გადაცდომას ან მოსამართლის მიმართ წარსულში გამოყენებული იყო ასევე მძიმე დისციპლინური სახდელი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აღნიშნული პირობები ზედმიწევნით იქნა დაცული, რის გამოც, მოსამართლე ნანა მაისურაძე საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მიერ თანამდებობიდან გათავისუფლდა 2006 წლის 27 სექტემბერს," - აცხადებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

# ციხის საავადმყოფოს დირექტორს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინეს

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორს ალექსანდრე მუხაძეს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა. სამართალდარღვევის ასლი ჩაბარდა კანცელარიის თანამშრომელს, ხოლო დედანი გადაიგზავნა სასამართლოში განსახილველად.

როგორც სახალხო დამცველის ოფისში განმარტავენ, მიმდინარე წლის 21 სექტემბერს აპარატმა ახსნა-განმარტებისთვის მიმართა მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორს, წერილობით ეცნობებინა, რატომ არ მიეცათ საშუალება ექიმ-ექსპერტებს შესულიყვნენ მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარ ჯ.შ.-ს ექსპერტიზის ჩასატარებლად.

"საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის თანახმად, შემოწმების ჩატარებისას სახალხო დამცველი უფლებამოსილია, მიიღოს ახსნა-განმარტება გამოსაკვლევ საკითხებზე ნებისმიერი თანამდებობის პირისგან. ამასთან, მასალები, საბუთები, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში. თუმცა, როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, მუხაძემ წერილობითი ახსნა-განმარტებისთვის თავი არ შეიწუხა. უფრო მეტიც, მასთან მისული ომბუდსმენის აპარატის თანამშრომლები მოატყუა.

"მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების დირექტორმა დაარღვია "საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონი და სახალხო დამცველს არ მისცა ახსნა-განმარტება. კანონის დამრღვევი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად უნდა დაჯარიმდეს," - აცხადებენ სოზარ სუბარის თანამშრომლები.

**24 საათი**

მოკლედ

### ლარის გაცვლითი კურსი 1/1.7435 ნიშნულზე გამყარდა

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 21 ოქტომბრიდან 1/1.7435 ნიშნულზე დააფიქსირა.

პრაიმ-ნიუს ბიზნესს სებ-იდან აცნობეს, რომ თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე 2006 წლის 20 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო სამმა კომერციულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით) და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით). დაიდო სამი საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 2 200 000 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შესყიდა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი/1.7450 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველი მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო მიწოდებამ 2 200 000 აშშ დოლარი შეადგინა. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა შემდეგი კურსით - 1 აშშ დოლარი/1.7435 ლარი.

### "პოპული" მაღაზიათა ქსელს აფართოებს

სს "პოპული"-მ გლდანში ახალი მაღაზიის, "პოპული-X", პრეზენტაცია პარასკევს გამართა. პრეზენტაციას დედაქალაქის მუნიციპალიტეტის და საკრებულოს წარმომადგენლები და "პოპულის" პარტნიორი მსხვილი ბიზნესკომპანიები დაესწრნენ.

მაღაზია უახლესი ევროპული ტექნოლოგიებითა და დანადგარებით აღიჭურვა, რომელიც კომპანიამ ევროპის სხვადასხვა წამყვანი მწარმოებლებისაგან შეიძინა.

"პოპული" პირველი სასურსათო და საყოფაცხოვრებო მაღაზიათა ქსელია თბილისში. იგი დედაქალაქის თითქმის ყველა უბანს მოიცავს და ყოველდღიურად 100 000-მდე ოჯახს ემსახურება.

### სტატისტიკის დეპარტამენტის დაფინანსება 2007 წელს 2-ჯერ გაიზრდება

სტატისტიკის დეპარტამენტის დაფინანსება მომავალი წლისთვის ორჯერ გაიზრდება და 2,5 მლნ ლარით განისაზღვრება. ამის შესახებ ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ხუთშაბათს გამართულ პარლამენტის საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

ირაკლი ჩოგოვაძე მომავალ წელს ქვეყანაში უტყუარი სტატისტიკური მონაცემების არსებობის პირობას იძლევა.

მისი თქმით, დაფინანსების გაზრდა და ახალი მენეჯმენტი, სტატისტიკის დეპარტამენტიდან სანდო და ოპერატიული ინფორმაციის მიღებას განაპირობებს.

ქვეყანაში არასწორი სტატისტიკური მონაცემების და ინფორმაციის დაგვიანებით გავრცელების პრობლემა კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატებმა დააყენეს.

### "ბაგრატიონი 1882" ბრიუსელის გამოფენაზე რეზერვუალური და კლასიკური მეთოდით დამზადებულ ღვინოებს წარადგენს

ღვინის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაზე, "მეგავინო 2006", რომელიც ბრიუსელში პარასკევს გაიხსნა, კომპანია "ბაგრატიონი 1882" საკუთარ საუკეთესო ღვინოებს წარადგენს.

კომპანიის ინფორმაციით, "ბაგრატიონის" სახელით გამოფენაზე წარდგენილი იქნება ცხრა სახის ღვინო - რეზერვუარული მეთოდით დამზადებული "ბრუტი", "მშრალი", "ნახევრად მშრალი", "ნახევრად ტკბილი", "ოქრო" და "ვარდისფერი ნახევრად ტკბილი", კლასიკური მეთოდით დამზადებული - "ბრუტი", "ნახევრად მშრალი" და "ნახევრად ტკბილი".

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოფენაში ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანია - "თელიანი ველი", "GWS", "თბილღვინო", "ქინძმარაული" და "ბაგრატიონი 1882" მონაწილეობს.

აღნიშნული უწყების ცნობით, გამოფენაში ქართული კომპანიები ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოსა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დახმარებით მონაწილეობენ.

საექსპოზიციო დარბაზებში წარმოდგენილი იქნება 19 ქვეყნის 220 ღვინის ექსპორტიორი კომპანიების 8 000-ზე მეტი დასახელების პროდუქცია.

ღვინის საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვა სამი დღე გაგრძელდება და 23 ოქტომბერს დასრულდება.

# საქართველომ BTC-ის გრანტის ფარგლებში 4 მლნ აშშ დოლარი მიიღო

საქართველომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის (BTC) 15 მლნ აშშ დოლარის მოცულობის გრანტის დარჩენილი ნაწილი - 4 მლნ აშშ დოლარი მიიღო.

სამინისტროს ინფორმაციით, თანხა სახაზინო სამსახურის ანგარიშზე 18 ოქტომბერს ჩაირიცხა. გრანტის პირველი 11 მლნ აშშ დოლარი ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 9 აგვისტოს მიიღო.

აღნიშნული თანხით, ამჟამად, განათლების სამინისტროს "ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების პროგრამის" ნაწილი ფინანსდება.

საქართველოს მთავრობასა და BTC-ის შორის "საქართველოში საგრანტო პროგრამის შექმნის შესახებ" ხელშეკრულება თავდაპირველად 2004 წლის 19 ოქტომბერს გაფორმდა, რომელიც ქვეყანაში სოციალური და საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად 40 მლნ აშშ დოლარის ოდენობის გრანტის გამოყოფას ითვალისწინებდა. 2006 წლის 26 ივლისს მხარეებს შორის ხელი საგრანტო პროგრამის განახლებულ ხელშეკრულებას მოეწერა.

2004 წელს საქართველომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 9 მლნ დოლარი მიიღო, 2006 წელს - 15 მლნ დოლარი, დარჩენილი თანხა კი 2007-2010 წლებზე გადანაწილდება.

საგრანტო ხელშეკრულება კონკრეტული მიზნობრივი მიმართულებების დაფინანსებას ითვალისწინებს, რომელთა შორისაა:

- დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსება. საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა;
- პრევენციული და პირველადი დახმარების ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება, ჯანდაცვის ობიექტების (საავადმყოფოების, კლინიკების) მშენებლობა, რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა;
- საქართველოს მოქალაქეებისათვის სოციალური უზრუნველყოფის, ბინათმშენებლობისა და დასაქმებისათვის სპეციალური პროგრამებისა და ინიციატივების დაფინანსება;
- ბორჯომის რეგიონში ტურიზმის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ინიციატივების მხარდაჭერა.

საგრანტო ხელშეკრულების განახლება 2006 წლის 26 ივლისს ტექნიკურმა ცვლილებამ განაპირობა, რომელიც ხაზინაში განხორციელებულ რეფორმებს, კერძოდ, შემოსავლების ერთიან სახაზინო ანგარიშზე გადასვლას უკავშირდება.

განახლებულ ხელშეკრულებაში ახალი პროცედურაა გათვალისწინებული საგრანტო თანხების გამჭვირვალობისთვის, რომლის მიხედვითაც, ყოველი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს იმ ხარჯვით მუხლებს, რომლებიც დაფინანსდება BTC-ის თანხებით და აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაციას "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას" წერილობით მიაწვდის.

# ბათუმში "სახალხო ბანკისა" და მისი შვილობილი კომპანიის "სახალხო დაზღვევის" ფილიალი გაიხსნა



ბათუმში "სახალხო ბანკისა" და მისი შვილობილი კომპანიის "სახალხო დაზღვევის" ფილიალების გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. აჭარაში ეს "სახალხო ბანკის" რიგით მეცხრამეტე, ქვეყნის მასშტაბით კი 181-ე ფილიალია.

აღნიშნული ფილიალები მომსახურებას გაუწევს მსხვილ კორპორატიულ კლიენტებს და ხელს შეუწყობს საკრედიტო საქმიანობის განვითარებას რეგიონში. დღესვე აღნიშნულმა ფილიალმა გასცა პირველი სესხი სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მიზნით.

როგორც ფილიალის გახსნის ცერემონიალზე "სახალხო ბანკის" გენერალურმა დირექტორმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, "კიდევ ერთი ფილიალის გახსნა განპირობებულია იმით, რომ აჭარის რეგიონში საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება საბანკო მომსახურებაზე, რაც თავისთავად ძალიან კარგია, რადგან საბანკო სექტორი აქტიურად უნდა თანამშრომლობდეს მოსახლეობასთან. საბანკო მომსახურებასთან ერთად, ჩვენ მოსახლეობას შევთავაზებთ სადაზღვევო მომსახურებასაც, რაც, საკმაოდ კომფორტული იქნება რადგან ერთ ოფისში იქნებიან, როგორც საბანკო ასევე სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლები და პარალელურ რეჟიმში შესთავაზებენ მომხმარებელს მისთვის სასურველ სერვისს."

აღსანიშნავია, რომ "სახალხო ბანკს" ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავია აჭარის რეგიონში, როგორც წამყვან საბანკო ინსტიტუტს და ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ არტერიას წარმოადგენს მოსახლეობასა და სახელმწიფოს შორის. აღნიშნული ფილიალების გახსნა ხელს შეუწყობს კლიენტთა კომფორტულ და დახვეწილ მომსახურებას.

# ფასების დონე 0,50%-ით გაიზარდა

თბილისში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა (სამომხმარებლო ფასების დონის ცვლილების მაჩვენებელი) 13 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრამდე 100,50% შეადგინა. წინა კვირაში აღნიშნული მაჩვენებელი 100,15% იყო. (ეს ინდექსი ასახავს 51 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას).

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, წინა კვირასთან შედარებით ფასების საერთო დონე 0,50%-ით გაიზარდა. მათ შორის სასურსათო საქონელზე 1,02%-ით, ხოლო არასასურსათო საქონლზე და მომსახურებაზე ტარიფები უცვლელი დარჩა.

გასულ კვირასთან შედარებით ფასები გაიზარდა ხორბლის პურზე (9.0%-ით), ხმელ ლობიოზე (8.8%-ით), მარილზე (5.3%-ით), ჭარხალზე (3.9%-ით), ხორბლის ფქვილზე (3.7%-ით), სტაფილოზე (3.2%-ით), კვერცხზე (3.0%-ით), პომიდორზე (2.9%-ით), მაკარონზე (1.8%-ით), ყავაზე (1.7%-ით), გაყინულ თევზზე (1.4%-ით), კარტოფილზე (1.0%-ით), ყველზე (0.8%-ით), ჩაიზე (0.7%-ით).

ფასები შემცირდა რძეზე (5.8%-ით), ფოთლოვან კომბოსტოზე (2.5%-ით) და კიტრზე (0.9%-ით);

არასასურსათო საქონელსა და მომსახერებაზე წინა კვირასთან შედარებით ფასები არ შეცვლილა.

# Hilton-ი ევროპას უმიზნებს

კომპანია Hilton Hotels Corp-ის გენერალურმა დირექტორმა სტივენ ბოლენბახმა განაცხადა, რომ 2010 წლისთვის ევროპის ტერიტორიაზე მისი სასტუმროების რიცხვი გაორმაგდება. მისი პროგნოზი, პირველ რიგში, ევროპის ტურისტული ბაზრის პოტენციალიდან გამომდინარეობს, რომლის მოგებაც 30 მილიარდ დოლარს აღემატება. გარდა ამისა, კომპანიის პრეზიდენტი შორს მიმავალ გეგმებს აზიასა და რუსეთზეც ამყარებს.

ევროპის თითქმის სრული ექსპანსია Hilton-ს არცთუ ისე ძვირი დაუჯდება. "Hilton-ისთვის ახალი ბიზნესი დიდი დანახარჯის მომტანი არ იქნება, რადგან სასტუმროებს ჩვენ მხოლოდ საკუთარი ძალებით არ ავაშენებთ. იმისათვის, რომ დავიწყოთ მშენებლობა, საჭიროა პარტნიორები, თუმცა კომპანია Hilton-ი თავის სავაჭრო მარკას არ დაკარგავს," - აცხადებს სასტუმროების ქსელის პრეზიდენტი.

Hilton-ის ბრიტანული ფილიალის წარმომადგენელმა შელი უინკელმა განაცხადა, რომ კომპანია ფართოვდება. სასტუმროების "ბრენდირების" ძირითადი იდეა კი საერთაშორისო სავაჭრო მარკის კანონიერ გამოყენებაში მდგომარეობს.

ევროპა Hilton-ისთვის ძალიან პერსპექტიული ბაზარია. მანამდე ამერიკული Hilton-ი ევროპული ქსელისგან გამიჯნული იყო. "კომპანია Hilton -ი, ძირითადად, ისეთ ბაზრებზე მუშაობს, სადაც მას კარგად იცნობენ და, ამასთან, მოგების დიდი შანსებიც აქვს. ევროპაში ეს გახლავთ იტალია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი. ჩვენ ასევე დაინტერესებულნი ვართ ჩინეთის, ინდოეთის და ახლო აღმოსავლეთის ბაზრებით," - აცხადებენ კომპანიაში.

ევროპის ბაზარზე გასვლით კომპანია Hilton-ი აზიისა და რუსეთის ბაზარზე უფრო ადვილად გადაინაცვლებს.

Hilton Hotels Corp-ი ამერიკის შეერთებულ შტატებში სასტუმროების ერთ-ერთი უმსხვილესი ოპერატორია. ის ისეთი ამერიკული ბრენდების მფლობელიც არის, როგორებიც არიან Hilton garden Inn, Hampton Inn და Doubletree. 2006 წლის თებერვალში Hilton Hotels Corp-მა ბრიტანული Hilton Group-ი 6,3 მილიარდ დოლარად შეისყიდა. ამერიკული სასტუმროების ოპერატორის სუფთა მოგებამ წელს 248 მილიონი დოლარი შეადგინა. ექსპერტების შეფასებით, Hilton Hotels Corp-ის საბაზრო ღირებულება 10,8 მილიარდი დოლარია. დღესდღეობით კომპანიას მსოფლიოს 80 ქვეყანაში 3 ათასი სასტუმრო აქვს.

# ევროპას ელექტროენერგიის დეფიციტი ემუქრება

ევროკავშირის ქვეყნებს ზამთარში ელექტროენერგიის დეფიციტი ემუქრებათ. ამის შესახებ ინფორმაციას ბრიტანული Finansial Taims-ი ავრცელებს. განსაკუთრებულად დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდება დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია და საბერძნეთი.

სპეციალისტები არ გამორიცხავენ, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებს ზამთრის თვეებში ელექტროენერგია შეზღუდვებით მიეწოდებათ. ეს კი განსაკუთრებულად უარყოფითად მრეწველობის სექტორზე აისახება.

ექსპერტები ევროკავშირის ქვეყნებში ელექტროენერგიის დეფიციტს ბოლო ხუთი წლის მანძილზე ენერგეტიკის სექტორში ჩადებული ინვესტიციების სიმცირესა და მისი მოხმარების ზრდას უკავშირებენ.

# ევროკავშირმა ჩინელები დაბეგრა

ევროკავშირმა ფეხსაცმელების ევროპელ მწარმოებელთა დაცვის მიზნით, ჩინეთიდან და ვიეტნამიდან იმპორტირებულ ფეხსაცმელებზე საბაჟო შეზღუდვები დააწესა.

ევროკავშირის ქვეყნებმა ჩინეთიდან და ვიეტნამიდან შემოტანილი ფეხსაცმელების დაბეგვრის საკითხს კენჭი უკვე უყარეს. დამატებითი გადასახადები ძალაში კიდევ ორი წელი იქნება. ევროკავშირმა ჩინეთს 16,5-პროცენტიანი, ხოლო ვიეტნამს 10-პროცენტიანი გადასახადები დაუწესა. მანამდე ევროკავშირს სურდა, რომ შეზღუდვების მოქმედების ვადა 5 წლამდე გაეზარდათ. მთავარი მიზეზი, რის გამოც ევროკავშირი ჩინეთს და ვიეტნამს გადასახადებს უზრდის, იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული ქვეყნები ევროპაში თავიანთ ფეხსაცმელებს ძალიან დაბალ ფასში ყიდიან. 2001 წლიდან 2005 წლამდე ევროპის ფეხსაცმელების ბაზარზე ჩინეთის წილი 4-ჯერ გაიზარდა. ანალოგიურ პერიოდში ვიეტნამს ევროპის ბაზარზე 14 პროცენტი ეკავა.

2005 წელს ჩინეთმა ევროპის ბაზარზე 2,5 მილიარდ წყვილ ფეხსაცმელზე მეტი გაყიდა, რამაც ევროკავშირის სავაჭრო დეფიციტი, აზიასთან შედარებით, 73 მილიარდ დოლარამდე გაზარდა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი ევროპაში, ამერიკის შეერთებული შტატების მერე, სიდიდით მეორე ექსპორტიორი ქვეყანაა.

მოკლედ

### ენგურჰესზე მესამე აგრეგატის პრეზენტაცია გაიმართა

ენგურჰესის რეაბილიტირებული მესამე აგრეგატის პრეზენტაცია პარასკევს გაიმართა.

პრეზენტაციას ევროკომისიის ელჩი საქართველოში ტორბენ ჰოლთზე, გერმანიის ელჩი საქართველოში პატრიცია ფლორი, სხვა ქვეყნების საელჩოების და საერთაშორისო ორგნიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

ორწლიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემდეგ მესამე აგრეგატის ტესტირება ორშაბათს დასრულდა. მისი ამუშავების შემდეგ საქართველოს ენერგოსისტემას 260 მეგავატი ელექტროენერგია შეემატება.

90-იანი წლების შემდეგ გაჩერებული მესამე აგრეგატის რეაბილიტაცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ენგურჰესის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გამოყოფილი 38,75 მლნ დოლარის, ევროკავშირის და ევროკომისიის 5-5 მლნ ევროს ოდენობის კრედიტის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მეშვეობით ავსტრიულ-გერმანულმა კომპანია Voith S H-მ განახორციელა.

ენგურჰესზე სულ 5 აგრეგატია, თითო აგრეგატის სიმძლავრე 260 მეგავატს შეადგენს. ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ოთხშაბათს საქართველოს მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ მოქმედი 4 აგრეგატის სიმძლავრე რეალურად 220-230 მეგავატს შეადგენს.

### გზების დეპარტამენტმა ორი ტენდერი გამოაცხადა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა პარასკევს ორი ტენდერი გამოაცხადა.

ტენდერები ძველი სენაკი-მეორე ნოსირის საავტომობილო გზაზე, მდინარე ტეხურაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების და მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის 1-4 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად გამოცხადდა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება 13-14 ნოემბერს იწარმოებს.

### "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" სატელეფონო თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს

"საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია" სატელეფონო თაღლითობის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარებას იწყებს.

კომპანიის ინფორმაციით, სამსხურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის და შრომის დისციპლინის დარღვევისთვის "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანიის" ახალმა ხელმძღვანელობამ 20 ოქტომბრიდან ნაძალადევის სატელეფონო განყოფილების ასს-63/64 სახაზო საკაბელო უბნის რამდენიმე თანამშრომელი თანამდებობიდან გაათავისუფლა.

"უმკაცრეს ზომებს მივმართავთ სატელეფონო თაღლითების წინააღმდეგ, რადგან აბონენტების ნდობა ჩვენი კომპანიის განვითარების საფუძველია", - განაცხადა აღნიშნულთან დაკავშირებით კომპანიის კომერციულმა დირექტორმა ივა მარტიაშვილმა.

"საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას" ქართულ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე ყველაზე დიდი სეგმენტი უკავია. მას დაახლოებით 350 ათასი აბონენტი ჰყავს. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული "საქართველოს ელექტროკავშირი" რამდენიმე თვის წინ ქართულ-ყაზახურმა კერძო კომპანია Black Sea Telecom Holding B.V-მ შეიძინა. მფლობელი კომპანიის განვითარებისათვის 60 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებას გეგმავს.

### სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა 6 მლნ აშშ დოლარად გაიყიდა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია (კოსტავას N41), საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, პირდაპირი მიყიდვის წესით შპს ძGeorgian Property"-ს გადაეცა.

სამინისტროს ინფორმაციით, "Georgian Property" ობიექტში 6 მლნ აშშ დოლარს გადაიხდის.

სამინისტროს შენობაში სასტუმრო "ინტერკონტინენტალი" განთავსდება. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ ოთხშაბათს განაცხადა.

### აზერბაიჯანული ნავთობის ფასები შემცირდა

აზერბაიჯანული ნავთობის ფასები შემცირდა. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 19 ოქტომბერს ბარელზე 57,45 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასთან შედარებით 0,57 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობს ჯეიჰანის პორტი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით იღებს.

სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ AZERI LT CIF Augusta-ს ნავთობის ფასმა 19 ოქტომბერს ბარელზე 58,93 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 0,57 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცველობა - 0,14%.

19 ოქტომბერს URAL (EX-NOVO)-ს ნავთობის ფასი ბარელზე 53,25 აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 0,32 აშშ დოლარით ნაკლებია. URAL-ის ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცვლელობა - 1,8%.

DTD-ს ტიპის ნავთობის ფასმა 19 ოქტომბერს ბარელზე 57,45 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსიებულ ფასზე 0,57 აშშ დოლარით ნაკლებია. სიმკვრივე - 38,3 გრადუსი, გოგირდის შემცველობა 0,36%.

"აზერი-ჩიგარ-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე "დასავლეთში" 1999 წელს საქართველოდან სუფსის პორტიდან დაიწყო.

### აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ ჯეიჰანიდან ნავთობის გაყიდვაზე ტენდერი გამოაცხადა

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიამ თურქეთის ჯეიჰანის პორტიდან საკუთარი Azeri Light-ის ტიპის ნავთობის პარტიის გადატვირთვაზე ტენდერი გამოაცხადა. ნავთობის პარტიის მოცულობა 1 მლნ ბარელს (80 000 ტონა) შეადგენს. გადაზიდვა მიმდინარე წლის 24-26 ნოემბერს იგეგმება. ტენდერი შედეგები 26 ოქტომბერს გახდება ცნობილი.

AZERI LT FOB Ceyhan-ის ტიპის ნავთობის ფასმა 19 ოქტომბერს ბარელზე 57,45 აშშ დოლარი შეადგინა.

ჯეიჰანიდან ნავთობის პარტიები შემდეგმა კომპანიებმა შეისყიდეს:

Statoil - აგვისტო (1 მლნ ბარელი)

Arcadia - სექტემბერი (600 ათასი ბარელი).

### გარემოს დაცვის სამინისტრომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების 28 ლიცენზიის მფლობელი გამოავლინა

საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ 28 ობიექტზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მფლობელი გამოავლინა.

ლიცენზიების საერთო ჯამური საწყისი ფასი 371 532 ლარს შეადგენდა, გაცემულ 28 ლიცენზიაში გადახდილმა თანხამ 437 895 ლარი შეადგინა.

ობიექტები გარდაბნის, მარნეულის, წალკის, დუშეთის, სტეფანწმინდის, მცხეთის, კასპის, ქარელის, ახალციხის, ხაშურის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ზუგდიდის, წალენჯიხის, თერჯოლის, საჩხერის რაიონებში და ქალაქ რუსთავში მდებარეობს. ხაშურის და წალენჯიხის რაიონებში მდებარე 2 ობიექტზე სამინისტროში ლიცენზიის მოპოვებაზე განაცხადი არ შესულა.

გამოვლინდა ქვიშა-ხრეშის, საცემენტე ნედლეულის, ვულკანური წიდის, ტეშენიტის, კირქვის, კვარციანი ქვიშის და ტუფოქვიშაქვების მოპოვების ლიცენზიის მფლობელები.

სს "საგზაო კომპანია თბილისმა" 63 328 ლარად მარნეულის რაიონში, სოფელ ბაითალოს და ზემო სარალის ტერიტორიაზე, მდინარე დებედას სანაპიროზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზია იყიდა. 11-წლიანი ლიცენზიის საწყისი ფასი 57 571 ლარი იყო, მოსაპოვებელი ქვიშა-ხრეშის ჯამური მოცულობა 605 000 მ3.

ინდმეწარმე "ნარგიზა ხაჩირაშვილმა" კასპის რაიონში, სოფელ საქათაგიანოს მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ქსანზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიაში 62 579 ლარი გადაიხადა. ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი 1 341 ლარს შეადგენდა.

# სიახლის ძიება ვასილ მაჭარაძის შემოქმედებაში

თამთა სამსონაძე

გალერეა "ვერნისაჟში" გაიხსნა ახალგაზრდა მხატვარ ვასილ მაჭარაძის გამოფენა. ექსპოზიციაში წარმოდგენილია ფერწერაში შესრულებული 15-მდე ძველი და ახალი ნამუშევარი. თავად მხატვრის რეზიუმე საკმაოდ შთამბეჭდავია - რამდენიმე პერსონალური გამოფენა და მონაწილეობა აქციაში "ბრძოლა ნარკოტიკებისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ".

გამოფენაზე მრავლადაა წარმოდგენილი ვასილ მაჭარაძის მკვეთრი მონასმებით შესრულებული ნამუშევრები. თემატიკა მრავალფეროვანია, ფერები - უხვი. მხატვრის შემოქმედებაში აშკარად იგრძნობა 20-ანი წლების გერმანული ნეოექსპრესიონიზმის გავლენა. ახალგაზრდა მხატვარი ჯერ ძიების პროცესშია, რაც მის ნამუშევრებშიც კარგად ჩანს. აღსანიშნავია, რომ ის არ ასათაურებს საკუთარ ნამუშევრებს. ამიტომ ჩვენ გვიხდება პირობითად სახელი შევურჩიოთ ამა თუ იმ ნამუშევარს. გამოვარჩევდი ორი ადამიანის პორტრეტს, რომელსაც პირობითად "ორნი" დავარქვი. ამ ნამუშევარში ექსპრესიის დიდი მუხტი იგრძნობა. ეს ერთი შეხედვით გულუბრყვილო ნამუშევარია, რომელზეც ორი ადამიანის თითქოს მომლოდინე სახეა აღბეჭდილი. რაც მთავარია, ნამუშევარში კარგად ჩანს მათი ხასიათი.

თავად მხატვარი ამბობს, რომ მისთვის მთავარია გადმოსცეს ადამიანები და სამყარო ისეთი, როგორიც არის ის და არა გაალამაზოს ან ზედმეტად "გააფერადოს". ვასილ მაჭარაძის მთავარი ღირსებაც სწორედ ეს არის - გადმოსცეს ადამიანები და სამყარო მთელი თავისი ღირსებითა და ნაკლით. საერთოდ კი, მხატვრის შემოქმედებას თან სდევს უბრალოება და სისადავე, ისე, რომ მნახველს არ რჩება უკმარისობის შეგრძნება.

დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავია რამდენიმე ფერწერული ტილო, რომლებიც ერთი შეხედვით პოპარტს მოგაგონებთ. მხატვარი თითქოს ცდილობს ნამუშევარში მეტად წამოწიოს ფონი, ხოლო ფერებსა და ზედაპირს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ეს ტროპიზმია - მიმდინარეობა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ჩამოყალიბდა როგორც მხატვრობის ერთ-ერთი მიმდინარეობა და უკვე საკმაოდ აქტუალურია ამ ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებაში.

ვასილ მაჭარაძე ყოველი ნამუშევრის შექმნას დიდ დროს ანდომებს. მის თითოეულ ნახატში იგრძნობა დიდი ენერგია და დადებითი მუხტი. თუმცა, მაინც მეჩვენება, რომ მისი ნამუშევრები არ არის ჩვეულებრივი ფერწერული ტილოები. მას უფრო ექსპერიმენტული ხასიათი აქვს, რაც ალბათ სიახლის ძიების სურვილით უნდა ავხსნათ.

"ვერნისაჟი" სამ დღეს უმასპინძლებს ახალგაზრდა მხატვრის გამოფენას.

# AVON - რუსეთის მოდის ცენტრში

AVON - საერთაშორისო კომპანია, წელს დაარსებიდან 120 წლის იუბილეს აღნიშნავს. იგი რუსეთის მოსახლეობისთვის საკმაოდ ცნობილი და ამავე დროს საყვარელი კომპანიაა. ყოველწლიურად რუსეთის ბაზარზე კომპანია თავის მომხმარებელს სთავაზობს 300-მდე ახალ კოსმეტიკურ საშუალებას, პარფიუმერიას, თმის, სახის და სხეულის კანის მოვლის საშუალებებს. საზოგადოება კომპანიის პროდუქციას მრავალფეროვანი კატალოგებით ეცნობა, რომლებიც ყოველ 4 კვირაში ერთხელ გამოდის. ამ შემოდგომაზე კომპანია აფართოებს თავის შესაძლებლობებს და აქტიურად ერთვება მოდის ახალ პროექტებში. ამ მისიით მას სურს გახდეს სილამაზის ინდუსტრიის ლიდერი.




კომპანია არის ოფიციალური პარტნიორი "მოსკოვის მოდის კვირეულის", რომელიც 24-დან 30 ოქტომბრამდე მოსკოვის "გოსტინნი დვორში" გაიმართება.

კომპანიის გენერალური დირექტორის ბატონ ფერენც დერის აზრით, "ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორობას უდიდესი მნიშვნელობა და დიდი მომავალი აქვს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ერთობლივი ძალებით, რუსეთში მცხოვრები ქალები ყოველდღიურად უფრო გალამაზდებიან, თუ რა თქმა უნდა, დიდ ყურადღებას მიაქცევენ, როგორც მოდის სამყაროს, ასევე კოსმეტიკურ პროდუქციას."

კომპანია თავის იუბელეს "მოსკოვის მოდის კვირეულის" ოფიციალურ საღამოზე აღნიშნავს, რომელიც 30 ოქტომბერს შედგება. საღამოს დაესწრებიან, როგორც დიზაინერები, ასევე რუსული კინოს და შოუბიზნესის წარმომადგენლები.

კომპანია აგრეთვე გეგმავს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას. ერთ-ერთი მათგანი იქნება "ბრძოლა მკერდის კიბოს წინააღმდეგ", რომელსაც იგი რუსეთში 2002 წლიდან აწარმოებს. წელს კომპანიამ გადაწყვიტა ამ თემის ირგვლივ დიზაინერების და საღამოს საპატიო სტუმრების ყურადღება გაამახვილოს. სპეციალურ პრესკოქტეილზე გაიხსნება პროექტი სახელწოდებით "დიზაინერები კომპანია - AVON-თან ერთად მკერდის კიბოს წინააღმდეგ". პროექტში მონაწილეობას ცნობილი დიზაინერები მიიღებენ, რომლებიც შექმნიან აქსესუარების კოლექციას, რათა ისინი აუქციონზე გაიყიდოს. აუქციონი კი 2007-2008 წლის შემოდგომა-ზამთრის სეზონის დაწყებამდე გაიმართება.

კომპანია აგრეთვე წარმოადგენს საკუთარ შოუს, სახელწოდებით - AVON Beauty Lounge, რომელშიც წარმოდგენილი იქნება ამ სეზონისთვის ახალი არომატი - Crystal Aura, სვაროვსკის კრისტალით გაფორმებულ ორიგინალურ ფლაკონში.

# მადონას აფრიკელი ვაჟი შეეძინა

პოპ-ვარსკვლავი ქალბატონი მადონა უკვე რა ხანია სამხრეთაფრიკელი ბიჭუნას შვილად აყვანაზე ოცნებობდა. მისი რჩეული შავკანიანი პრინცი დევიდ ბანდა მალავიიდან 17 ოქტომბრის დილას ჩაიყვანეს ლონდონში. ბავშვს მადონას თანაშემწე ქალბატონი და მისი ერთ-ერთი პირადი მცველი ახლდა.

მომღერალი სულ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა ლონდონში, თუმცა ბავშვის ჩაყვანის პროცესი ამით არ შეფერხებულა. მადონამ დევიდი მისსავე სამშობლოში, მალავიაში გაიცნო, როცა იქ რამდენიმე ბავშვთა სახლის გახსნის საქმეს ჩაუდგა სათავეში. დევიდ ბანდა ადგილობრივი ინტერნატის ერთ-ერთი აღსაზრდელი გახლდათ.

აფრიკულ ქვეყნებში მიღებულია, რომ მშვილებელი, სულ ცოტა, 18 თვე უნდა იყოს ქვეყანაში მანამ, სანამ ბავშვის მეურვე გახდება. თუმცა ეს კანონი ამ შემთხვევაში უხეშად დაირღვა - პოპ-ვარსკვლავისთვის გამონაკლისი დაუშვეს.

მადონას მიერ უდედმამო აფრიკელი ბავშვის შვილად აყვანამ, თანაც კანონდარღვევით, მალავიაში აღშფოთება გამოიწვია. აქციები მოაწყვეს ადამიანის უფლებათა დამცველებმა. სწორედ ამ მიმართულების მალავიის სპეციალურმა კომისიამ განაცხადა, რომ მადონამ ყველა დადგენილი შემოწმება და პროცედურა უნდა გაიაროს, თუ არა და ისინი მისთვის უკანონოდ მინიჭებულ უფლებას გააპროტესტებენ.

## განცხადება აუქციონის გამოცხადების შესახებ

შპს "მშენსერვისის" სააუქციონო კომისია აცხადებს აუქციონს შპს "მშენსერვისის" საკუთრებაში არსებული ავტომანქანა მერსედეს ბენც 200 E, სახელმწიფო ნომერი XXX 171, ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო #WDB1240201A250374 რეალიზაციაზე (ერთ ლოტად).

ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 3050 ლარი, ბიჯი 50 ლარი, ბე - 300 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი ბე და ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 50 ლარია, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე: სს "ტაო ბანკის" ბათუმის ფილიალი, მფო: 220101949, ანგარიშის N360503523, საიდენტიფიკაციო N245426061.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის მიღების მომენტიდან 20 კალენდალური დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ^აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, გამოქვეყნებიდან 2006 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით 10 სთ-დან 16 სთ-მდე (ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N65).

აუქციონი გაიმართება 2006 წლის 01 ნოემბერს 16.00 საათზე. მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N65.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა, ბიჯის გათვალისწინებით).

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა და დამატებითი ინფორმაცია ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ სააუქციონო კომისიაში. მის.: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N65. ტელ.: (995 222) 31227.

**შპს "მშენსერვისის"**
**სააუქციონო კომისია**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1" მისამართი: ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი 17, აცხადებს ტენდერს შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1"-ის საჭიროებისათვის ანძების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესასყიდი საქონლის ჩამონათვალი:

ლოტი 1 - ელექტრომასალები.

ლოტი 2 - რკინა-ბეტონის ანძები.

3. საქონლის მიწოდების პირობები: საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი კახეთის ჩიხი 17, შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1".

5. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის შესახებ (რეკვიზიტების მითითებით), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ პაკეტში) ქართულ ენაზე, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 15 ნოემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1", ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი 17, ოთახი №3.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1. იურიდიული პირისათვის:

ა) იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

7. ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

9. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები: გაერთიანებული ქართული ბანკი, კოდი 220101665, ანგარიშის № 3843407, ს/კ 208141544.

10. ტენდერში შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულების შესრულების უფლება.

11. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: თენგიზ დვალი, ტელ.: 568453; ჯანიკო ნადირაძე, 899 102854, 568407.

შპს "ელექტრო სამონტაჟო მატარებელი 1" ქ. თბილისი, კახეთის ჩიხი 17, ოთახი №3.






## თეატრალური ფესტივალი უკრაინაში

ოქტომბრის ბოლოს უკრაინის ქალაქ ნიკოლაევში გაიმართება საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელშიც ევროპის ქვეყნებთან ერთად საქართველოც მონაწილეობს. როგორც რეჟისორმა გოგი ქავთარაძემ განაცხადა, 25 ოქტომბერს თეატრალურ ფესტივალზე მის მიერ დადგმულ "ჰამლეტს" აჩვენებენ.

სპექტაკლში მონაწილეობენ რუსი მსახიობები, მხატვრობა ბიძინა ქავთარაძეს, ხოლო მუსიკალური გაფორმება თამუნა ლომიძეს ეკუთვნის.

უახლოეს მომავალში გოგი ქავთარაძე ჩეხოვის "ალუბლის ბაღის" დადგმას აპირებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "მის ევროპა"

"მის ევროპის" სილამაზის კონკურსზე საქართველოს 21 წლის თათია აფრასიძე წარმოადგენს. კონკურსი უკრაინის დედაქალაქში 27 ოქტომბერს გაიმართება. მასში 56 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. ჟიურის შერონ სტოუნი უხელმძღვანელებს, ერთ-ერთი წევრი კი ალენ დელონი იქნება. გამარჯვებული პრიზის სახით ნახევარ მილიონ დოლარს მიიღებს. თათია აფრასიძე უკვე გაემგზავრა კიევში.

**ინტერპრესნიუსი**

## მარტინ სკორსეზე

ოსკაროსანი რეჟისორი მარტინ სკორსეზე ახალ ფილმს იღებს. ამჯერად რეჟისორი დაინტერესდა "როლინგ სტოუნზით", რომლის წევრები რეჟისორის დიდი ხნის მეგობრები არიან. დოკუმენტური ჟანრის ფილმში რეჟისორი გამოიყენებს ნიუ იორკის The Beacon Theatre-ში გამართული კონცერტისა და საკონცერტო ტურნეს A Bigger Bang-ის ვიდეომასალას. პარალელურად მაყურებელს საშუალება მიეცემა მუსიკალური ჯგუფის ბიოგრაფიულ გზას გაადევნოს თვალი. დანარჩენ დეტალებს რეჟისორი არ ახმაურებს, თუმცა ჯგუფის ფანებს ბევრ სიურპრიზს ჰპირდება.

მუსიკალურ კინემატოგრაფიაში ეს ფილმი სკორსეზესთვის დებიუტი არ იქნება. მას უკვე გადაღებული აქვს ბობ დილანის ბიოგრაფიული სურათი, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ანტონიო ვივალდი

რეჟისორი ბორის დამასტი იღებს ფილმს ლეგენდარული კომპოზიტორის ანტონიო ვივალდის შესახებ. ბიოგრაფიული სურათი მუსიკოსის ცხოვრების იმ პერიოდს ასახავს, როდესაც მან ვენეციის გოგონათა მუსიკალურ სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. იმ დროს ანტონიო 25 წლის იყო. მოგვიანებით კი ამ სკოლის დირექტორი გახდა. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ლეგენდარული ვარსკვლავები ჟოზეფ ფაინსი, ჟაკლინ ბისე, ჟერარ დეპარდიე, მალკოლმ მაკდაუელი და ზულეიჰა რობინსონი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სპექტაკლები ინგლისურად

მალე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში საუკეთესო სპექტაკლებს სინქრონულად თარგმნიან ინგლისურ ენაზე.

ახალი პროექტი, რომელიც ბრიტანეთის საბჭოს ხელშეწყობით ამოქმედდება, საქართველოში მცხოვრებ უცხოელებსა და თბილისის სტუმრებს საშუალებას მისცემს უკეთ გაეცნონ დასის წარმოდგენებს. როგორც თეატრიდან იტყობინებიან, პროექტი დღეს დაიწყება სპექტაკლით "კაცია-ადამიანი?!"

რობერტ სტურუას რეჟისორობით დადგმულ ერთაქტიან ტრაგიკომედიას გაითამაშებენ მსახიობები ჟანრი ლოლაშვილი, თათული დოლიძე, დათო დარჩია, მარინა კახიანი, ტრისტან სარალიძე, ნანუკა ხუსკივაძე და სხვები.

სპექტაკლში გამოყენებულია კომპოზიტორ გია ყანჩელის ახალი ნაწარმოები "სტიქსი". **პრაიმ-ნიუსი**

## ფოტოგამოფენა

დღეს გალერეა "ბაიაში" გაიხსნება თამუნა ჯალაღანიას პერსონალური გამოფენა, რომელზეც ფოტოხელოვანის მიერ ბოლო 6 წლის განმავლობაში გადაღებული ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი.

როგორც ფოტოხელოვანმა განაცხადა, ექსპოზიციაზე წარდგენილ ნამუშევრებში ალჟირში მოგზაურობაა აღბეჭდილი. გამოფენაზე განთავსდება პორტრეტები და თბილისის ქუჩების ამსახველი ფოტომასალა.

"ბაიაში" დაგეგმილი გამოფენა ჯალაღანიასთვის პირველი პერსონალური გამოფენაა საქართველოში. 6 წლის წინ მან ქაშმირში გამართა გამოფენა.

ექსპოზიცია გალერეა "ბაიაში" 28 ოქტომბრამდე იქნება წარმოდგენილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## პერსონალური გამოფენები

25 ოქტომბერს M გალერეა მხატვარ თემურ გაგნიძის პერსონალურ გამოფენას უმასპინძლებს.

როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა მაია ელიაშვილმა აღნიშნა, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრის მიერ შესრულებული 30 ფერწერული ნამუშევარი ახალი კოლექციიდან.

გამოფენა M გალერეაში 28 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ასევე 25 ოქტომბერს გალერეა "ვერნისაჟში" გაიხსნება ზაქრო ფიცხალაურის პერსონალური გამოფენა. წარმოდგენილი იქნება ფერწერა და გრაფიკა (პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი). **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნიკოლოზ ცისკარიძე

დიდი თეატრის სოლისტმა, რუსეთის სახალხო არტისტმა ნიკოლოზ ცისკარიძემ მიიღო საფრანგეთის საპატიო ჯილდო "ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში დამსახურებისთვის".

ცნობილ მოცეკვავეს ორდენი რუსეთში საფრანგეთის ელჩმა გადასცა.

ცისკარიძის განცხადებით, ჯილდო მისთვის "სასიამოვნო მოულოდნელობა" იყო. "ჯილდო ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა. ის მივიღე ქვეყნიდან, რომელმაც ჩემს პროფესიას ჩაუყარა საფუძველი, ქვეყნიდან, სადაც ესმით, რა არის ბალეტი, სადაც აფასებენ და უყვართ ხელოვნების ეს დარგი", - განაცხადა ცისკარიძემ.

მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლის კურსდამთავრებული ნიკოლოზ ცისკარიძე 1992 წლიდან დიდ თეატრში მუშაობს. მას შესრულებული აქვს 33 პარტია, აქედან 20-ზე მეტი - წამყვან კლასიკურ და თანამედროვე ბალეტებში. ცისკარიძე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატია, ქვეყნის მთავარი ნაციონალური თეატრალური პრემია - "ოქროს ნიღაბი" ორჯერ აქვს მიღებული. ასევე - მრავალი პრიზი საერთაშორისო და რუსეთის საბალეტო კონკურსებსა და ფესტივალებზე. **ინტერპრესნიუსი**

## დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შემავალი ჩიჩხიტურის ტაძრის ტერიტორია სადავო გახდა.

აზერბაიჯანის მესაზღვრეები 12 ოქტომბერს ჩიჩხიტურის მონასტერთან და კოშკთან გამოცხადდნენ და მონასტრის ტერიტორიაზე პრეტენზია განაცხადეს. შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მონასტრის ბერთა საძმომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს მთავრობას გაუგზავნა სპეციალური მიმართვა, რომელშიც დახმარებას ითხოვს.

ბერები იმედოვნებენ, რომ აზერბაიჯანის მთავრობა ქართველ ხალხს 300 მეტრის გამო შეურაცხყოფას არ მიაყენებს და ჩიჩხიტურის მონასტერში წირვა-ლოცვა განახლდება.

მონასტრის ტერიტორიის ამ ნაწილის კუთვნილების საკითხს ადგენს ორმხრივი კომისია, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს.

XX საუკუნის დასაწყისში, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის დროს, საზღვარი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის დავით გარეჯის უდაბნოდან 40 კილომეტრის მოშორებით გადიოდა. საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე სერგო ორჯონიკიძემ ეს ტერიტორია მეზობელ აზერბაიჯანს "უსახსოვრა".

ამჟამად ქართველებს აზერბაიჯანის იურისდიქციაში მოქცეული ჩიჩხიტურის მონასტრის მხოლოდ ერთი ფრთა ეკუთვნის. დავით გარეჯის უდაბნოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სამხატვრო აკადემიის სტუდენტები საპროტესტო აქციას გამართავენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ბრიტანელი რეჟისორის ქართული თავგადასავალი

## ფრანგული კაბა თათასთვის

სოფო კილასონია

"ეს არის რიტმი, წამოსული გულიდან", - ეს სიტყვები ფლამენკოს ეკუთვნის. ისინი პაკო პენიამ დამიტოვა სამახსოვროდ. სამახსოვროდ დამრჩა მისი და მისი კოლექტივის კონცერტიც, რომელიც 16 ოქტომბერს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ვიხილე. სამი გიტარისტის, ორი მომღერლისა და სამი მოცეკვავის წარმოდგენა, მთელი ორკესტრის, მთელი დასისა და ერთი დიდი გუნდის ულამაზეს შოუს უდრიდა. პაკომ მე, და არა მხოლოდ მე, სამახსოვროდ დაგვიტოვა ყველაზე ნამდვილი და ყველაზე გულწრფელი ისტორია ფლამენკოზე, მთელ ესპანურ საგანძურზე, არაბულ-ესპანური მოტივებით აღსავსე გულწრფელი ხელოვნება ხალხისა, რომელსაც ალბათ არასდროს გამოელევა სათქმელი, სათქმელი სხეულითა და ბგერებით. იმ დროს, როცა მათ ფლამენკოს ვუყურებდი და ვუსმენდი, ვფიქრობდი, რომ არაფერია იმაზე ნამდვილი ხელოვნებაში, როგორც ეროვნული მემკვიდრეობა, არასდროს არის ხელოვანი ისეთი გულწრფელი, ვიდრე საკუთარი წარსულისა და საკუთარი ვინაობის ილუსტრირებისას. სიტყვა "ილუსტრაცია" არ მიყვარს, მაგრამ სიტყვებზე ფიქრი ყოველთვის რთულად მეჩვენება, როცა აზრს ემოცია უსწრებს... იმ საღამოს მივხვდი, რომ არავინ ისე რუდუნებით არ ეპყრობა საკუთარ კულტურას, როგორც მუდამ ცოცხალი ფლამენკოს მემკვიდრეები. ამისთვის კი მათ არც ეროვნული კულტურის დღეები სჭირდებათ და არც განსაკუთრებული პატრონაჟი. მათ უბრალოდ ესმით საკუთარი ტრადიციული ხელოვნების არსი და შეუცვლელი ხასიათი, ამიტომაც ფლამენკო ისევ ის არის, რაც უწინ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ბევრად თამამია მოძრაობაცა და ჟესტებიც.

პაკო პენიამ, რომელიც ფესტივალ "საჩუქრის" მონდომებით უკვე მეორედ ესტუმრა თბილისს, დაიწყო საინტერესო თეატრალური ექსპოზიცია ჩვენს დედაქალაქში. ფესტივალის მთავარი ნავსაყუდელი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრია. ადგილი, საიდანაც, სანამ წარმოდგენებს იხილავთ, შავ-თეთრ გზებს, წიბახას ლამის უსასრულო გზატკეცილებს დაადგებით, გზებს, რომლებზეც შიგადაშიგ მგზავრებიც შეგხვდებიან; ეს ისე, იქნებ მოგინდეთ და გაესაუბროთ!

წლევანდელი "საჩუქარი" უდავოდ საინტერესო გახლავთ და ეს უკვე მგონი აღვნიშნეთ კიდეც. სათქმელი და მოსაყოლი ბევრია, თუმცა ამჯერად მხოლოდ ერთ სტუმარსა და მის მიერ ჩამოტანილ ორ სპექტაკლზე ვისაუბრებთ. რამდენად არის ჰილარი ვუდი თბილისისთვის სტუმარი, ნამდვილად არ ვიცი. ხელოვნების ფესტივალისა და არაერთი ქართველი კოლეგის მეგობარი ქალბატონი თბილისს მაშინ დაუახლოვდა, როცა უკვე მის საყვარელ ქალაქს ყველაზე მეტად უჭირდა - ომის დროს საქართველოში აღმოჩნდა და მძიმე ჟამს ვერ მიატოვა მასპინძელი ხალხი. სწორედ აქედან იწყება მისი ქართული თავგადასავალი, სახელად "თეთრი მანდილი" და მეორე, ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი "საჩუქარი". მკითხველი მიხვდება, რომ ორივე ეს ისტორია ბრიტანელი რეჟისორის ქართველ კოლეგასთან, ქალბატონ ქეთი დოლიძესთან მეგობრობის პარალელურად ვითარდებოდა.



თამარ ბზიავა

მოგონებებიდან და რომანტიკული იმპროვიზაციებიდან სპექტაკლებზე უნდა გადავინაცვლოთ. ორი დღის წინ ფესტივალმა სრულიად ბრიტანული ნამუშევრის ჩვენება დაასრულა. ვუდიმ და მისმა პატარა სამსახიობო კოლექტივმა ჰაროლდ პინტერის ერთ-ერთი ყველაზე პირველი და ყველაზე ცნობილი პიესა "კოლექცია" წარმოგვიდგინეს. ქალბატონი ვუდი ამბობს, რომ "კოლექცია" სიცოცხლისა და ღალატის დახვეწილი ტანგოა, შეისწავლის მორალისა და პირადულ ემოციებს შორის დამოკიდებულებას 60-იანი წლების მღელვარე ლონდონში". ნობელის პრემიით დაჯილდოებული ეს პიესა ჩვენთვის ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე დრამატურგის ხასიათისა და სტილის ცხადად გამომხატველი ნაწარმოებია. პიესა, რომელშიც თითქმის ყველაფერია, რის გამოც პინტერი მოგვწონს და რის გამოც მისი ტექსტები სცენაზე თითქმის ყოველთვის წარმატებით თამაშდება. აქაც, ისე როგორც სხვა დანარჩენ ნაწარმოებებში, დაუშვებელი ხდება, მაგრამ არასდროს მოხდება ის, რასაც საბოლოოდ ელოდები. უბრალოდ, რიგითი ცხოვრებისეული კადრი, სრულიად არაბუნებრივი გარდაქმნებით... "კოლექციას", თავისი პირდაპირი და ირიბი ტექსტებით, არაჩვეულებრივად კითხულობდნენ ახალგაზრდა ბრიტანელი მსახიობები. პიესა მართლაც რომ ამომწურავად ამოიკითხეს და შეძლეს ეჩვენებინათ ის, რასაც არა მხოლოდ კონკრეტული დრამატურგიული ნიმუში, არამედ ავტორი მოიცავს მთელ თავის შემოქმედებაში: არა განზოგადებულ, არამედ კონკრეტულ ამბავს, იმას, რაც ხდება და მოხდება, მაგრამ მაინც წარმოუდგენელს, სამარადისოდ ღიად დარჩენილ ინტრიგას, კიდევ ადამიანებს, რომლების სჩადიან იმას, რასაც ყველა და ყოველთვის, მაგრამ მაინც ხშირად სჩადიან მიუღებელსა და აკრძალულს.

ყველაზე უფრო დასამახსოვრებელი ამ წარმოდგენაში მსახიობთა შესრულება გახლდათ: დამაჯერებელი სახეების კოლექცია, უცნაურად თავშეკავებული მანერითა და ყოველგვარი ფორსირებული "თამაშობების" გარეშე. ოთხმა ახალგაზრდა მსახიობმა გვიჩვენა ის, რაც დიდი ხანია ქართულ თეატრალურ ნაწარმოებებში არ გვინახავს. მაღალი პროფესიონალიზმი, რომლითაც ძალზე იოლად შეძლეს გამხდარიყვნენ სტელა, ჯეიმსი, ბილი და ჰარი. ყოველგვარი პირადი, სამსახიობო ამბიციებისა და საკუთარი დასკვნების გარეშე. ერთგულება დრამატურგისა და ალბათ რეჟისორისა, როგორც ჩანს, ის გზაა, რომლითაც მაყურებელი დააჯერეს, რომ საათნახევარი მათ ნამდვილად იცხოვრეს ჩვეულებრივ ოთახში, რომელსაც უბრალოდ ერთი კედელი აკლდა. დააჯერეს, რომ პინტერს არაფერი მოუგონია, რომ ისინი არსებობენ და ნამდვილად სვამენ კითხვებს, რომელზეც პასუხი არსებობს, მაგრამ უცნობია. უბრალოდ, პროფესიონალიზმი არ იყო მთავარი, რის გამოც ამ დღეებში ამ ახალგაზრდა ინგლისელებზე საუბარი თეატრში არ დასრულებულა. იყო კიდევ უცნაური მანერა. რეჟისორები ამას ალბათ "ტექნიკას" უფრო დაარქმევდნენ. მეტყველების ხერხი, როცა მთავარი აზრი თუ ემოცია არ იყო ხელშესახები, შიშველი, არამედ უბრალოდ იგრძნობოდა, რადგან ის რჩებოდა მსახიობში, "დუღდა" მასში და შესაბამისად მშვიდი დიალოგები მდიდარ, ემოციურ, განცდით საფუძველზე იგებოდა. ეს უკანასკნელი დეტალი უდავოდ არა მხოლოდ მსახიობების, არამედ პირველ რიგში ალბათ რეჟისორის ხელწერას უნდა მივაკუთვნოთ.

რეჟისურა, ისე როგორც ჰილარი ვუდის მომდევნო წარმოდგენაში, ბევრისთვის მწირი და ღარიბი აღმოჩნდა. ფაქტია, რომ მის რეჟისორულ მინიმალიზმს არც ერთი ნაწარმოებისთვის არაფერი დაუკლია. პირიქით. ასეთი სპექტაკლები მუდამ იმსახურებს დრამატურგებისა და ტექსტის მოყვარული მაყურებლის სიმპათიას. "კოლექცია" ფესტივალის ერთ-ერთი პირველი სპექტაკლი გახლდათ, თუმცა ეჭვი მაქვს, რომ ის წლევანდელი "საჩუქრის" ერთ-ერთ გამორჩეულ წარმოდგენად დარჩება.

რაც შეეხება ჩვენს მიერ უკვე აღნიშნულ მეორე ნაწარმოებს, ჰილარი ვუდის მეორე სპექტაკლს, ამ შემთხვევაში ქართულ-ბრიტანულ ნამუშევართან გვაქვს საქმე. "დაგვიანებული დღიურები" თამარ ბართაიას ერთ პატარა, მაგრამ მომხიბვლელ პიესას "კაბას" გვთავაზობს. მონოსპექტაკლის დადგმა ქალბატონმა ვუდიმ სპეციალურად ახალგაზრდა ქართველი მსახიობის თამარ ბზიავასთვის გადაწყვიტა. მაგრამ არჩევანზე დიდად იმოქმედა თავად პისით გატაცებამ.

თამარ ბზიავამ ქართული პიესა ინგლისურ ენაზე ითამაშა. ეს პირველი შემთხვევა იყო მსახიობისთვის. პირველად აღმოჩნდა თამარი სცენაზე მარტო. გუშინ საღამოს მისთვის ალბათ ბევრი რამ მოხდა პირველად. სპექტაკლი, რომელიც ნამდვილად საინტერესო მოსასმენი და სანახავია, მთლიანად მსახიობის შესაძლებლობებზე იყო გათვლილი. არაფერი იპყრობდა ჩვენს ყურადღებას ამ დიდ მონოლოგში, გარდა თავად მონოლოგისა და მისი დეკლამატორისა. ასეთი რთული დავალების მიუხედავად, ახალგაზრდა მსახიობმა დავალებას კარგად გაართვა თავი. თავდაჯერებულობამ, რომელიც მას სპექტაკლის მეორე ნაწილიდან ნამდვილად დაეუფლა, საშუალება მისცა მუსიკალურად მშვენივრად გაფორმებული ტექსტი ქმედებად ექცია და დამსახურებული მილოცვები და აპლოდისმენტები მიეღო.

თამარ ბზიავას მიერ გაცოცხლებული, ტანსაცმლის კარადაში მოკალათებული კაბა ფესტივალის ფარგლებში აღარ მოგვითხრობს საკუთარ დღიურებს. კაბა, რომელიც მთავარ გმირს ანუ ქართველ გოგონას - თათას ეკუთვნის, სავარაუდოდ მომავალში ქართულად ალაპარაკდება. თუმცა მკითხველს არ უნდა ეგონოს, რომ სპექტაკლში იყო, მაგრამ გამოგვრჩა მეორე მთავარი გმირის არსებობა. სულაც არა. თათა არსებობს, მაგრამ უხილავია. უხილავია იმიტომ, რომ ყველაფერს, რაც სათქმელია, მისი თანამგზავრი, ფრანგული წარმომავლობის, მასავით ათასჯერ შეურაცხყოფილი სამოსი გვეუბნება.





ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

სიახლე!

ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

მის. ი. ჭავჭავაძის 78

დავით ტატიშვილის აღდგენითი

მედიცინის ცენტრი
ტელ: 293 -292
(899) 222 - 912
(893) 65 38 39

ჩვენ მივდევთ დროს!

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.
■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.
■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.
■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.
■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.
■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.
■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.
■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.
■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.
■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.
■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.
■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.
■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.
■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში
■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.
■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.
■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8
ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42

## საქართველომ უკან დაიხია

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაცია ფიფამ ტრადიციულად გამოაქვეყნა რეიტინგი, რომლის მიხედვით საქართველოს ნაკრები 302 ქულით 98-ე ადგილზეა. სექტემბრის რეიტინგთან შედარებით, ჩვენი ქვეყნის პირველმა გუნდმა 5 საფეხურით დაიწია.

ბოლო რეიტინგის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ორი შეხვედრა ჩაატარა: ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იტალიასთან შინ 1:3 დამარცხდა, ამხანაგური მატჩი გერმანიის ნაკრებთან კი სტუმრად 0:2 დათმო.

რეიტინგის პირველ ათეულში მხოლოდ იტალიამ და გერმანიამ გაიუმჯობესეს პოზიციები - რობერტო დონადონის გუნდმა სამი საფეხურით წაიწია და ახლა მეორეა, გერმანიის ნაკრები კი მეექვსე საფეხურზე დამკვიდრდა. იოახიმ ლიოვის გუნდი სექტემბერში მერვე ადგილზე იყო.

საუკეთესო ათეული: 1.ბრაზილია - 1560, 2.იტალია - 1540, 3.საფრანგეთი - 1483, 4.არგენტინა - 1446, 5.ინგლისი - 1370, 6.გერმანია - 1339, 7.ჰოლანდია - 1313, 8.ჩეხეთი - 1253, 9.პორტუგალია - 1224, 10.ესპანეთი - 1198.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების მეტოქეები სექტემბრის რეიტინგში შემდეგ ადგილებზე არიან: 13.უკრაინა - 1054... 25.შოტლანდია - 810... 70.ლიტვა - 455... 185.ფარერის კუნძულები - 31.

## ქორებს ფრთები შეკვეცეს

| | |
|---|---|
| **ინდიანა - შარლოტა** | **109:96** |
| **ატლანტა - ორლანდო** | **88:109** |
| **დალასი - მილუოკი** | **88:71** |
| **ლეიკერსი - კლიპერსი** | **90:91** |
| **გოლდენ სტეიტი - ნიუ ორლეანი** | **112:103** |
| **სან ანტონიო - ჩიკაგო** | **67:99** |
| **იუტა - პორტლენდი** | **104:90** |
| **ფენიქსი - საკრამენტო** | **111:94** |

NBA-ს რეგულარული სეზონის მორიგი სათამაშო დღე ატლანტელი "ქორებისთვის" წარუმატებელი გამოდგა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა სეზონში მეორე მარცხი იგემა. აღსანიშნავია, რომ სულ რაღაც ორი დღის წინ "ატლანტამ" "ორლანდო" გასვლით შეხვედრაში დაამარცხა ახლა კი პირწმინდად დამარცხდა საკუთარ კედლებში. მარცხის მთავარი მიზეზი ზაზა ფაჩულიაა. მსუბუქი ტრავმის გამო ქართველმა ცენტრმა მატჩი გამოტოვა და ლიდერის გარეშე დარჩენილმა ქორებმა მეტოქეს ვერაფერი დაუპირისპირეს. "ატლანტამ" სწორედ ფარი წააგო. სტუმრებმა მთელი მატჩის განმავლობაში 45-ჯერ მოხსნეს ფარიდან ბურთი, ჯორჯიელებმა კი ფაჩულიას არყოფნაში მხოლოდ 31-ჯერ მოახერხეს იგივე. ზაზას არყოფნაში გაილაღა ორლანდოელთა მძიმე ფორვარდმა დუიენ ჰოვარდმა, რომელმაც მატჩი ორმაგი დუბლით დაასრულა (20 ქულა და 16 მოხსნა).

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია კალიფორნიული დერბი. "კლიპერსმა" თანაქალაქელ "ლეიკერსს" ბოლო წამებზე ერთქულიანი უპირატესობით მოუგო.

## ფაბრეგასის ახალი კონტრაქტი

სეზონის დაწყების წინ საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ "არსენალის" ახალგაზრდა ნახევარმცველის ჩესკ ფაბრეგასის კონტრაქტზე. ესპანელ თინეიჯერს თითქმის ყველა გრანდი იწვევდა. "ბარსელონა", "რეალი", "მილანი" და "ინტერი" ფეხბურთელის შეძენას ლამობდნენ. ერთხანს თითქოს ფაბრეგასის ტრანსფერი გარდაუვალიც იყო, მაგრამ ჩესკმა "არსენალში" დარჩენა ამჯობინა, ამ ორიოდე დღის წინ კი კარიერა მთლიანად ლონდონურ კლუბს დაუკავშირა. "მეთოფეებმა" ახალგაზრდა ფეხბურთელთან 8-წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ხანგრძლივი ვადით ვენგერის გუნდს არც ერთ მოთამაშესთან არ გაუფორმებია კონტრაქტი.

"ბედნიერი ვარ და მეამაყება "არსენალის" მაისურით ფეხბურთის თამაში. შევეცდები გავამართლო კლუბის ხელმძღვანელთა ნდობა. ყველაფერს გავაკეთებ, რათა ბოლომდე გამოვამჟღავნო ჩემი პოტენციალი და კლუბს ყველა შესაძლო ტიტულის მოგებაში დავეხმარო ", - კონტრაქტზე ხელის მოწერის შემდეგ განუცხადა ჩესკმა ჟურნალისტებს.

## ვან გაალის სურვილი

ჰოლანდიური "ალკმაარის" ტიტულოვანმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა ჟურნალისტებს თავისი ფარული ოცნება გაუმხილა. თურმე ნუ იტყვით და, ვან გაალს ბრაზილიის ან არგენტინის ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელობა სურს. აღსანიშნავია, რომ ვან გაალს უნდა, დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა რომელიმე ამ ნაკრებში, რათა სამხრეთამერიკელები 2010 წლის მუნდიალისთვის მოამზადოს. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა ისიც თქვა, რომ თუ სამხრეთ ამერიკაში ვერ იპოვა სამუშაო, არც ესპანეთის ნაკრებზე იტყოდა უარს.

## რა ღირს ბალაკის მანქანა?

მიუნხენის "ბაიერნიდან" წასული და ამჟამად ლონდონის "ჩელსიში" მოთამაშე მიხაელ ბალაკი ლონდონში გადასვლასთან ერთად თავის Audi S4-საც შეელია. კლუბი მიხაელის ყოფილ მანქანას აუქციონზე 62 ათას დოლარად ყიდის. გამორიცხული არ არის, რომ ამავე აუქციონზე ოლივერ კანისა და ფილიპ ლამის მანქანებიც გაიყიდოს.

## მორატი თანამდებობას იბრუნებს

მილანის "ინტერის" მფლობელი მასიმო მორატი აცხადებს, რომ კვლავ აპირებს კლუბის პრეზიდენტის პოსტის დაკავებას. მორატი 1995-დან 2004 წლამდე მუშაობდა ამ თანამდებობაზე, შემდეგ კი პოსტი დატოვა. სენიორ მასიმოს სურდა, რომ კლუბის სათავეში მისი ვაჟი მისულიყო, მაგრამ უმცროსმა მორატიმ "ინტერის" პრეზიდენტობა არ ისურვა. ამიტომ მასიმო მორატიმ პოსტის დაბრუნება გადაწყვიტა.

"დიახ, მე კვლავ ვაპირებ პრეზიდენტობას. ჩემს ვაჟს არ სურს ეს თანამდებობა. რა თქმა უნდა, მე ისეთი ენერგიული აღარ ვარ, როგორც ადრე, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ", - აცხადებს მორატი.

სავარაუდოდ, კლუბის დირექტორთა საბჭო მასიმო მორატის პრეზიდენტის პოსტზე 6 ნოემბერს დაამტკიცებს.

## ჩეხის ნაცვლად ბუფონი

ორიოდე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ტრავმირებული პეტრ ჩეხის ნაცვლად ლონდონის "ჩელსიში" პენსიაზე გასული ფაბიენ ბარტეზი ითამაშებს. ეს ინფორმაცია თავიდანვე ძნელი დასაჯერებელი იყო. წარმოუდგენელია, რომ ყველაფერში მოწესრიგებული ჟოზე მოურინიო თავისი გუნდის კარს ახირებულ ბარტეზს ანდობდა. გუშინ კი სრულიად ახალი ცნობა გავრცელდა. ლონდონური გრანდი მართლაც სერიოზულად არის დაინტერესებული მაღალი დონის მეკარის შეძენით, ოღონდ ეს ფაბიენ ბარტეზი კი არა, ჯანლუიჯი ბუფონია. "ჩელსის" სურს, ბუფონთან ამ ზამთარს, სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე გააფორმოს კონტრაქტი. თანაც ბუფონს ამ სეზონში ევროტურნირებზე არ უთამაშია და იტალიელი მეკარე ლონდონელებს ჩემპიონთა ლიგის მატჩებშიც დაეხმარება.

## დარიო სილვა არ ტყდება

სულ ცოტა ხნის წინ ცნობილ ურუგვაელ ფეხბურთელს დარიო სილვას ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა (ფეხბურთელი ავტოავარიაში მოყვა და ექიმებს სხვა გზა არ ჰქონდათ). ცხადია, ამ უბედურმა შემთხვევამ დარიო სილვას საფეხბურთო კარიერას წერტილი დაუსვა, თუმცა ურუგვაელი ძლიერი პიროვნება აღმოჩნდა - ყველაფრის მიუხედავად, დარიო ფეხბურთის თამაშის გაგრძელებას აპირებს. ცხადია, პროფესიონალებში ველარ ითამაშებს. ის ინვალიდთა ტურნირებში მიიღებს მონაწილეობას და პროთეზიანი ფეხით შეეცდება მეტოქის კარის დალაშქვრას.

# "საგარეჯო" თეთრებით იწყებს

## დავეჭიდოთ პუტინს!

გიგა გურასაშვილი

*"საგარეჯო" თუ "იავარა ნევა", დღეს გაირკვევა. ვინ გახდება ძიუდოისტთა ევროპის საკლუბო ჩემპიონი, ამასაც დღეს შევიტყობთ. ერთი სიტყვით, დღეს დაიწყო და დღესვე დასრულდება ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. საგარეჯოელები, როგორც ჩემპიონატის თავდაპირველი მასპინძლები, ნახევარფინალში ავტომატურად დაუშვეს. კენჭისყრამ პირველ მეტოქედ გვარგუნა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის კლუბი სანკტ პეტერბურგიდან "იავარა ნევა" - ევროპის ჩემპიონი. იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება ჩვენსა და ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს შორის, საგარეჯოელებისა და პეტერბურგელების შერკინება ათმაგ მნიშვნელობას იძენს.*



*მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ კედელაშვილი "საგარეჯოს" შეეშველება*

ევროპის საკლუბო ჩემპიონატისთვის თბილისს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ძიუდოს ევროპის კავშირის დირექტორთა საბჭომ საქართველოში არასტაბილური პოლიტიკური ვითარების მოტივით კონტინენტის საკლუბო პირველობა უნგრეთის დედაქალაქს გადაულოცა. ამბობენ, ეს ყველაფერი რუსეთის პრეზიდენტის დამსახურებააო. მოგეხსენებათ ძიუდოსადმი პუტინის დამოკიდებულება... მეტიც, აღმოსავლურ ორთაბრძოლაზე რუსეთის პრეზიდენტს, სხვა ავტორებთან ერთად, წიგნიც დაუწერია - "ძიუდო: ისტორია, თეორია და პრაქტიკა". წიგნი არხანგელსკშია გამოცემული. თანაავტორები კი არიან ყოფილი ძიუდოისტი, ამჟამად საგარეჯოელთა დღევანდელი მეტოქე კლუბის "იავარა ნევას" ვიცე-პრეზიდენტი ვასილი შესტაკოვი და ასევე ყოფილი ძიუდოისტი ალექსანდრ ლევიცკი.

წიგნის გამოცემის იდეა პუტინს ჯერ კიდევ მაშინ ჰქონია, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა. საგულისხმოა, რომ 135-გვერდიანი წიგნის შესახებ კრემლის პრესსამსახურს არაფერი სმენია.

რაც შეეხება თავად პუტინს, ის შავი ქამრის მფლობელი, კლუბ "იავარა ნევას" პრეზიდენტი, რუსეთის ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი და ახლა უკვე ევროპის ძიუდოს კავშირის საპატიო პრეზიდენტია.

"პოლიტიკით რომ არ დაინტერესებულიყო, პუტინი სახელოვანი სპორტსმენი დადგებოდაო", - სინანულით წერს წიგნის ერთ-ერთი ავტორი შესტაკოვი.

ცნობილია, რომ "საგარეჯო" "იავარა ნევას" თეთრი კიმონოებით შეერკინება. გუშინ "საგარეჯოსა" და ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს ბუდაპეშტში შევეხმიანეთ.

**- მას შემდეგ, რაც ევროპის საკლუბო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოგვართვეს, ევროპის ძიუდოს კავშირის წარმომადგენლებს არაფერი უთქვამთ?**

- მათ ხვალ შევხვდებით.

**- პირველად "იავარა ნევას" ხვდებით. მათ ხომ არ გასაუბრებიხართ?**

- პეტერბურგელებს შევხვდით. უბრალოდ მოვიკითხეთ ერთმანეთი. ჩვენს შორის პრობლემა არ არის. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, ისინი - თავისას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გასამარჯვებლად ჩამოვედით.

**- როგორი გუნდი ჰყავთ?**

- "იავარა ნევაში" ყველა ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები არიან. თუმცა, ჩვენ უფრო ძლიერი და ტიტულოვანი გუნდი გვყავს.

...ქართულ კლუბში ოთხი ლეგიონერია უკრაინიდან, ირანიდან, სომხეთიდან და უზბეკეთიდან (თუ, რა თქმა უნდა, საბერძნეთის მოქალაქეს, ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ჯარჯი ზვიადაურს არ ჩავთვლით).

უკრაინელი რომან გონტიუკი (81 კგ.) ათენის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანია (ფინალში სწორედ ჯარჯი ზვიადაურს შეხვდა. და კიდევ, ხაბარელმა ჯარჯი 90-ის ნაცვლად, შესაძლოა, 100 კგ წონაში აჭიდაოს), სომეხი არმენ ნაზარიანი (60 კგ.) ევროპის ჩემპიონია, უზბეკი აბდულო ტანგრიევი (100+) - აზიისა და რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი თუ პრიზიორი. ირანელი არაშ მირესმაილი (66 კგ.) კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი. ქართველებიდან ტატამზე ვიხილავთ ასევე ათენის ოლიმპიურ ჩემპიონს ზურაბ ზვიადაურს (90 კგ.), ამავე თამაშების ვერცხლის მედალოსანს ნესტორ ხერგიანს (60 კგ.), ზაზა კედელაშვილს (73 კგ.), გრიგოლ მამრიკიშვილს (81 კგ.), ირაკლი ცირეკიძეს (90 კგ.), ლევან ჟორჟოლიანს (100 კგ.), ზვიად ხანჯალიაშვილსა და ლაშა გუჯეჯიანს (ორივე მძიმე წონა).

# მსოფლიო თასის გამო

საგაისო მსოფლიო თასის გამო პროფესიული რაგბის ხანაში დაკანონებული განრიგები ბითუმად აირია. სამხრეთის სამი ერი ორწრიან ფორმატს ერთი სეზონით უბრუნდება და უმაგალითოდ ადრეც იწყება. ზე 14 თებერვლის პირველივე პარასკევს ჩაღდება, ივნისის ტესტებმა კი მაისში ხომ ჩაიჩოჩეს და ლამისაა ფეხბურთის დარ, ამხანაგურ, რაგბული გაგებით ყოვლად უაზრო მატჩებად გადაგვარდნენ.



*სამი ერი წლეულს დროზე ადრე დასრულდება*

მსოფლიო თასი საფრანგეთში 7 სექტემბერს იხსნება. მონაწილეებს 26 აგვისტოს შემდეგ სპარინგებიც კი ეკრძალებათ. სამ ერს წლეულს მესამე წრე დაემატა და ათ კვირამდე გაიწელა, მაგრამ გაისად ძველ ყაიდაზე, კომპაქტურად გაიმართება.

ამჯერად აფრიკა შინ იწყებს, ხოლო ზელანდია - გარეთ, ავსტრალიას კი შუა წელშიღა უწევს მასპინძლობა. ოზებს ოლ ბლექსი, ბლედისლოუს თასზე სარკენად, 1998 წლის აქეთ პირველად ჩაჰყავთ სტრატეგიულ ბაზარზე, 18-კაცა რულზის ციტადელ მელბურნში, სადაც თამაში ვეება, განახლებულ, 97-ათასიან კრიკეტ გრაუნდზე გაიმართება.

სამი ერი ივნისში აქამდე არასოდეს დაწყებულა. აფრიკას მასპინძელი ქალაქები ჯერ არ დაუსახელებია, მაგრამ ასპარეზთა როტაციის გამო, გაისად თამაშები სანაპიროზე მდებარე კეიპტაუნსა და დურბანს ერგებათ. ავსტრალიას არ გამოუცხადებია თამაშთა დაწყების დრო, მაგრამ ცხადია, რომ რაგბი პრაიმ-ტაიმს არავის დაუთმობს.

კივებმა სამი ერის შესახებ სამარჩიელო არაფერი დაგვიტოვეს, მაგრამ ტესტებში ცუდად აქვთ საქმე, რადგან საფრანგეთში შინაური პირველობა 9 ივნისს მთავრდება და კივეთში წყვილი მატჩის სათამაშოდ მიმავალ ლე ბლეს ერთბაშად ოთხი (!) მოწინავე კლუბის წევრები დააკლდება, რითაც თამაშები ფარსად იქცევა.

ზელანდია მესამე მოთელვისთვისაც დაეძებს მეტოქეს, მაშინ როცა ავსტრალიას იმავე ვადებში (26/05, 2'9/06) სტუმრობენ უელსი (ორი ტესტი) და ფიჯი, ხოლო აფრიკას - ინგლისი (ორი) და სამოა.

**2007 წლის სამი ერი**

16/06 აფრიკა - ავსტრალია, კეიპტაუნი 17.00

23/06 აფრიკა - ზელანდია, დურბანი 17.00

30/06 ავსტრალია - ზელანდია, მელბურნი 14.00

07/07 ავსტრალია - აფრიკა, სიდნეი 14.00

14/07 ზელანდია - აფრიკა, ქრაისთჩერჩი 11.35

21/07 ზელანდია - ავსტრალია, ოკლენდი 11.35

# უიღბლობა თუ ალბიონთან გაუცხოება?

## ანდრეი შევჩენკოს უგოლობის ხანა გრძელდება

მარი ჯავახიშვილი

ორ თვეზე მეტია, ანდრეი შევჩენკოს საფეხბურთო პრობლემები ბრიტანული სპორტული მედიის ყბადაღებული თემაა. შევაზე წერს ყველა -ტაბლოიდური გამოცემა "სანით" დაწყებული და ავტორიტეტული "გარდიანით" დამთავრებული. მათ ყველას ერთი კითხვა აერთიანებს: რა ხდება უკრაინელის თავს, ფორვარდისა, რომელსაც სერია ა-ში 127 გოლი აქვს გატანილი, პრემიერლიგაში კი ორ თვეში ორად ორჯერ გამოიჩინა თავი? ოღონდ ვერც ერთ შემთხვევაში ანდრეის გოლი გუნდს ვერ დაეხმარა - "ჩელსიმ" ორჯერვე წააგო.

პრესაში ატეხილი აჟიოტაჟის მიუხედავად, ლონდონელთა თავკაცი ჟოზე მოურინიო შევაზე აზრს არ იცვლის: "ანდრეი ბრწყინვალედ თამაშობს. ერთადერთი, რაც აკლია - სიმტკიცეა. ცოტა ხანში ამასაც გამოიმუშავებს".

უკრაინელ ფორვარდს თანაკლუბელი ვარსკვლავებიც ამხნევებენ:

"არ მესმის, რა შუაშია გატანილი გოლების რაოდენობა? - მხარს უბამს თავკაცს გუნდის კაპიტანი ჯონ ტერი, - ვინც "ლევსკისთან" გატანილი პირველი გოლი ნახა, შეამჩნევდა, როგორ გაირღვა შევა მეტოქის ნახევარზე, მოხერხებულად გაექცა მცველს და ზუსტად გადასცა პაულუ ფერეირას. ერთი სიტყვით, "ლევსკის" კარში სწორედ ანდრეის ბრწყინვალე კომბინაციის წყალობით გავიტანეთ გოლი. დარწმუნებული ვარ, საკუთარ გოლებსაც მალე გაიტანს".



*შევჩენკომ ვერც "ბარსელონასთან" გამოიყენა საკუთარი შანსი*

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ მოურინიო და ტერი ჭეშმარიტად მართალი არიან. "ჩელსის" ახალშეძენილი თავდამსხმელი რომ ცუდად თამაშობს, ამას მხოლოდ ის იტყვის, ვისაც "არისტოკრატთა" თამაში არ უნახავს. ის, რომ შევა წუთითაც არ ჩერდება, მუდმივად ბურთზეა ორიენტირებული და კარისკენაც ხშირად ურტყამს, "ბარსელონასთან" სალიგო მატჩშიც გამოჩნდა. ოღონდ ეგაა, ეს ის შევა აღარ არის, იტალიელი ტიფოზები ფეხზე ამდგარი რომ უკრავდნენ ტაშს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ "ჩელსი" "მილანისგან" განსხვავებულ, "მოურინიოს სახელობის" ფეხბურთს თამაშობს. იქნებ ამიტომაც არის, რომ "ლურჯების" მთავარ გოლეადორად ლონდონში დიდი ხნის დამკვიდრებული დიდიე დროგბა ითვლება. მაგრამ ინგლისში სასწაულებს მაინც ანდრეი შევჩენკოსგან ელიან.

ამასობაში უკრაინელის უგოლობაზე ლაპარაკობს ყველა, ვისაც არ ეზარება. ტრავმის შედეგი, ცუდი სათამაშო ფორმა, ფსიქოლოგიური არამდგრადობა, უიღბლობა, არაინგლისური მენტალიტეტი... - აი, მიზეზთა ნუსხა, რითიც ნისლიან ალბიონზე შევას უგოლობას ხსნიან.

ის კი არა, "როსონერის" ფსიქოლოგმა ბრუნო დე მიკელისმა სურვილი გამოთქვა სრულიად უსასყიდლოდ დაეხმაროს "მილანის" ექსთავდამსხმელს.

ისიც უდავოა, რომ ინგლისი ისე განსხვავდება იტალიისგან, როგორც ცა - დედამიწისგან. თუმცა, უკრაინელი, რომელიც ნისლიან ალბიონზე წარმოშობით ამერიკელი მეუღლის კირსტენ პაზიკის დაჟინებული თხოვნით თუ მოთხოვნით მოხვდა, ინგლისში გადაბარგებას არ ნანობს.

"ჯერ კიდევ კონტრაქტის გაფორმებამდე ვესაუბრე მოურინიოს და დავრწმუნდი, რომ ის ძალიან ჭკვიანი მწვრთნელია. ინგლისში, ფახბურთის ჩათვლით, ყველაფერი მომწონს. აქ, იტალიისგან განსხვავებით, სპორტსმენის ცხოვრება უფრო მომხიბლავი და ნაკლებად დამღლელია. ეს ერთგვარი შოუა, რომელიც მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე მთავრდება. მილანში მუდმივ დაძაბულობას ვგრძნობდი - სულ ყურადღების ცენტრში ვიყავი", - ანდრეი შევჩენკო.

სხვა მრავალი საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო შეკითხვის მიუხედავად, ერთი კითხვა მაინც იწვევს სპეციალისტთა ინტერესს: რაში სჭირდებოდა "ჩელსის" სუპერვარსკვლავის შეძენა, რომელიც მას 30 მილიონი ფუნტი დაუჯდა? რა იყო ეს - გუნდის გასაძლიერებლად გადადგმული ნაბიჯი თუ უბრალოდ სურვილი, კლუბისთვის მეტი მომხიბვლელობა მიენიჭებინათ?

"მე არ ვარ აბრამოვიჩის "ოქროს ბიჭუნა"! მე უბრალო ფეხბურთელი ვარ, ის კი - ჩემი კლუბის პრეზიდენტი", - აცხადებდა თავის პირველ ინგლისურ ინტერვიუში ანდრეი შევჩენკო.

ორი წლის განმავლობაში ჟოზე მოურინიო ერთი ცენტრფორვარდით თამაშს ამჯობინებდა და მისი ეს ტაქტიკა წარმატებულიც გახლდათ. მაგრამ წლეულს პორტუგალიელმა სპეციალისტმა ორი თავდამსხმელით თამაში გადაწყვიტა. ამ ორიდან ერთს - დროგბას გოლები გააქვს, მეორეს, ანდრეი შევჩენკოს - ვერა. თუმცა, ეს უკანასკნელი გამუდმებით ცდილობს მოედანზე საკუთარი ადგილის პოვნას. ეჭგარეშეა, მალე აუცილებლად იპოვის.

თავის დროზე ევროპაში ადაპტირება ხომ თვით დიეგო არმანდო მარადონასაც გაუჭირდა.

# სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" აცხადებს კომერციულ კონკურსს შემდეგი ობიექტების რეალიზაციაზე:

**1. კოჯრის დასასვენებელი სახლი:**

- მისამართი: გარდაბანის რ-ნი, დაბა კოჯრის დასახლების სამხრეთი ფერდობი.
- 1,42 ჰა მიწის ნაკვეთი;
- ნაკვეთზე განთავსებულია შემდეგი შენობა - ნაგებობები:
- კორპუსი N1 - აგებულია 1947 წელს, არის ხის ერთსართულიანი შენობა 138.7კვ.მ.
- კორპუსი N3 - აგებულია 1947 წელს, არის ხის ერთსართულიანი შენობა 281.6კვ.მ.
- საძინებელი კორპუსი N1 - აგებულია 1969 წელს, არის ხის ერთსართულიანი შენობა 290კვ.მ.
- საძინებელი კორპუსი N2 - აგებულია 1970 წელს, არის ხის და ბლოკისაგან აგებული ერთსართულიანი შენობა 165კვ.მ.
- აბანო-საშხაპე - აგებულია 1970 წელს, არის ბლოკისაგან აგებული ერთსართულიანი შენობა 28კვ.მ.
- სასადილო - აგებულია 1970 წელს, არის ბლოკისაგან აგებული ვიტრაჟებიანი ერთსართულიანი შენობა 265.9კვ.მ.
- ტუალეტი (რვა განყოფილებიანი) - აგებულია 1970 წელს, აგებულია აგურისაგან 45.36კვ.მ.
- რკინის რეზერვუარი წყლისათვის 70 ტონიანი
- ხის ორი კოტეჯი
- კლუბის ერთსართულიანი შენობა, შერეული ნაგებობა ხისა და ბლოკისაგან
- ხელსაბანი ნაგებობა, ავზით
- სპორტული მოედანი 326.96კვ.მ.
- სპორტული მოედანი
- ღობე 496გ/მ
- რკინის Qჭიშკარი ორი ცალი
- გარე წყალგაყვანილობა
- გარე კანალიზაცია
- შიდა გზები.
- საწყისი ფასი არანაკლებ 150000 /ას ორმოცდაათი ათასი/ აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე;
- გადახდის გრაფიკი:
- პირველი თვე - 40%
- მეორე თვე - 30%
- მესამე თვე - 30%
- "ბე"-ს ოდენობა: 2000 (ორი ათასი) ლარი.

2. ცემენტ-ბეტონის ქარხანა:

- მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი.
- 2.66 ჰა მიწის ნაკვეთი;
- ნაკვეთზე განთავსებულია შემდეგი შენობა - ნაგებობები:
- ცემენტ-ბეტონის ქარხანა
- ცემენტის საწყობი
- ინერტული მასალების საწყობი
- ცემენტ-ბეტონის მასალების საწყობი
- ავტომობილის სასწორი
- საბურღი დაზგა ელ. ძრავთან
- წყალმზომი 11/მ
- წყალმზომი 15/მ ორი ცალი
- დროებითი საყარაულო ჯიხური
- საგზაო ვაგონი
- ს/ს მეტალოკონსტრუქციები სბ-109 კორპ.
- ბეტონის ამრევი დ-25 კუბ.მ.
- რესივერი მაღ. 18.5კუბ.მ.
- რესივერი მაღ. 15.0კუბ.მ.
- სტაციონარული კომპრესორი ტმტ-74.
- არმატურეს საჭრელი დაზგა
- ტრანსფორმატორი ტმ-400
- დეკორატიული ყვავილების ფორმა ოთხი ცალი
- კარადა სუმ/სნოლ-35
- კარადა 3,5/3
- ელექტროძრავი 4მ
- ელექტროძრავი

მექანიზმები:

- ავტო ამწე
- საწყისი ფასი არანაკლებ 700000 /შვიდასი ათასი/ ლარი, დღგ-ს გარეშე;
- გადახდის გრაფიკი:
- პირველი თვე - 40%
- მეორე თვე - 30%
- მესამე თვე - 30%
- "ბე"-ს ოდენობა: 3000 (სამი ათასი) ლარი.

**3. ასფალტო-ბეტონის ქარხანა:**

- მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტი.
- 2.66 ჰა მიწის ნაკვეთი;
- ნაკვეთზე განთავსებულია შემდეგი შენობა - ნაგებობები:
- ასფალტ-ბეტონის ქარხანა (ინვენტარი, დანადგარები)
- ბითუმის სახარში ქვაბი
- საგზაო ვაგონი
- რკინის ავზი 10 ტონიანი
- საცხოვრებელი ვაგონი
- ტუმბო მოტორით და რედუქტორით (კომპ)
- ელექტრო შემდუღებელი აპარატი

მექანიზმები:

- ავტომანქანა "კრაზი"
- ასფალტის დამგები დს 50
- ასფალტის დამტკეპნი დუ 49
- ჩამტვირთავი ტრაქტორი
- საწყისი ფასი არანაკლებ 400000 /ოთხასი ათასი/ ლარი, დღგ-ს გარეშე;
- გადახდის გრაფიკი:
- პირველი თვე - 40%
- მეორე თვე - 30%
- მესამე თვე - 30%
- "ბე"-ს ოდენობა: 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი.

ობიექტების გადაცემა მყიდველის საკუთრებაში მოხდება თანხის სრულად ანაზღაურების შემდეგ.

ობიექტების გაფორმებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი ანაზღაურდება მყიდველის მიერ.

კონკურსში მონაწილეობის პირობები:

1. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.
2. საკონკურსო წინადადებები და წარდგენილი დოკუმენტები მიიღება დალუქულ კონვერტებში, თანდართული საკონკურსო განაცხადით, რომელიც რეგისტრირებულია აეროპორტის კანცელარიაში შემოსული ნომრით, 2006 წლის 21 ოქტომბრიდან 2006 წლის 3 ნოემბრის 10.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, ტელ.: 433132.
3. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული, ქართულ ენაზე.
4. პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები უნდა იყოს ხელმოწერილი ფიზიკური პირის ან პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადებები არ განიხილება

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია შემდეგი დოკუმეტაციის წარმოდგენა:

იურიდიული პირისათვის:

- საწარმოს პირველი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, სახელწოდებას, საქმიანობის ფაქტიურ ადგილს. შადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლი.
- Mმსურველი იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაია ან ლიკვიდაცია და რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის საწარმოების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

ფიზიკური პირისათვის:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;
- ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;
- უკანასკნელი 5 წლის მანძილზე არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის (ცნობა საქართველოს შს სამინისტროდან). უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან;

9. პრეტენდენტების განაცხადის, წარდგენილი დოკუმენტების და საკონკურსო წინადადებების გახსნა და შერჩევა მოხდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, სს "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი"ს ადმინისტრაციული შენობა, 2006 წლის 3 ნოემბერს 10.00 საათზე.

10. დაგვიანებით შემოსულ კონვერტებს საკონკურსო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", მდებარე ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N15ა, აცხადებს ღია ტენდერს მიკრო-მეტეო სადგურების (2 ცალი) AURIA-NG-ის საინფორმაციო ქსელში ჩართვისა და პროგრამული უზრუნველყოფისათვის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.
2. მომსახურების მოწოდება უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 2006 წლის 25 დეკემბრამდე.
3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 10 ნოემბრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N15ა.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

ბ. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).

დ. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

ე. ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 9 ნოემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა.

7. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი: 302003000, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", ს/კ: 205142200.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, მე-3 სართული, ტელ: (895) 22 42 42, (995 032) 39 74 98.

*საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატენდერო კომისია*

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის განცხადება მოთხოვნა დაინტერესების გამოსახატავად

**საქართველო**
**მსოფლიო ბანკის**
**აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალის**
**გაუმჯობესების პირველი პროექტი (FEWHIP)**

ტრანსპორტის სექტორი
საკონსულტაციო მომსახურება
კონტრაქტი N FEWHIP-/CS/QCBS-01

ეს მოთხოვნა დაინტერესების გამოსახატავად მოსდევს მსოფლიო ბანკის ზემოხსენებული პროექტის ძირითად შეტყობინებას შესყიდვების შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა გაეროს გამოცემაში "Development Business" და DG Market 2006 წლის 30 სექტემბერს და სპეციალურ მოთხოვნას დაინტერესების გამოსახატავად რომელიც იქვე გამოქვეყნდა 2006 წლის 19 ოქტომბერს

საქართველოს მთავრობა იღებს კრედიტს 20 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით განვითარების საერთაშორისო ასოციაციიდან (მსოფლიო ბანკი) აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პირველი პროექტისათვის და აპირებს ამ კრედიტის სახსრების ნაწილის გამოყენებას საკონსულტაციო მომსახურების კონტრაქტებისათვის.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, როგორც პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია, ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრის დახმარებით, იწვევს ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე საკონსულტაციო კომპანიებს გამოხატონ თავიანთი დაინტერესება "2007-2008 წლებში აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის გაუმჯობესების პირველი პროექტის საგზაო სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის" მომსახურების გასაწევად. დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მასალები (ბროშურები, მსგავსი დავალებების შესრულების აღწერილობები, ანალოგიურ პირობებში მუშაობის გამოცდილების და პერსონალის შესაბამისი უნარ-ჩვევების დამადასტურებელი დოკუმენტები).

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ სხვა კომპანიებთან ერთობლივი წინადადების წარმოსადგენად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით - "მსოფლიო ბანკის სესხის ამღებების მიერ კონსულტანტის შერჩევა და დაქირავება, ხარისხისა და ფასის მიხედვით კონსულტანტების შერჩევის" მიხედვით." (2004 წლის მაისის გამოცემა) განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

დაინტერესებულ კონსულტანტებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10-დან 17 საათამდე.

დაინტერესების გამოხატავის შესახებ ინფორმაცია უნდა მიწოდებულ იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე 2006 წლის 20 ნოემბრის 17:00 საათამდე.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
მისამართი: 29, გაგარინის ქ. თბილისი, საქართველო, 0160
საკონტაქტო პირი, სატენდერო სამმართველოს უფროსი შაქრო ხალვაში
ელ. ფოსტა: rdmed@caucasus.net

**ასლი:**
**ტრანსპორტის რეფორმისა და რეაბილიტაციის ცენტრი**
**12 ა, ალ. ყაზბეგის გამზირი, თბილისი, საქართველო, 0160**
**ტელ: +995-32-986-385**
**ფაქსი: +995-32-990-461**
**ელ.ფოსტა: trrc@trrc.ge**
**საკონტაქტო პირი: გიორგი ცაგარელი, დირექტორი**

# Roads Department of the Ministry of Economic Development
# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**
**Transport**
**CONSULTING SERVICES**
**World Bank First East-West Highway Improvement Project**
**Project ID No.: FEWHIP-/CS/QCBS-01**

This invitation for Expression of Interest follows the General Procurement Notice for this project that appeared in Development Business on 30th September 2006 on-line and in DG Market

Georgia is applying for financing in the amount of US$ 20 million equivalent from the World Bank towards the costs of the First East-West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works and related services and consulting services to be procured under this Project which will be jointly financed by the Government of Georgia.

Roads department of the Ministry of Economic Development of Georgia /RDMED/ with assistance of the Eurasian Transport Corridor Investment Center/Transport Reform and Rehabilitation Center /TRRC/ now invites eligible consultants to express their interest in providing "**supervision of the works contract under years 2007-2008 program of the Highway improvement and Review of works design**" services. Interested consultants must provide information indicating relevant qualification to perform the services (brochures, description of similar assignments, availability of appropriate skills among staff, etc. highlighting experiences in similar tasks.

Consultants may associate to enhance their qualifications.

A consultant will be selected in accordance with the procedures set out in the. "Quality Cost Based Selection method of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants by World Bank Borrowers* (May 2004 edition).

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours from 10:00AM to 5:00PM. Expressions of Interest must be delivered to the address below on or before 5:00PM on November 20, 2006:

Roads Department of the Ministry of Economic Development
29 Gagarin St. Tbilisi, Georgia, 0160
Contact person: Head of Procurement Directorate: Shaqro Khalvashi
E-mail: rdmed@caucasus.net

**Copy:**
**George Tsagareli, Director**
**Transport Reform and Rehabilitation Center**
**12 Kazbegi Avenue, II floor, room 208**
**Tbilisi, Georgia, 0160**
**Tel: + 995-32 98 63 85**
**Fax: + 995-32 99 04 61**
**E-mail: trrc@trrc.ge**

# ქ. თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისია აცხადებს კონკურს

**ქ. თბილისში, ვაკე-საბურალოს რაიონში, ტაშკენტის შესახვევი N3-ის მიმდებარედ, საბინაო მშენებლობისათვის ტერიტორიის განკარგვაზე (732,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი) საკუთრებაში გადაცემის მიზნით.**

**საკონკურსო პირობები**

**I. პრეამბულა.**

ქ. თბილისის მერიამ გადაწყვიტა, ქალაქის სამშენებლო პოტენციალის უკეთ გამოყენებისა და გამიჯვნის შედეგად დარჩენილი ტერიტორიის ოპტიმალური დაგეგმარებისათვის, განკარგოს ტერიტორია (732,00 კვ.მ მიწის ნაკვეთი) საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

**II. საპროექტო ტერიტორიის ზოგადი დახასიათება**

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის Fფარგლებში. ტერიტორია შემოსაზღვრულია: დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით მიმდებარე ნაკვეთებით, ხოლო ჩრდილოეთით - ტაშკენტის შესახვევით.

ტერიტორია ხასიათდება სწორი რელიეფით, რომელიც თავისუფალია განაშენიანებისაგან და ამჟამად თითქმის მთლიანად გამოუყენებელია.

**III საკონკურსო ტერიტორიის ფასი**

საკონკურსო ტერიტორიის საწყისი ფასი - 146400 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**IV. ძირითადი მიზნები და ამოცანები**

ზონის შესაბამისი პარამეტრებისა და ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მონაცემების საფუძველზე ჩატარებული გამიჯვნის შემდგომ დარჩენილი, ტაშკენტის შესახვევი N3-ში მდებარე სახლის გამოყენებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს ამ შენობის ორგანულ ნაწილს. ამდენად, სახლისა და მის გამოყენებაში არსებული ტერიტორიის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით სასურველია ერთიანი სამშენებლო რესურსის გამოყენება საბინაო მშენებლობისათვის.

ტერიტორია, რომელიც გადაეცემა საკუთრებაში, განკუთვნილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

ტერიტორიაზე უნდა დაპროექტდეს და განთავსდეს:

- ტაშკენტის შესახვევი N3 სახლთან ერთობლიობაში გააზრებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შესაბამისი ქალაქგეგმარებითი დავალების მიხედვით.

P პრეტენდენტმა საინვესტიციო პროგრამის საშუალებით უნდა:

- უზრუნველყოს ტაშკენტის შესახვევი N3 სახლის სრული განახლება: სახურავის, წყლის გადამყვანების გამოცვლა, საძირკველის გამაგრება, მიმდებარე გარე კანალიზაციის რეაბილიტაცია, ეზოს კეთილმოწყობა.
- კონსტრუქციული მიზანშეწონილობის უზრუნველყოფით განახორციელოს ერთიანი არქიტექტურული ფასადის ფარგლებში ლოჯიებისა და აივნების მოწყობა.
- დაასაბუთოს პროექტის განხორციელების მატერიალური უზრუნველყოფის შესაძლებლობები;
- დაასაბუთოს შესაბამისი საქმიანობის წარმართვისათვის აუცილებელი უნარი, გამოცდილება, პროფესიული საურთიერთობო კავშირები;

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და საკონკურსო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 23 ოქტომბრის 11-სთ-დან 2006 წლის 23 ნოემბრის 17-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქალაქ თბილისის მიწის მართვისა და განკარგვის (საკონკურსო) კომისიაში.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა საკუნკურსო კომისიას უნდა წარუდგინოს:

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
- განცხადება დალუქული პაკეტის სახით;
- ფიზიკური ან იურიდიული პირების რეკვიზიტები;
- შემდეგი ცნობები:

- იურიდიული პირისათვის:
- ცნობა საგადასახადო და სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არსებობს დადებული ყადაღა;

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდება და ოქმი) ასლი;
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის
- 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- საწყისი ფასის 25 %-ის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში იქნება 1 წლის ვადით, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

- ფიზიკური პირისათვის:
- პირადობის მოწმობის ასლი;
- ცნობა სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება ფიზიკური პირის გაკოტრების საქმე;
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- "ბეს" გადახდის დამადასტურებელი საბუთი, საწყისი ფასის 5 პროცენტის ოდენობით ლარებში;
- საწყისი ფასის 25 %-ის საბანკო გარანტია, ან ამავე თანხის ქონების იპოთეკით ან გირავნობით დატვირთვის ვალდებულება.

**"ბეს" გადახდა უნდა მოხდეს ქ. თბილისის შემოსულობების ერთიან ანგარიშზე:**

თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურიF
მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300
ს/კ 203827074
ს/ს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
კოდი: 220101502;

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა იმ მოთხოვნილ ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

საკონკურსო კომისია ერთი კვირის ვადაში აცნობებს კონკურსში მონაწილე ყველა პირს კონკურსის შედეგების შესახებ.

კონკურსში გამარჯვებულთან გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება, სადაც გათვალისწინებული იქნება გამარჯვებულის საკონკურსო წინადადება და მხარეთა შორის ურთიერთობათა რეგულირების სხვა პირობები.

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ილია შარაშენიძე, საკონკურსო კომისის მდივანი, საკონტაქტო ტელეფონი 93-45-73, მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2;**

**ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, ტელ:96-91-26 (111), მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. 89/24.**

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ელმავლების კაპიტალური შესაკეთებლიე სამუშაოების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად ***ელმავლების კაპიტალური შესაკეთებლი სამუშაოების შესყიდვის შესახებ*** და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, (რკინიგზის საიდენტიფიკაციო კოდი - 202886010) და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

2. შესყიდვის ობიექტი:

**ელმავლის კაპიტალური შეკეთება - ელმავალი გლ 11-143, I კატეგორიის (მოცულობის) კაპიტალური შეკეთება**

**კაპ. რემონტიდან გამოსვლა 2006 წლის IV კვარტალში (სასურველი)**

3. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **13 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. შესაბამისი სამუშაოს შესრულების ლიცენზია;
5. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**

1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული მსგავსი სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზისათვის გაწეული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში;

*ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :*

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში **დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე;**

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56-33-51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს „საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამტრედიაში სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად

1) შპს „საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15 ს/ს ბანკი „რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს ერთ ლოტად სამონტაჟო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი)

**ლოტი 1 სამტრედიის სავაგონო დეპოს აწევით საამქროში ვაგონების დასაყენებელი 40 ცალი ლითონის კონსტრუქციის მოქანავე საყრდენის დამზადება და დამონტაჟება. დამკვეთის მიერ წინასწარ გადაცემული კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით**

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს „საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ (ქვითართან ერთად პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ მოთხოვნის შესახებ მომართვა), რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი „რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის ტექნიკური მასალა განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) სატენდერო წინადადება ქართულ ან რუსულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **13 ნოემბერს** 9.00 საათიდან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად,(ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) შემდეგ მისამართზე: შპს „საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს „საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

**3.1 იურიდიული პირისათვის**

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

3.2. **ფიზიკური პირისათვის**:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას**

**3.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ და/ან რუსულ ენაზე .
- სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში დამატებული ღირებულების გარეშე;

**ყველა პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს**:

1.ხელმოწერილი (იურდიული პოირებისა და ინდივიდუალური მეწარმეთათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული), სატენდერო წინადადება (ნიმუში დადგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები, საქონლის მიწოდების ვადები.

2.ხელმოწერილი (იურდიული პირებისა და ინდ. მეწარმეებისათვის ასევე ბეჭედით დამოწმებული ) ფასების ცხრილი (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში ) საქონლის მახასიათებლების მითითებით.

**პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.**

**დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51**

**სატენდერო კომისია**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სხვადასხვა ობიექტების სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს თერთმეტ ლოტად სამშენებლო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

***ლოტი N1 სადგურ მოლითში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 2 შენობის აშენება***
***ლოტი N2 სადგურ წიფში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 2 შენობის აშენება***
***ლოტი N3 სადგურ ლიხში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 2 შენობის აშენება***
***ლოტი N4 სადგურ ქარელში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***
***ლოტი N5 სადგურ აგარაში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***
***ლოტი N6 სადგურ გორში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***
***ლოტი N7სადგურ ძირულაში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***
***ლოტი N8 სადგურ მარელიშში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***
***ლოტი N9 სადგურ ხარაგაულში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***
***ლოტი N10 სადგურ ხაშურში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***
***ლოტი N11 სადგურ გომში ლიანდაგის შემკეთებელთა ბრიგადების სამომსახურეო 1 შენობის აშენება***

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის დეფექტური აქტები განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **13 ნოემბერს** 9.00 საათადან 18.00 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ)სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.1.4 პრეტენდენტების მიერ ფასები წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტა - ლარში დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

**სატენდერო კომისია.**

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ელექტრო სადენების, იზოლატორებისა და ნათურების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს სამ ლოტად სხვადასხვა დასახელების მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | სადენები | საკონტაქტო სადენი; მფ-100 ნომინალური კვეთი 100 მმ.კვ. სიმაღლე 11,80+0,11 მმ. სიგანე 12,81+0,25 მმ. ლადიუსი 6,5 მმ. ხაზური სიმკვრივე 0,89 კგ/მ ხაზური ელექტრო წინაღობა 0,176 ომ/კმ | ტნ | 6 |
| | | ფოლად-ალუმინის არაიზოლირებული სადენი მარკით ას-50 ნომინალური კვეთი ალუმინი-ფოლადი 50/8 მმ.კვ ალუმინის ძარღვის რაოდენობა 6 ფოლადის ძარღვის რაოდენობა 1 მავთულის დიამეტრი 3,2 მმ. გამტარის დიამეტრი 9,6 მმ. ხაზური სიმკვრივე 0,194 კგ/მ ხაზური ელექტ. წინაღობა 0,592 კმ/ომ მრღვევი ძალა არანაკლებ 16,01 კნ | ტნ | 2.5 |
| 2 | ფაიფურის იზოლატორები | ფოლად-ალუმინის არაიზოლირებული სადენი მარკით ას-70 ნომინალური კვეთი ალუმინი-ფოლადი 70/11 მმ.კვ ალუმინის ძარღვის რაოდენობა 6 ფოლადის ძარღვის რაოდენობა 1 მავთულის დიამეტრი 3,8 მმ. გამტარის დიამეტრი 11,4 მმ. ხაზური სიმკვრივე 0,274 კგ/მ ხაზური ელექტ. წინაღობა 0,42 კმ/ომ მრღვევი ძალა არანაკლებ 22,54 კნ | ტნ | 2.5 |
| | | მანჭვალიანი ფაიფურის იზოლატორი მარკით შფ-20 ვ. ნომინალური ძაბვა 10,0 კვ იზოლატორის თეფშის დიამეტრი 175 მმ. იზოლატორის სიმაღლე 184 მმ. მღრვევი ძალა 12,5 კნ მასა 1,7 კგ | ც | 500 |
| | | მანჭვალიანი ფაიფურის იზოლატორი მარკით შფ-10 ვ. ნომინალური ძაბვა 10,0 კვ იზოლატორის თეფშის დიამეტრი 140 მმ. იზოლატორის სიმაღლე 140 მმ. მღრვევი ძალა 12,5 კნ მასა 1,7 კგ | ც | 900 |
| 3 | სხვადასხვა ტიპის ნათურები | ნათურები სინდიყიანი დრლ-700 სიმძლავრე 700 ვტ. | ც | 50 |
| | | ნათურები სინდიყიანი დრლ-1000 სიმძლავრე 1000 ვტ. | ც | 50 |
| | | ჰალოგენის ნათურები კგ-500 ნომინალური ძაბვა 220 ვ. სიმძლავრე 500 ვტ. ცოკოლის ტიპი R 7S | ც | 100 |
| | | ჰალოგენის ნათურები კგ-1000 ნომინალური ძაბვა 220 ვ. სიმძლავრე 1000 ვტ. ცოკოლის ტიპი R 7S | ც | 100 |
| | | ჰალოგენის ნათურები კგ-5000 ნომინალური ძაბვა 220 ვ. სიმძლავრე 5000 ვტ. ცოკოლის ტიპი R 7S | ც | 100 |
| | | ვარვარების ნათურები 215-225-500 ნომინალური ძაბვა 220 ვ. სიმძლავრე 500 ვტ. ვაზნის ტიპი ე-40/45 | ც | 200 |
| | | ვარვარების ნათურები 215-225-300 ნომინალური ძაბვა 220 ვ. სიმძლავრე 300 ვტ. ვაზნის ტიპი ე-40/45 | ც | 500 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სასურველი ვადა - IV კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **13 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**
1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში; დამატებითი ღირებულების გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 33 51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სალიანდაგო მასალების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს ხუთ ლოტად სხვადასხვა დასახელების მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ძრავი | ტურბო ჰარმბერი რეაქტიული - - VK-1 | ცალი | 1 |
| | ფილტრი | საწვავის ტურბო ჰარმბერი რეაქტიული ძრავის VK-1 | ცალი | 12 |
| | სანთელი | ტურბო ჰარმბერი რეაქტიული ძრავის VK-1 | ცალი | 10 |
| | მფრქვევანა (ფარსუნკა) | ავია ნავთის შემფრქვევი, ტურბო ჰარმბერი რეაქტიული ძრავის VK-1 | ცალი | 25 |
| | ბაბინა (ელექტრო მაგნიტური კოჭა) | ტურბო ჰარმბერი რეაქტიული ძრავის VK-1 24 ვოლტიანი; 35-1 | ცალი | 3 |
| 2 | გირები | თოვლამღები მანქანის დანის დიამეტრით-300მმ, h-200მმ, წონით40კგ. | ცალი | 16 |
| 3 | გვარლი | 18-22 მმ | მეტრი | 1500 |
| | გვარლი | 8-10 მმ | მეტრი | 200 |
| | კარბიდი | საშერმდუღებლო საშუალო ფრაქციის | კილოგრამი | 100 |
| | გოგირდმჟავა | აკუმულატორებისათვის გაუზავებელი | კილოგრამი | 300 |
| | სოდა | კაუსტიკური | კილოგრამი | 100 |
| | მინა | სისქით 4 მმ | მეტრ/კვადრატი | 350 |
| 4 | რელე | 24 ვოლტიანი დასამუხტი რრტ-32 | ცალი | 8 |
| | ნახშირი | ამდგზნები 56 H 578 508-509 | წყვილი | 200 |
| | ვოლტ-ამპერმეტრი | 24 ვოლტიანი ვა-240 ША-240 мпса | ცალი | 3 |
| | მილი | შიდა დიამეტრით 32 მმ პნევმო | მეტრი | 250 |
| | მილი | მაღალი წნევის (რეზინის)მავთულის ბადით შიდა დიამეტრით 16 - 24 მმ | მეტრი | 100 |
| | დიოდი | 200-250 ომი | ცალი | 100 |
| 5 | პროჟექტორი | 77.020-14.00.010 | ცალი | 6 |
| | ელ. სადენი | პს 1000 150 მმ/2 (კაბელი) ერთწვერა მრავალძარღვიანი სპილენძის | მეტრი | 150 |
| | ელ. სადენი | პს 1000 200 მმ/2 (კაბელი) ერთწვერა მრავალძარღვიანი სპილენძის | მეტრი | 60 |
| | ელ. სადენი | 25 მმ/2 (კაბელი) ერთწვერა მრავალძარღვიანი სპილენძის | მეტრი | 500 |
| | ელ. სადენი | 5-10 მმ/2 ერთწვერა მრავალძარღვიანი სპილენძის | მეტრი | 500 |
| | ნათურა | 24 ვოლტიანი ერთკონტაქტიანი | ცალი | 50 |
| | ნათურა | 54 ვოლტიანი ერთკონტაქტიანი | ცალი | 50 |
| | ნათურა | 54 ვოლტიანი (პროჟექტორის) ერთკონტაქტიანი | ცალი | 20 |

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სასურველი ვადა - IV კვარტალი;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **13 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**
1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში; დამატებითი ღირებულების გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 33 51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს ლოკომოტივისათვის საჭირო მასალების შესყიდვის შესახებ

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | მოცულობითი ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქორდა | დრეკადი 4-02-7972-083 | ცალი | 60 |
| 2 | მინა | 10 სერიის ელმავლის საქარე ორფენიანი | ცალი | 120 |
| | მინა | 11 სერიის ელმავლის საქარე სამფენიანი | ცალი | 60 |
| 3 | ძაფი | შალის | კგ | 100 |
| | მატერია | ჯვალოს 1მ სიგანის | მეტრი | 2000 |
| 4 | ტრანზისტორი | კტ-808 | ცალი | 250 |
| | | კტ-961 ბ | ცალი | 250 |
| | | კტ-209 ე | ცალი | 250 |
| | | კტ-639 გ | ცალი | 250 |
| | | კტ-203ბ მ | ცალი | 250 |
| | | კტ-201ბ მ | ცალი | 250 |
| | | კტ-805 | ცალი | 250 |
| | | კტ-837 | ცალი | 250 |
| | | კტ-817 | ცალი | 250 |
| | | პ-309 | ცალი | 250 |
| | | პ-210 შ | ცალი | 250 |
| | | პ-701 ა | ცალი | 200 |
| | | ირფ150 | ცალი | 100 |
| | | ირ-630 | ცალი | 100 |
| 5 | დიოდი | დ-814 გ | ცალი | 200 |
| | | დ-814 ვ | ცალი | 200 |
| | | დ-825 ე | ცალი | 200 |
| | | კდ-245 ა | ცალი | 200 |
| | | დ-220 | ცალი | 200 |
| | | დ-226 ბ | ცალი | 200 |
| | | დ-209 ბ | ცალი | 200 |
| 6 | მიკროსქემა | ირ-2113 | ცალი | 50 |
| | | 2 ბცტიფმ | ცალი | 50 |
| | | ირფპ-150 | ცალი | 50 |
| | | ჰფკა 16 პა 60 ც | ცალი | 50 |
| | | ირ 2213 | ცალი | 50 |
| | | ტლ 494 | ცალი | 50 |
| | | პ 37 აჰ | ცალი | 50 |
| | | ჰეფკ 4030 ვტ | ცალი | 50 |
| | | ჰეფკ 4097 ბტ | ცალი | 50 |
| 7 | საკისურები | მოტორ-ღერძული 8ტნ.263.028/029 | წყვილი | 180 |
| 8 | საჭრისები | ფინჯარისებური 30,8მმ | ცალი | 1200 |
| 9 | პოტენციომეტრი | პპბ-25 ე 9009 220 ომ | ცალი | 10 |
| 10 | ჭანჭიკი | თითბერის 6 მმ | ცალი | 100 |
| | პრეშპანი | 0.5 მმ სისქის | კილოგრამი | 350 |
| | ქეჩა | 20 მმ-ის სისქის | ცალი | 100 |
| | კარბიდი | საშემდუღებლო | კილოგრამი | 1000 |
| 11 | სადები | მეტალოკერამიკული სადები ვჟ-3 | ცალი | 1900 |
| 12 | ღერო | ელმავლის ძარის საკიდარის | ცალი | 70 |
| 13 | ღერო | თბომავლის ძარის საკიდარის | ცალი | 55 |
| 14 | თხილამური | დენმიმღების პ-5-ის (მცოცი) | ცალი | 135 |
| 15 | დენმიმღები | პ-5 | ცალი | 8 |
| 16 | წყვილთვალების არტახი | 1060 X 143 X 98 | ცალი | 420 |

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს თექვსმეტ ლოტად სხვადასხვა დასახელების მასალების შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №3407003205, და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვასთან ერთად, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.
2. შესყიდვის ობიექტი :

cxrili ????

3. მოწოდების პირობა და ადგილი - **DDP**, ქ. თბილისი;
4. მოწოდების სასურველი ვადა - ერთ თვე;
5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტებში, ქართულ ან/და რუსულ ენაზე, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) **13 ნოემბერს** 9სთ 00 წთ დან - 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირისთვის :**
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

**ფიზიკური პირისთვის :**
1. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;
4. საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების უზრუნველსაყოფად, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

***ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :***

1. ხელმოწერილი (იურიდიული პირის და ინდივიდუალური მეწარმისთვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისთვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში; დამატებითი ღირებულების გარეშე.

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ: 56 33 51.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესით ლეგალიზებული სახით.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აცხადებს ტენდერს **სამზარეულო ინვენტარისა და მოწყობილობების** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

1. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ეროვნული ბანკი, სახაზინო კოდი:302003000, ანგარიშსწორების ანგარიში N200122900, მიუთითოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინოთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N8 ოთახი 401, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია.

| № | ლოტი | საქონლის დასახელება და ტექნიკური მახასიათებელი | განზომილება | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლოტი 1 | მაგიდა პოლიეთილენის ზედაპირით | ცალი | 4 |
| 2 | | მომსახურეობის ხაზი (მარმიდი) | კომპლ | 1 |
| 3 | | პროდუქტების დასამუშავებელი უჟანგავი ლითონის კორპუსიანი მაგიდა 130X80X80 | ცალი | 2 |
| 4 | | პროდუქტების დასამუშავებელი უჟანგავი ლითონის კორპუსიანი მაგიდა 100X80X80 | ცალი | 5 |
| 5 | | ჭურჭლის უჟანგავი ლითონის ვანა 60X50X50 | ცალი | 4 |
| 1 | ლოტი 2 | 6 ქურიანი ელექტრო ღუმელი | ცალი | 2 |
| 2 | | 4 ქურიანი ელექტრო ღუმელი | ცალი | 1 |
| 3 | | 4 ქურიანი გაზის ღუმელი | ცალი | 2 |
| 4 | | 4 კარიანი საცხობი ღუმელი 8 ჟარონით | ცალი | 2 |
| 5 | | 100 ლიტრიანი გაზის ქვაბი | ცალი | 2 |
| 6 | | 100 ლიტრიანი ელექტრო ქვაბი | ცალი | 2 |
| 7 | | 36 ლიტრიანი ჩაის ქვაბი | ცალი | 4 |
| 8 | | 100 კილოგრამიანი ხორცის საკეპი მანქანა | ცალი | 2 |
| 9 | | 300 კილოგრამიანი ბოსტნეულის საჭრელი მანქანა | ცალი | 1 |
| 10 | | პურის საჭრელი მანქანა | ცალი | 3 |
| 11 | | 2 კამერიანი, 4 კარიანი კარადა–მაცივარი | ცალი | 2 |

3. მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი და/ან საქონლის მიწოდების გრაფიკის მიხედვით.
4. მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის ბოლომდე.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 10 ნოემბერი 10.00 საათიდან 12.00 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, გ. გულუას ქ. N8.
6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის ყადაღა დადებული;
ბ) ცნობა შესაბამისი უწყებიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.
7. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამებიან სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.
8. დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი.

9. ტენდერის შედეგად შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.
10.. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ალექსი თაბუაშვილი, ტელ. 75-47-74, 27-28-32.

**სატენდერო კომისია**

1 უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი იქნება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა
## სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2006 წელს ტენდერის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სსიპ სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტოს მიერ "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის" 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, ტენდერის საშუალებით განხორციელდა 12 სახელმწიფო შესყიდვა, მ.შ. 6 ორეტაპიანი და 6 ერთეტაპიანი ტენდერი.

***"შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის" 2006 წლის სახელმწიფო პროგრამა.***

***1. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში, შშმპ-თა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ცენტრების განვითარების უზრუნველყოფისათვის, ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - ორეტაპიანი საერთაშორისო ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 6 მარტის გაზეთებში "24 საათი" და "Georgian Times".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი "აისი";
რეგისტრირებული კავშირი "მშობელთა ხიდი";
საქართველოს ყრუ ინვალიდთა კულტურის ცენტრი;
კავშირი "გენი";
შ.პ.ს. დასასვენებელი სახლი "თბილისი";
საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია;
გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია;
ასოციაცია "ანიკა";
კავშირი "ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ";
კავშირი "ინვალიდი ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება".

***2. "შშმპ-თა სოციალური ინტეგრაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში, შშმპ ბავშვთა რეაბილიტაციის უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - ორეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 7 მარტის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. "ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის სამკურნალო-საგანმანათლებლო ცენტრი "; სუბკონტრაქტორი - შ.პ.ს. “დასავლეთ საქართველოს ნეირორეაბილიტაციის ცენტრი “თემიდა 97’’.

***3. "შშმპ-თა სოციალური ინტეგრაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში, შშმპ-თა საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - ორეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 7 მარტის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი"; სუბკონტრაქტორი - “საპროთეზო ორთოპედიული რეაბილიტაციის ქართული ფონდი".

***4. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის" ფარგლებში, შშმ პირთა სათემო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - ორეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 23 მარტის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - საქველმოქმედო კავშირი “თემი".

***5. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებების შესყიდვა - საერთაშორისო ერთეტაპიანი ტენდერი.***

ლოტი 1 - სავარძელ-ეტლი
ლოტი 2 - ხელჯოხი
ლოტი 3 - ყავარჯენი
ლოტი 4 - სმენის აპარატი
ლოტი 5 - კოხლეარული იმპლანტი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2006 წლის 10 აპრილის გაზეთებში "24 საათი" და “Georgian Times’’.

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები ლოტებში: 1, 4, 5, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო ლოტები 2 და 3 ჩაიშალა:

ლოტი 1 - ასოციაცია/კავშირი "პრომეთეოსი";
ლოტი 4, 5 - შ.პ.ს. “კინდ-სმენა".

***6. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის" ქვეპროგრამის ფარგლებში, შშმპ-თა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ცენტრების განვითარების უზრუნველყოფისათვის, ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - ორეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 16 მაისის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები:

თემის განვითარების კავშირი "ქველმოქმედი";
ფონდი "პირველი ნაბიჯი";
საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი;
კავშირი "ალტერ ეგო";
ქვემო სვანეთის მოქალაქეთა საზოგადოებრივი ასოციაცია "თეთნულდი";
ფ/პ ზაზა გვაზავა;
ფ/პ დარეჯან მიმინოშვილი;
ასოციაცია "წმინდა სოფია".

***7. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის" ფარგლებში, ინსტიტუციური დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის მიზნით მომსახურების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.***

ლოტი 1 - ზღვის კურორტი;
ლოტი 2 - მთის კურორტი;

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2006 წლის 7 ივნისის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია ლოტში 2, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - შ.პ.ს. "აღობილი", ხოლო ლოტი 1 ჩაიშალა.

***8. გამოცხადებული იქნა ხელახალი ტენდერი - "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის" ფარგლებში, ინსტიტუციური დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის (ზღვის კურორტი) მიზნით მომსახურების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა - 2006 წლის 21 ივლისის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - კავშირი "პანაცეა".

***9. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში უსინათლოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით***
***მომსახურების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 9 ივნისის გაზეთში "24 საათი".

ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით.

***10. გამოცხადებული იქნა ხელახალი ტენდერი - "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში უსინათლოთა საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით მომსახურების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2006 წლის 18 ივლისის გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება - აფხაზეთის უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა კავშირი "ჰერა".

***11. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის" ფარგლებში დასავლეთ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები პერტესის დაავადების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მიზნით ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - ორეტაპიანი ტენდერი.***

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2006 წლის 23 აგვისტოს გაზეთში "24 საათი".

ტენდერი ჩაითვალა არშემდგარად.

***12. "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებების შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.***

ლოტი 1. სავარძელ-ეტლი
ლოტი 2. ხელჯოხი
ლოტი 3. ყავარჯენი
ლოტი 4. სმენის აპარატი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა: 2006 წლის 25 აგვისტოს გაზეთში "24 საათი".

ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები ლოტებში 2, 3, 4, რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, ხოლო ლოტი 1 ჩაიშალა:

ლოტი 2, 3 - შ.პ.ს. "ალმა ლაინი";
ლოტი 4 - შ.პ.ს. “კინდ-სმენა".

სავარძელ-ეტლებზე განხორციელდა ხელახალი შესყიდვა და გაფორმდა ხელშეკრულება ორგანიზაციასთან - ასოციაცია/კავშირი "პრომეთეოსი".

# შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" აცხადებს კონკურსს

საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენებზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების მიზნით და იწვევს ლიცენზირებულ სამშენებლო ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ გაზგაყვანილობის მონტაჟის გამოცდილება და შესაბამისი მოწმობა.

**სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება**
**საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენებზე**
**(შესრულების ვადა 2006 წლის 20 დეკემბრამდე)**

**I.საშუალო წნევის გაზსადენები.**

1. **შეშელიძის ქუჩიდან ბელიაშვილის ქუჩამდე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=315 მმ; SDR - 13,6; L=1710 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=110 მმ; SDR - 13,6; L=73 გრ/მ
2. **სოფ. დიღომიდან დიდი დიღომის განშტოებამდე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=315 მმ; SDR - 13,6; L=2400 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=110 მმ; SDR - 13,6; L=200 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=80 მმ; SDR - 13,6; L=40 გრ/მ
მ/ზედა. მეტალის ელ/შედუღებული, სწორნაკერიანი მილი d=80(89X4,5) მმ; L=50 გრ/მ
3. **გაზსადენის გატარება მინდელის ხიდზე**
მეტალის ელ/შედუღებული, სწორნაკერიანი მილი d=300X10 მმ; L=645 გრ/მ
4. **კიევისა და ჭოროხის ქუჩებზე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=315 მმ; SDR - 13,6; L=677 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=200 მმ; SDR - 13,6; L=15 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=100 მმ; SDR - 13,6; L=10 გრ/მ
მ/ქვეშა. მეტალის ელ/შედუღებული, სწორნაკერიანი მილი d=300(325X7) მმ; L=50 გრ/მ
მ/ზედა. მეტალის ელ/შედუღებული, სწორნაკერიანი მილი d=100(114X4,5) მმ; L=20 გრ/მ
5. **ზოოპარკიდან ჩიქოვანის ქუჩამდე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=315 მმ; SDR - 13,6; L=250 გრ/მ
6. **შ.პ.ს. "ყაზტრანსგაზ-თბილისის" ქსელებისა და ნაგებობების დეპარტამენტიდან ქავთარაძის ქუჩამდე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=200 მმ; SDR - 13,6; L=250 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=80 მმ; SDR - 13,6; L=5 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=50 მმ; SDR - 13,6; L=8 გრ/მ
მ/ზედა. გაზსადენის დემონტაჟი d=100 მმ; L=42 გრ/მ
მ/ქვეშა. გაზსადენის დემონტაჟი d=300 მმ; L=45 გრ/მ
7. **ბოგდან ხმელნიცკისა და წულაძის ქუჩები ქაღალდის ფაბრიკამდე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=315 მმ; SDR - 13,6; L=997 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=200 მმ; SDR - 13,6; L=15 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=160 მმ; SDR - 13,6; L=63 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=90 მმ; SDR - 13,6; L=43 გრ/მ
8. **მოსკოვის გამზირი**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=315 მმ; SDR - 13,6; L=128 გრ/მ

9. **ბელიაშვილის ქუჩიდან ლიუბლიანას ქუჩამდე ( 25 თბოსადგურის გავლით)**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=315 მმ; SDR - 13,6; L=1530 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=150 მმ; SDR - 13,6; L=13 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=50 მმ; SDR - 13,6; L= 45 გრ/მ

**II.დაბალი წნევის გაზსადენები.**

1. **გმს 21-დან დავით აღმაშენებელის გამზირამდე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=200 მმ; SDR - 13,6; L=350 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=110 მმ; SDR - 13,6; L=15 გრ/მ
მ/ზედა. მეტალის ელ/შედუღებული, სწორნაკერიანი მილი d=200(219X6) მმ; L=170 გრ/მ
2. **უზნაძის ქუჩიდან პასტერის ქუჩის გავლით ტოვსტონოგოვის ქუჩამდე**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=200 მმ; SDR - 13,6; L=400 გრ/მ
3. **მიცკევიჩის ქუჩა**
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=200 მმ; SDR - 13,6; L=223 გრ/მ
მ/ქვეშა. პოლიეთილენის მილი d=80 მმ; SDR - 13,6; L=16 გრ/მ
მ/ქვეშა. გაზსადენის დემონტაჟი d=250 მმ; L=21 გრ/მ
მ/ქვეშა. გაზსადენის დემონტაჟი d=80 მმ, d=100 მმ ; L=27 გრ/მ
მ/ქვეშა. გაზსადენის დემონტაჟი d=50 მმ; L=70 გრ/მ

**საკონტაქტო პირი: შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისის" მთავარი ინჟინერი თენგიზ არშილავა ტ: 37 62 15**

© გაზეთი 24 საათი

# Weekend

შაბათ-კვირა, №19
21-22 ოქტომბერი, 2006



ორჰან ფამუქის ნობელი

## ნიჭი თუ პოლიტიკა 8-9

### გულახდილად 4



საფასური გადასახდელია

### ფოტოგრაფია 6-7

მესხი – ფოტოგრაფი



### დროთა კავშირი 10




ერთადერთი ნორმალური მეფე

# ახალგაზრდობა აუცილებლად უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში

ინტერვიუ
აკაკი ბაქრაძესთან

**კონსტანტინე გურიელი - ბატონო აკაკი, თუ შეიძლება მოკლედ შევაფასოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა.**

**აკაკი ბაქრაძე** - საქართველოს მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ეს ყველასათვის ცხადი და ნათელია. აქ განსაკუთრებული დაკვირვება, განსაკუთრებული უნარი, რათა ამოვიცნოთ ჩვენი მდგომარეობა, საჭირო არ არის. ყველაფერი ხელისგულზე დევს და ყველაფერი იოლი დასანახია: ეკონომიკის თვალსაზრისით, ჯერჯერობით არაფერს გამოსწორების პირი არ უჩანს, ჩვენი ეკონომიკის დაცემის შეჩერებაც არ მომხდარა. რაღას იმედი უნდა გვქონდეს - იმისი, რომ ქართული ეკონომიკის დაცემა შეჩერდება?.. ეს ძნელი სათქმელია, რადგან რაიმე მკაფიო ნიშანი იმისა, რომ უახლოეს ხანებში დადგება მისი შეჩერების პერიოდი, არ ჩანს. არც დამნაშავეობის თვალსაზრისით არის კარგად ჩვენთან საქმე. გარეგნულად თითქოს ისე ჩანს, რომ პოლიცია იჩენს გარკვეულ აქტიურობას: დამნაშავეთა გარკვეული ნაწილი დააპატიმრეს კიდეც. მაგრამ საერთოდ ამ მიმართულებით ჩვენ ვერ ვიგრძენით შეღავათი, ვერ ვიგრძენით ის, რომ ბოლოს და ბოლოს შემცირდება დანაშაულთა რაოდენობა და საზოგადოებას საშუალება ექნება, სული მოითქვას... იმის გამო, რომ ჩვენში ასეთი მძიმე ვითარებაა, უცხოელებიც მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ იჩენენ, რომ თავიანთი საქმიანობა გააჩაღონ საქართველოში და ამით ჩვენი ეკონომიკის აღორძინებას ხელი შეუწყონ, გაჩნდეს ახალი იმედები იმისა, რომ ჩვენი გაჩერებული ფაბრიკა-ქარხნები ამუშავდება, ჩვენი სოფლის მეურნეობა დაიწყებს სულ სხვა მიმართულებით განვითარებას და ა.შ.

ვერც პოლიტიკის თვალსაზრისით ვიტყვით რაიმეს სანუგეშოს, რადგან საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი მტრის მიერ არის დაპყრობილი. ვერც ცხინვალის ოლქში, ვერც აფხაზეთში ვერაფერი გადავწყვიტეთ ჩვენს სასარგებლოდ: მტერი თანდათანობით მტკიცედ იკიდებს ფეხს ამ ტერიტორიაზე, ქართული მოსახლეობა კი გამოძევებულია და მას არავითარი საშუალება არა აქვს, ჯერჯერობით, თავის მიწა-წყალს დაუბრუნდეს. ამ მიმართულებით ვითარება უფრო რთულდება, რადგან ჩვენი მტრები, გათამამებულნი იმით, რომ ჩვენ ვერ ვაჩვენეთ ძალა, კვლავინდებურად ახალ გეგმებს აწყობენ ჩვენი ტერიტორიების მისატაცებლად და დასაქუცმაცებლად.

ასე რომ, რომელი კუთხითაც უნდა შევხედოთ ჩვენს მდგომარეობას, ჯერჯერობით, მძიმე ვითარებაა. საქმე ის არის, რომ მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, არ ჩანს რაიმე რეალური გზა, რეალური ნაბიჯი ვითარების გამოსასწორებლად. ვერც ხელისუფლება, ვერც პარტიები რამე ხელშესახებს, საიმედოს ვერ გვთავაზობენ. ვართ ჩიხში, ამ ჩიხში ვტრიალებთ და ჯერჯერობით ვერ მოგვიძებნია გამოსავალი...

**კ.გ. - ბატონო აკაკი! როდესაც ამგვარი მდგომარეობა იყო საქართველოში (და ამას მსოფლიო ისტორიის გამოცდილებაც გვიჩვენებს), ყოველთვის გამოდიოდა ქვეყნის მოწინავე ნაწილი - ინტელიგენცია, პოლიტიკოსები - რომელიც საზოგადოებას მოუწოდებდა ალმაფრენისაკენ, "ჭირსა შიგან გამაგრებისაკენ", იმის დასაბუთებისკენ, რომ მას ძალუძს ამა თუ იმ სიძნელის გადატანა... დღეს კი ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგია "თეიმურაზ ხევისთავის" სინდრომს ავითარებს. დღევანდელ ხელისუფლებას არ შეუძლია მართოს ქვეყანა, ამიტომ საჭიროა "დიდი მფარველის" მოძებნა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ხელისუფლება, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს, თვითონ არის შინაგანად ასეთი: მოკარნახის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია.**

**იქნებ დროა, ამ თაობამ ხელისუფლების სადავეები გაათავისუფლოს - ასაკი აქ, რასაკვირველია, არ იგულისხმება, - აქ ვგულისხმობ მენტალიტეტს, აზროვნების წესს, მსოფლმხედველობას; და თუ ისინი მოინდომებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მათ საზოგადოება კი არ უნდა მოატყუონ, არამედ სიმართლე უთხრან, უნდა აღიარონ, რომ უცხო ძალის დახმარების გარეშე ქვეყნის მართვა არ შეუძლიათ!**

ა.ბ. - მე იმთავითვე ვიყავი მომხრე და ახლაც მომხრე ვარ იმისა, რომ პოლიტიკაში და ეკონომიკაში ფართოდ გაეღოს კარი ახალგაზრდობას.

ყოველგვარ საქმიანობაში, როდესაც ასეთი დიდი გარდატეხა ხდება ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიაში, ახალგაზრდობას ეძლეოდა სამოქმედო ასპარეზი და სარბიელი. ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა, იმიტომ კი არა, რომ ხანდაზმულ ადამიანს არ შეუძლია ახლებურად შეხედოს მოვლენებს, არამედ იმის გამო, რომ ასეთ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში ერს დიდი ენერგია სჭირდება და ეს ენერგია სწორედ ახალგაზრდობას აქვს. ერს სჭირდება ცოცხალი, ცინცხალი გონების ადამიანები. ახალგაზრდობას გააჩნია გაბედულება, რომელიც თავდაპირველად გონივრულად შეიძლება არც მოგეჩვენოს, მაგრამ აუცილებელია, რადგან ეს არის აქტიური პოლიტიკა და აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში კი აუცილებელია ისეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა, რომელიც სანუკვარ მიზანს მიგვაღწევინებს.

ახალგაზრდობა აუცილებლად უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში - კონკრეტულად - აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სადაც დიდი ენერგია, ცოცხალი ტვინი და სწრაფი მოქმედების უნარია საჭირო. პარლამენტში კიდევ დასაშვებია ხანდაზმული ადამიანების მოღვაწეობა - ეს საკანონმდებლო ორგანოა და მსჯელობა, განსჯა, აწონ-დაწონა, გამოცდილება მაინც საჭირო გახლავთ... მაგრამ აღმასრულებელ ხელისუფლებაში ძირითადად ახალგაზრდობა უნდა იყოს - ეს პრემიერ-მინისტრი იქნება თუ რომელიმე დიდი განყოფილების უფროსი... ეს საქმე ძირითადად ახალგაზრდობას უნდა მივანდოთ. მე თქვენ ჩამოგითვლით მაგალითებს იმისას, რა ასაკისა იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დიდ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდნენ. მაგალითებს მოვიყვან საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციიდან და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციიდან:

დანტონი 35 წლისა იყო, როცა დასაჯეს; რობესპიერი - 36 წლის, სენ-ჟიუსტი - 27-სა, დეშელენი - 34 წლის. ეს ადამიანები სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, როცა ქმნიდნენ დიდ პოლიტიკას... ყველაზე უფროსი მათ შორის იყო მარატი - სულ 50 წლისა!

ეს ახალგაზრდული ენერგია, ეს ძალა ქმნის სწორედ იმ ახალ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც თან ახლავს ყველა დიდ გარდაქმნას.

ახლა რუსეთი ვნახოთ: სტალინი 38 წლისა იყო, როცა ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, სვერდლოვი - 32-სა, ტროცკი 37 წლისა... ამას თვითონ ის გარემოება ითხოვს, რაც დაკავშირებულია დიდ პოლიტიკურ ძვრებთან და ამიტომ, ბუნებრივია, უნდა მივცეთ ახალგაზრდობას მეტი ასპარეზი, რათა ამ მძიმე ისტორიულ ვითარებაში თავისი თავი მკაფიოდ გამოავლინოს, რადგან სხვაგვარად არ იქნება ის წარმატება და ის აღმავლობა, რაც ჩვენ გვჭირდება დღევანდელ ვითარებაში. ჩვენთან კი პირიქით ხდება - ცალკეული გამონაკლისის გარდა, სწორედ ის ადამიანები გვყავს ხელისუფლების თითქმის ყველა სფეროში, რომელთაც დიდი ხანია დამტკიცებული აქვთ, რომ მათ არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ... ეს არავისთვის შესამოწმებელი არ არის, რადგან ყველა მათგანს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება ამა თუ იმ საქმიანობით და ვიცით, რომ მათ არაფერი განსაკუთრებული არ გაუკეთებიათ... ამ დროს კი მათგან მოვითხოვთ, რომ უმძიმეს კრიზისულ ვითარებაში რაღაც გააკეთონ - ეს შეუძლებელია!

ამიტომ აუცილებელია, ახალგაზრდობას მიეცეს გზა და მათ მეტი ნდობა გამოეცხადოს. თუ ჩვენ გვსურს, დავამკვიდროთ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, ძირფესვიანად უნდა გამოვცვალოთ არსებული ეკონომიკური სისტემა, გამოვცვალოთ სოციალისტური ეკონომიკური სისტემა და დავამყაროთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა. აი, ამ ვითარებაში ახალგაზრდა უკეთ გაიკვლევს გზას, ვიდრე ხანდაზმული. ხანდაზმულს არა აქვს ახალთან შეგუების, ათვისების და სიღრმეში წვდომის ის უნარი, რაც აქვს ახალგაზრდას.

**კ.გ. - ბატონო აკაკი, თქვენ აღნიშნეთ, რომ გაბედულად უნდა მივცეთ ასპარეზი ახალგაზრდობას, მაგრამ ხელისუფლებაში მოსული ხალხი დღევანდელ საქართველოში იმიტომ არის მოსული, რომ არავის დაუთმოს თავისი ადგილი. ხომ არ დადგა დრო იმისა, რომ ახალგაზრდულმა ნაწილმა ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც საქართველოსთვის მართლაც შესტკივა გული და საქმის კეთების სურვილითაა განმსჭვალული, ერთიანი ძალით იფიქროს ხელისუფლების სათავეში მოსვლა და მათ ამისათვის მოუწოდოს "ძველი თაობის" იმ ნაწილმა, რომელსაც გაუცნობიერებელი თუ გაცნობიერებული "შეცდომები" არ დაუშვია.**

ა.ბ. - ძალიან რთულია კონკრეტულად თქვა, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი. აქ მრავალი ვარიანტი არსებობს, თუნდაც ისეთი, რომ ახალგაზრდობამ თვითონ აიღოს ხელში სადავეები... მაგრამ საქმე ის არის, რომ ხელისუფლებამ ეს თავად უნდა გააკეთოს! ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ყველაფერი უნდა კეთდებოდეს კანონიერების ფარგლებში და არა ძალდატანებით, რომელიც კულტურული საზოგადოებისათვის მიუღებელია. ამიტომ ამას როგორმე თვითონ არსებული ხელისუფლება უნდა მიხვდეს და ამ მხრივ მოახდინოს დიდი რეორგანიზაცია. ახლა ჩვენ ვხედავთ ასეთ სურათს: ახალგაზრდობა განსაკუთრებით აქტიურობს ჟურნალისტიკაში. უამრავი გაზეთი გამოდის, რომელთაც ძირითადად ახალგაზრდობა აკეთებს. ამ გაზეთებს ბევრი ნაკლი აქვთ. ხარვეზებსაც შეიცავენ, შეიძლება ანალიზის სიღრმითაც დიდად არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მაინც ძალიან კარგი რამ არის!

რაც დღეს საქართველოში კარგი კეთდება, ყველაფერი ახალგაზრდობისგან მოდის და ის თანდათანობით მკვიდრდება. ყველაფერი ნელ-ნელა დაიხვეწება, დაიწმინდება და დაგვრჩება ის თავანკარა, წმინდა, რაც საზოგადოებას სჭირდება, ხოლო რაც ზედმეტია და ზედაპირული, ის წავა და ჩამოშორდება.

რა თქმა უნდა, ფორმები უნდა გამოიძებნოს და ამაზე უფრო საჭიროა, როგორ უნდა გაკეთდეს ეს, რადგან არ შეიძლება უცბად, ემოციურად, ზერელედ გადავწყვიტოთ პრობლემები. საჭიროა ანალიზი, ფიქრი, კონკრეტული გზების გამოძებნა. მაგრამ ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს ყველასათვის: ახალგაზრდობა ძალიან ფართოდ უნდა მოვიდეს ხელისუფლების ყველა სტრუქტურაში. როგორ? ეს მოსაძებნია. მოსაძებნია, როგორც დღევანდელი ხელისუფლების, ისე იმ ახალგაზრდობის მიერ, რომელსაც ამისი სურვილი აქვს და თავს გრძნობს მზად საქმის გასაკეთებლად. ეს რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს.

მე ზემოთ მაგალითი მოვიყვანე იმისა, თუ რა ახალგაზრდები იყვნენ ბოლშევიკები, როცა ხელისუფლება ჩაიგდეს ხელთ. მაგრამ მერე მანამდე არ მიდიოდნენ თანამდებობებიდან, სანამ კუბოთი არ გაასვენებდნენ... ერთ-ერთი მიზეზი, რამაც სოციალიზმი დაღუპა, ესეც გახლდათ.

დღეს საქართველოს ხელისუფლებამ იმას უნდა მიაქციოს ყურადღება, რომ არ დაბერდეს!

**კ.გ. - ბატონო აკაკი, თქვენი მხრივ რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელსაც სურს ხელისუფლებაში მოსვლა, რათა ქვეყანა გამოიყვანოს კრიზისიდან?**

ა.ბ. - ჩვენ უცბად არ უნდა მოვინდომოთ ქვეყნის სამოთხედ გადაქცევა და მისი აშენება. რაკი საქართველო დაადგა დამოუკიდებლობის გზას, რაკი საქართველო დაადგა ძირეული სოციალური და ეკონომიკური სისტემის ცვლილებების გზას, ბუნებრივია, ამას დრო სჭირდება და სულსწრაფობამ არ უნდა გვძლიოს.

დღეს ამგვარი დამოკიდებულებაა: "მე თუ ვერ მოვესწარი, რაღად მინდა ეს ყოველივე"... არასწორი მიდგომაა საკითხისადმი! ჩვენ შევცვალეთ სისტემა - ერთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა დაინგრა, მეორე კი უნდა აშენდეს. ჯერ მშენებლობა არ დაწყებულა, მაგრამ ფაქტია, რომ იგი უნდა აშენდეს.

თავს ნუ დავიიმედებთ იმით, რომ ეს უცბად მოხდება; ამგვარ პროცესებს დრო სჭირდება, მით უმეტეს, ჩვენნაირ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის. ხშირად მოჰყავთ ხოლმე გერმანიის მაგალითი... არასწორი ანალოგიაა - იქ ხდებოდა ავადმყოფი, მაგრამ ცოცხალი ორგანიზმის გაჯანსაღება, ჩვენ კი მკვდარი უნდა გავაცოცხლოთ! ჩვენთან მკვდარია არსებითად საზოგადოებრივი სისტემა - ეს უნდა გავითვალისწინოთ და ამიტომ უცბად რაიმე აღმავლობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. საქართველოში ვითარება შეიცვლება დიდი პერიოდის შემდეგ. მე ერთხელ უკვე ვთქვი, რომ 25 წელი დასჭირდება ვითარების შეცვლას. მაშინ ძალიან გაბრაზდა ქართველი საზოგადოება, მაგრამ დღეს უკვე რეალურად ვრწმუნდებით ამ ვადის აუცილებლობაში. ქვეყნის აღორძინებას სჭირდება დრო, ჩვენ კი გაუთავებლად ვწუწუნებთ და არაფერს ვაკეთებთ.

**კ.გ. - ბატონო აკაკი! დღეს ბევრს ლაპარაკობენ "ძველი კავშირების აღდგენაზე"... თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი...**

ა.ბ. - ჩვენ ვამბობთ, რომ უნდა ჩამოვაყალიბოთ სოციალური საბაზრო ეკონომიკა. ამისათვის ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, მრეწველობის რა დარგები დასჭირდება საქართველოს; სოფლის მეურნეობის რომელ დარგებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი... ჩვენ ხომ ერთიანი, მთლიანი საბჭოთა კავშირის ნაწილი ვიყავით... მართალია, საქართველოს საქართველო ერქვა, აზერბაიჯანს აზერბაიჯანი და ა.შ., მაგრამ ეს ხომ ერთიანი სახელმწიფო იყო და ამ სახელებს სხვა მნიშვნელობა არ ჰქონდა, უფრო მეტი იმაზე, ვინემ თბილისის გუბერნია, კალუგის გუბერნია ან ბაქოს გუბერნია. დღეს ეს ყველაფერი მოშლილია და უნდა აშენდეს ქართული სახელმწიფო, დამოუკიდებელი სომხეთი, აზერბაიჯანი და ა.შ. როდესაც ამგვარად დგას საკითხი, ჩვენ ხომ უნდა დავსვათ საკითხი, რომ ის სამრეწველო ობიექტი, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს აშენდა, რამდენად გამოადგება საქართველოს - რა უნდა დარჩეს იქიდან და რაზე უნდა ვთქვათ უარი. ჩვენ ესენი არ განგვისაზღვრავს. მე, სამწუხაროდ, არსად მინახავს არც ერთი სპეციალისტის წერილი იმ სამრეწველო პოტენციალის თაობაზე, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს გვქონდა, გამოადგება საქართველოს თუ შესაცვლელია და როგორ უნდა შეიცვალოს იგი: რა დარგს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი... სჯობს ამაზე ვიფიქროთ, ვინემ გაუთავებლად ვილაპარაკოთ ე.წ. ძველი კავშირების აღდგენაზე. ახლა ჩვენ ყველანი ვგავართ პალოზე დაბმულ ცხენს, რომელსაც იმ სიგრძეზე შეუძლია მოძრაობა, რომლის საშუალებასაც მას ბაწარი აძლევს და ამ პალოს გარშემო იგი ტრიალებს და ტრიალებს, მოძოვა ყველა ბალახი და ტრიალებს ამ გამოუვალ წრეში, იმის გამო, რომ მიმართულება არ იცის, არ იცის, საით უნდა წავიდეს.

ჩვენ ვლაპარაკობთ საქართველოს დამოუკიდებლობაზე, მაგრამ ეს მიზანია. როგორ მივიდეთ ამ მიზნამდე - როგორი მრეწველობით, როგორი სოფლის მეურნეობით, განათლებით, კულტურით და ა.შ. ეს თუ კონკრეტულად არ ჩამოვაყალიბეთ, ეს ლაპარაკი იქნება და არა რეალობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს. და ეს ერთგვარი სასოწარკვეთა დღეს გამოწვეულია ამ არაკონკრეტულობით. კაცი როცა ლაპარაკობს, სახლი უნდა ავაშენოო და არ ათავებს მხოლოდ ამაზე ლაპარაკს, მის მიმართ რწმენა ადამიანებს ეკარგებათ. მაგრამ ეს კაცი თუ ამ ლაპარაკს საქმეს მიაყოლებს, ხალხი ირწმუნებს, რომ კაცი მართლა აპირებს რაღაცის აშენებას.

"თემი", №6, 1993.

# ნიჭი თუ პოლიტიკა

## ორჰან ფამუქის ნობელი

მალხაზ ხარბედია



ორჰან ფამუქი ლიტერატურული ნობელის პირველი თურქი ლაურეატი გახდა, თუმცა ამის მიუხედავად, თურქეთში ცოტა ვინმეს თუ ნახავთ ამ მოვლენით გახარებულს, ყოველ შემთხვევაში, თურქული და მსოფლიო პრესის მიმოხილვის შემდეგ ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩებათ.

ნობელის კომისიის ოფიციალური ფორმულირება ასე ჟღერდა: ფამუქმა "თავისი მშობლიური ქალაქის მელანქოლიური სულის ძიებისას კულტურათა შეჯახებისა და შერწყმის ახალი სიმბოლოები აღმოაჩინა". ამაზე თურქმა ნაციონალისტებმა მყისვე თავიანთი ფორმულით უპასუხეს: "ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილება სირცხვილი და თავისმოჭრაა", რადგან ფამუქს პრემია წიგნებისთვის კი არა, სომხების გენოციდის აღიარებისთვის მისცეს. ცნობილმა თურქმა პოეტმა, ოზდემირ ინჯემ ამ გადაწყვეტილებას არასერიოზული უწოდა, რადგანაც მისი აზრით პამუკს თურქ მწერალთა რიგებში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია.

ამის მიუხედავად ლიბერალურმა გაზეთმა "რადიკალმა" პამუკს თურქული ენის, ლიტერატურისა და ქვეყნის სიამაყე უწოდა. ასე რომ, თურქეთში, ისევე როგორც მსოფლიოში, დღემდე ვერ გაურკვევიათ რა იყო დაჯილდოების მიზეზი, მწერლის მოქალაქეობრივი გაბედულება თუ ნიჭი. მე ფამუქის ოთხი რომანი მაქვს წაკითხული და ყოველთვის სიამოვნებით ვეცნობი ხოლმე მის ახალ თარგმანებს რუსულ თუ ინგლისურ ენებზე. ფამუქი კარგი მწერალია, თუმცა ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ იგი პოლიტ-მწერლების იმ კოჰორტაში მოხვდა, რომლებითაც უკვე ათი წელია ნობელი მსოფლიოს ამარაგებს. შესანიშნავი პოეტების, ირლანდიელი შეიმას ჰინისა და პოლონელი ვისლავა შიმბორსკას შემდეგ ძნელია იპოვო ნამდვილი ლიტერატურისთვის დაჯილდოებული ლაურეატი, არადა ბოლო ათწლეულში თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურის ორმა ვარსკვლავმაც მიიღო ეს პრესტიჟული პრიზი, გიუნტერ გრასმა და ჰაროლდ პინტერმა.

ორჰან ფამუქი 1952 წლის 7 ივნისს დაიბადა სტამბულში, ბაბუა მსხვილი მეწარმე იყო, მამა ინჟინერი, IBM-ის თურქეთის განყოფილების პირველი აღმასრულებელი დირექტორი. ბავშვობიდან მხატვარი უნდოდა გამოსულიყო, სწავლობდა 1860 წელს ამერიკელების მიერ დაარსებულ Robert College-ში, სადაც გაკვეთილები ძირითადად ინგლისურად ტარდებოდა (სხვათა შორის, თურქეთის დღევანდელმა პრემიერმინისტრმა და სხვა ცნობილმა თურქმა მეწარმემ თუ საზოგადო მოღვაწემაც ეს სკოლა დაამთავრა), შემდეგ სწავლობდა არქიტექტურას სტამბულის ტექნიკურ უნივერსიტეტში და პარალელურად ჟურნალისტიკასაც ეუფლებოდა. 1985-1988 წლები ამერიკაში მუშაობდა, კოლუმბიისა და აიოვას უნივერსიტეტებში. პირველი ნაწარმოები 1974 წელს გამოაქვეყნა, მისმა პირველმა რომანმა "ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟები" კი 1979 წელს მთავარი პრიზი მიიღო Milliyet Press-ისგან. 1983 წელს იგივე რომანი ორჰან ქემალის სახელობის ჯილდოთი აღინიშნა. 1984 წელს, რომანისთვის "წყნარი სახლი" Madarali Novel Prize მიენიჭა. სახელი გაითქვა 1985 წელს შექმნილი რომანით "თეთრი ციხე-სიმაგრე", შემდეგ კი მსოფლიო აღიარება მოუტანა რომანმა "შავი წიგნი", რომლის მიხედვითაც 1992 წელს ცნობილმა თურქმა რეჟისორმა ომენ ქავურმა ფილმი გადაიღო. 1998 წელს ფამუქმა უარი თქვა თურქეთის სახალხო მწერლის წოდებაზე, - ქვეყნის მთავრობის მიერ ქურთების წინააღმდეგ გატარებული პოლიტიკის საპასუხოდ.

გასულ წელს ორჰან ფამუქს სასამართლოში უჩივლეს ინტერვიუსთვის, რომელიც მან შვეიცარულ გაზეთს მისცა და სადაც იგი ამბობდა, რომ თურქეთს არ სურს პირველი მსოფლიო ომის დროს სომხების გენოციდისა და ქურთების გაჟლეტის ფაქტის აღიარება. "ჩვენს მიწაზე მილიონი სომეხი და 30 000 ქურთი მოკლეს, მაგრამ ჩემს გარდა არავის ამოუღია ამაზე ხმა", თქვა მან და ამ სიტყვების გამო თურქული საზოგადოების ნაციონალისტურ წრეებში პამუკი რენეგატად შერაცხეს და მას "თურქული ნაციონალური იდენტობის დისკრედიტაციაში" დასდეს ბრალი. სასამართლო 6-დან 36 თვემდე პატიმრობას ითხოვდა ფამუქისთვის, თუმცა წელს, იანვარში თურქეთის სასამართლო იძულებული გახდა მოეხსნა ბრალდება და როგორც ამბობენ, ეს არამხოლოდ კარგი ადვოკატების, არამედ იმის დამსახურებაც იყო, რომ "საქმემ" უკიდურესად ნეგატიური რეაქცია გამოიწვია ევროკავშირში, რომლის წევრობასაც ასე ესწრაფვის ოფიციალური ანკარა.

ორჰან ფამუქი ამჟამად ნიუ იორკში ცხოვრობს, მუშაობს კოლუმბიის უნივერსიტეტში და შეერთებულ შტატებში დეკემბრამდე აპირებს დარჩენას.

## მსოფლიო პრესა წლევანდელი ლიტერატურული ნობელის შესახებ

### "აფთენპოსტენ", ნორვეგია.

თურქი მწერლის, ორჰან ფამუქისთვის ლიტერატურული ნობელის პრემიის მინიჭება სცდება კულტურული მოვლენის საზღვრებს. წელს შვედეთის სამეფო აკადემიამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს კონფლიქტებით სავსე პოლიტიკურ და კულტურულ რეალობაზე, ამ სიტყვის დასავლური გაგებით. სულ რაღაც 10 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც თურქეთის სასამართლომ, დამქანცველი პოლიტიკური კამათის შემდეგ, რომელიც იურიდიული პროცესის ნიღაბქვეშ მოგვევლინა, ფამუქის დევნა შეწყვიტა.

ნობელის პრემიის მინიჭება (და მისი მწერლური ოსტატობის აღიარება) უდაოდ გაურთულებს ცხოვრებას დღევანდელი თურქეთის ყველაზე თავისუფლებისმოყვარე და მამაცი შემოქმედის მოწინააღმდეგეებს. ჩვენ ვულოცავთ ორჰან ფამუქს დამსახურებულ ჯილდოს. იმედი ვიქონიოთ, რომ პრემიის მინიჭება დადებით ზემოქმედებას მოახდენს თურქეთში აზრის თავისუფლებაზე, და ასევე სასიკეთოთ წაადგება ყველას, ვინც დევნას განიცდის.

### "ა-ბე-ცე", ესპანეთი.

რა თქმა უნდა, ორჰან ფამუქს ლიტერატურულ ღვაწლს ვერ დაუკარგავ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსასრულო ხოტბა ვასხათ ავტორს, რომელსაც ჯერ არც ერთი ნაწარმოები არ შეუქმნია, მსოფლიო ლიტერატურის შედევრების გვერდით რომ მოვიხსენიოთ. ის, რომ არჩევანი თურქზე გაკეთდა, პირველ რიგში პოლიტკორექტულობის გამოა. საქმე იამშია, რომ ფამუქი მუსულმანია და თანაც რწმენისა და სახელმწიფოს განცალკევების მომხრე. ეს ყველაფერი კი კარგად ეწერება თანამედროვე პრობლემების რიგში, კონფლიქტებისა და ცივილიზაციათა დიალოგების ეპოქაში.

მხოლოდ თურქულ ლიტერატურაზე რომ ყოფილიყო საუბარი, ფამუქი აშკარად სწორი არჩევანი იქნებოდა, თუმცა მსოფლიო ლიტერატურასთან მას არანაირი კავშირი არა აქვს. ეს კი ნამდვილად უნდა სცოდნოდათ ბატონებს შვედეთის აკადემიიდან.

### "ტაგეს-ანცაიგერი", შვეიცარია.

ნობელის პრემიით სამოქალაქო მამაცობისთვის არ აჯილდოვებენ, ასე რომ ყოფილიყო, თავის დროზე ნობელის ლაურეატები აუცილებლად გახდებოდნენ ემილ ზოლა და სალმან რუშდი. საბჭოთა დისიდენტებმა, სოლჟენიცინმა და პასტერნაკმა, რომლებიც განუწყვეტელი ხიფათის ქვეშ ცხოვრობდნენ, ნობელის პრემია მხოლოდ ლიტერატურული ღირებულების გამო მიიღეს.

ეს კრიტერიუმი წელსაც გადამწყვეტი აღმოჩნდა - ასეთია ჟიურის პოზიცია. ამის მიუხედავად, ორჰან ფამუქით მხოლოდ ლიტერატურის მოყვარულები როდი არიან აღფრთოვანებულნი. ფამუქის სახელი მათთვისაცაა ცნობილი, ვინც მხოლოდ გაზეთის სათაურებს და ტელეტექსტებს კითხულობს. თავისდაუნებურად ავტორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა გახდა, რადგან იგი არასდროს მორიდებია სიმართლე ეთქვა საკითხებზე, რომლებიც მის ქვეყანაში ყოველთვის დაფარული იყო. საუბარია მილიონზე მეტი სომეხის გაჟლეტისა და თურქეთის მოსახლეობის სილატაკისა და ჩამორჩენილობის შესახებ ხმამაღალ გამონათქვამებზე.

### "ენდეპანდან დიუ მიდი", საფრანგეთი.

უცხოეთიდან წამოსული მითითებების მიუხედავად, ანკარის ხელისუფლება მაინც არ გადახედავს თურქეთის ისტორიას. ამას მხოლოდ ის თურქები თუ მოახერხებენ, ვინც მტკიცედ გადაწყვიტა ამხილონ ქვეყნის ოფიციალური სიცრუე. და ერთ-ერთი მათგანი - ორჰან ფამუქია.

ეს მწერალი, რომელიც თანამემამულეთა დიდი სიყვარულითაც სარგებლობს, დაპატიმრების საშიშროების მიუხედავად, მაინც ხმამაღლა აცხადებს სიმართლეს. პრემია მის სიტყვებს მეტ წონას მიანიჭებს, რომელიც, ეჭვი არაა, მეტად წაადგება ისტორიული სამართლიანობის აღდგენას, ვიდრე იმავე თურქეთის პარლამენტში ჩატარებული რომელიმე კენჭისყრა.

უფრო ხელსაყრელ მომენტს კაცი ვერც ინატრებდა.

### "საბაჰი", თურქეთი.

არანაირი საფუძველი გვაქვს განსაკუთრებულად გავიხაროთ პამუკის დაჯილდოების გამო, რადგან იგი ნამდვილად ვერ ჩაითვლება ერთ-ერთ ჩვენთაგანად. პირიქით, ჩვენ მასში მოღალატეს ვხედავთ, ადამიანს, ვინც ჩირქი მოსცხო საკუთარ ხალხს.

და ამით ყველაფერი როდია ნათქვამი. ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ფამუქი ძლიერი და გულახდილი ადამიანია. იგი პასუხს არ აგებს საკუთარ სიტყვებზე და არც იმის ვაჟკაცობა ყოფნის, რომ თავისი ინტელექტუალური პოზიცია დაიცვას. რა თქმა უნდა, ინტელიგენციას აქვს უფლება ქვეყნის წყობაზე აზრი გამოთქვას, თუმცა ამისთვის სულაც არაა აუცილებელი, რომ საკუთარი ხალხი შეურაცხყო.

გაგრძელება.
დასაწყისი იხ. №12, 14, 16

# კიდობანი დიდია...



*ცნობილი ფოტო და ტელე-ჟურნალისტი, მრავალი ჟურნალისტის აღმზრდელი ᲡᲐᲜᲓᲠᲝ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ სოფელში გადაბარგდა და დროდადრო, როცა ფიქრი და დარდი მოეძალება, იქიდან გვეხმიანება ხოლმე. თანაც ყოველ ჯერზე გვთხოვს, მკითხველი აუცილებლად გააფრთხილეთ - აბა, ჩვენ რა ვიცით, დაბერდა ეს ჩვენი სანდრიკა და ხანდახან მწარე-მწარეებსაც გამოურევს ხოლმეო. ამ თხოვნასაც ვუსრულებთ და მისი დიდი კიდობნიდან ტკბილ-მწარე ფიქრებსაც გთავაზობთ.*

• • •

...ხელოვნების თეორიას სულაც არ აინტერესებს, რა მეთოდით, რა საშუალებითა და მასალით მიიღწევა მხატვრული ეფექტი... პუანტელისტები სახატავ ტილოს საღებავს კი არ უსვამდნენ, არამედ... ესროდნენ, ზოგი ჯართით ქმნიდა კომპოზიციებს, ჰემინგუეი ხშირად ფეხზე მდგომი წერდა, მან რეი ფოტოქაღალდს იყენებდა, ფირის გარეშე ქმნიდა თავის ფოტოაბსტრაქციებს, იაპონიაში ყვავილების თაიგულებით ამრავლებენ სილამაზეს... ამდენად, ხელოვნების ცნება ფართეა... რასაც გულით გააკეთებ, ყველაფერი ხელოვნებაა...

განა ესთეტიკური ტკბობა არ გვიპყრობს ხოლმე, როცა ვათვალიერებთ საქართველოს "გაწითლებამდე", ჩვენივე ქვეყანაში გაკეთებულ ჯამ-ჭურჭელს, ქვაბებს, ტაფებს, დოქებს, ლარნაკებს, თაბახებს, ცეცხლზე სადგამსა და ჩვეულებრივ მაშას, ტახტებსა და კარადებს, განჯინებსა და კიდობნებს...

ყოველთვის ლამაზი იყო ნამუსიანი ოსტატის ნახელავი...

აი, იმდროინდელი კრიალოსანი, თითქოს ჩვეულებრივი ნივთი... რა კარგი თასმითაა აკინძული, თვლები ზოგი შინდისაა, ზოგიც კაკლისა, თანაც ყოველი მათგანი მოჩუქურთმებულია (რომ არ დაეზარათ!) - კოხტაცაა და თითსაც ეხმარება - ხახუნი მეტია, ზომითაც კარგადაა მორგებული... ამ კრიალოსნის გამკეთებელი ხელოვანი იყო, მშვენიერებითა და ნამუსით დატყვევებული...

დღეს მთელი საქართველო რო შემოიაროთ, ვეღარ იპოვით ჩუქურთმებითა და ყვავილით, მათი კოკრების, ტოტების იმიტაციით მოქარგულ ალაყაფის კარებს, თუნდაც ისეთს, როგორიც აქა-იქ შემორჩა თბილისის ძველ უბანს - სოლოლაკს...

ასეთი ალაყაფი ვილასლა უნდა... ლითონისგან გაკეთებულ ტოტებს გაღუნავენ, დაამტვრევენ... მათთვის სილამაზე არ არსებობს, საბჭოელს დაავიწყდა სილამაზის ენა... მან ღმერთთან ერთად ნამუსიც დაკარგა - ამჟამად მუხათგვერდის სასაფლაოს მასობრივად ქურდავენ - გლეჯენ ლითონის ნაკეთობას, მიაქვთ მიცვალებულის გვარ-სახელი, მიაქვთ სიცოცხლის თარიღი...

მიაქვთ ის უკანასკნელი, რომელიც ადამიანს სიკვდილის შემდეგაც უნდა დარჩეს...

ამიტომაც ხელოვნებიდან შემოგვრჩა მარტო ტაშ-ფანდური და ცეკვა-თამაში...

ჰოდა, ვცეკვავთ და ვმღერით...

• • •

...პაპაჩემმა (მამის მამამ) წერა-კითხვის არმცოდნემ, საქართველოს მეზობლების ხუთი ენა იცოდა, მე კი, მისმა შვილიშვილმა, უმაღლესდამთავრებულმა, მხოლოდ ერთი, ისიც - ოკუპანტის...

კავკასიის ხალხთა ენები რუსულმა წალეკა... ტოტალიტარიზმის ამ ატრიბუტს ხალხთა "ურთიერთობის" ენა უწოდეს...

არადა, ერთმანეთის ენები რომ გვცოდნოდა, რუსი აფხაზეთში ამდენს ვერ გაბედავდა. იგივე ითქმის ყარაბახზე...

ყველაზე გამძაფრებულ ვითარებას სწრაფად განმუხტავს, გულებს გაათბობს ხოლმე ერთმანეთის ენების ცოდნა...

რუსისთვის მისი ენა სტრატეგიული სამხედრო დანიშნულების იარაღია, რომლითაც ფრიად ეფექტურად იადვილებს დაპყრობილი ქვეყნების შენარჩუნება-გადახარშვას... ისტორიას არ ახსოვს, რომ ოკუპანტი დამარცხებული მხარის ბავშვებს თავის ენას ძალით, ანუ როზგით, ცემა-ტყეპით ასწავლიდეს...

ის სიჯიუტე, რომელსაც საქართველოში მცხოვრები რუსების ნაწილი ქართულის მიუღებლობის დროს ავლენენ, სწორედ იმპერიის საერთო მიზნის მანიშნებელია... ზოგი ქართულს შეგნებით ერიდება, ზოგი ქვეცნობიერების დონეზე... საჯავახოში სომეხი მე, ქართველს, საქართველოში რუსულად მესაუბრება, მაგრამ მეც რომ ასევე ვიქცევი - რუსულზე რუსულად ვპასუხობ და სომხური არ ვიცი?

რახან ცხოვრებას ერთად ვაპირებთ, ერთმანეთის ენები აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, გულების ერთობა მხოლოდ ასეა შესაძლებელი...

საბჭოეთის დანგრევამდე მოსკოვიდან გორბაჩოვის კაცი, დერჟიმორდა ლიგაჩოვი ჩამოეთრია და თბილისის უნივერსიტეტში, რექტორის მაგიდაზე მუშტის ბრახუნით, სიავისგან დუჟმოკიდებული ღრიალებდა - მთლიანად რუსულზე გადადით, ყველა საგანი რუსულად ასწავლეთო...

არ იფიქროთ, თითქოს რუსეთის ამგვარი გუნებ-განწყობა შეიცვალა - მათმა დუმამ თავიანთი ენის თაობაზე ნაკლებად გახმაურებული საგანგებო დადგენილება მიიღო - ყოფილ რესპუბლიკებში რუსულის დაცვის თაობაზე... დადგენილებაში დაუფარავად წერია, რომ ყოფილ რესპუბლიკებში რუსულის გავრცელება კვლავაც უაღრესად მნიშვნელოვანია...

...მახსოვს ის დრო, როცა ერევანში ქართული ისმოდა, ბაქოში სომხური, თბილისში კი ისეთი მრავალხმიანობა იყო, რომ ხალხთა მეგობრობის მუდმივი ფესტივალი გეგონებოდა...

კავკასიაში ზოგი ქრისტიანია, ზოგი მაჰმადიანი, ზოგი გრიგორიანულ ეკლესიაში დადის, ზოგიც - კათოლიკურში...

კავკასიაში ოთხი ათეული ენა იყო, მიწაც ცოტა გვებადა და მაინც, ერთმანეთთან დიდი ომი არ გვქონია... საუკუნეების განმავლობაში ერთ დიდ ოჯახში ვცხოვრობდით, იმ წესითა და კანონებით, რომლებიც ყოველი ჩვენგანის ენაშია მხოლოდ ჩვენთვის გასაგები ნიშნებით კოდირებულ-ჩაგვირისტებული... დიახ, უხილავი სხივითაა მასში გაბრწყინებული ჩვენი ერთიანი კავკასიური ენა, ჩვენი ჯიგრობა, ნამუსიანობა...

• • •

...ძველების ნათქვამია - ძმებო, მოდით ამ თასით გაუმარჯოს იმ კაცს, რომელიც მოვა, ჩვენს ცუდს ნახავს, წავა და კარგს იტყვის... ეს სადღეგრძელო მადლიერი კაცისაა... ხედავს იმას, რაც სურს დაინახოს... ასეთი მწარესაც ისე ლაზათიანად იტყვის, რომ ქვეყანას მალამოდ გამოადგება... მადლიერება ძნელი საქციელი სულაც არ არის - იგი ხომ მზის ამოსვლისთანავე იწყება...

• • •

პრესის, რადიოს თუ ტელევიზიის ჟურნალისტიკა ხასიათდება მთელი რიგი სპეციფიკური თვისებებით, მაგრამ მათ აერთიანებთ საერთო, აუცილებელი პირობა - ენის უზადო ცოდნა...

ჟურნალისტის პროფესიონალობა, მისი შემოქმედებითი პოტენციალი დამოკიდებულია მის მიერ "სამუშაო" იარაღის - ენის ცოდნაზე... ენაა მისი აზროვნების მერანიც და სარბიელიც...

თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის სავალალო უმწეობა, რაც თემატიკის სიმწირითა და პრობლემატიკის სიღარიბით ვლინდება, უპირველესად ენის უხეირო ცოდნის ბრალია...

არ იქნებოდა ურიგო - ყოველი პირველი პუბლიკაციისას (პრესასა თუ ეკრანზე) ავტორის გვარ-სახელის შემდეგ მისი ქართული ენის მასწავლებლის ვინაობაც მივუთითოთ...

სკოლაში ვისაც უსწავლია, იცის, რა არის ბარბარიზმი, კალკი, რუსიციზმი, მაგრამ არ იცის, რა არის მუტრუკიზმი. ეს ტერმინი ენათმეცნიერებაში თავად "დავნერგე" და ამით ვგონებ განვმუხტე ის დაძაბულობა, რომელიც არსებობდა ჩვენს საზოგადოებაში. უწიგნურთა რუდუნებით ქართულში გაჩნდა ისეთი ვარიანტები და ფორმები, რომელთა ახსნა, ანდა უბრალო კლასიფიკაციაც კი, ჭირდა. ამიტომ იძულებული ვიყავი ახალი ტერმინი შემომეთავაზებინა.

აი მუტრუკიზმის მაგალითები: "მშენებლობის ექსკლუზიური ხარისხი", "დააგემოვნა", "მუსიკა ექსკლუზივში"... ექსკლუზივი ზმნისა და ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის, პირველი პირის ფორმაა, რომელიც გამორიცხავს მეორე პირს, ე.ი. მე და ისინი... არსებობს ინკლუზივიც, რომელიც იგივეა, ოღონდაც "ისინის" მაგივრად იგულისხმება მეორე პირი - შენ, ანუ მე და შენ...

აი კიდევ მუტრუკიზმები - "საავტორო გადაცემა", "სამუსიკო შედევრი"...

სულ მცირე დაფიქრებაა საჭირო, რომ მიხვდე რას ნიშნავს "სა-ავტორო" გადაცემა... ხომ გაგიგიათ სა-ბავშვო ბაღი, სა-პირფარეშო? როცა აცხადებენ "საავტორო გადაცემაო", მინდა ვიკითხო - ჩვენ რაღა დავაშავეთ, სა-ჩვენო, სა-მაყურებლო როდისღა იქნება?

ასევე დაუნის გონებრივი ბურუსითაა მოსილი "სა-მუსიკო შედევრი"... სამუსიკო ნიშნავს მუსიკისთვის გამოსადეგს, რასაც, ვთქვათ, მოცარტის, ან ბახის ქმნილებაზე ჯანმრთელი ადამიანი ვერ იტყვი... მართლაც, რას უნდა ნიშნავდეს - მუსიკისთვის გამოსადეგი შედევრი?!

...რაც ამას წინათ რადიოში მოვისმინე, ალბათ, მართლაც სისულელის "შედევრია" - მომყავს ლამის სიტყვა-სიტყვით: "...ტოლსტოის... ზეპირად კითხულობდა, ბევრს წერდა, მაგრამ პუბლიკაციებს... უბრუნებდნენ, თავად თქვა უარი ინგლისის... ტიტულზე..." ქალბატონი მღელვარებით, ჩქარა მაწვდიდა "ინფორმაციას", ვეღარ ვეწეოდი. ვინანე, რო თავის დროზე სტენოგრაფია არ ვისწავლე...

გადაცემის ბოლოს ავტორმა (სხვა ასეთ მარაზმს ვერ შექმნიდა) შემატყობინა, თურმე "ტოლსტოის ზეპირად კითხულობდა და პუბლიკაციებს უბრუნებდნენ" ბერნარდ შოუს და სიხარულით დაუმატა, ვიწყებთო გადაცემას "თეატრის მონატრება, თეატრალურ ნოსტალგიაში"...ო!

ნოსტალგია ნიშნავს ემიგრანტის წუხილს სამშობლოში დაბრუნების შეუძლებლობის გამო, ამიტომ თეატრის, ესტრადის, დუდუკზე დაკვრის მონატრება... ნოსტალგიაში, რბილად რომ ვთქვათ, აბსურდია...

• • •

შორეულ მთის მივარდნილ სოფელში, სადაც არც ტელეფონია და არც სკოლა, სადაც რუსი კაცი, სურათზე ლენინის გარდა, სხვა არ უნახავთ და რუსული ლაპარაკი არასოდეს მოუსმენიათ, დღედაღამ შრომაში მყოფ დედაკაცებს ვინ დააზეპირებინა ამდენი რუსული სიტყვა... მათ ქართული ჰგონიათ - ბანკა, პესოკი, კრიშა, ზაბორი, ზამოკი, კორმა, პადვალი, პივა და ასე შემდეგ... ვინ ჩაუწყვიტა, თითქოს სამარადჟამოდ გაკეთებული ჯაჭვი, ქართულთან დამაკავშირებელი, რა ბოროტმა ძალამ შეძლო შეუძლებელი - გრამატიკის გარეშე უწიგნურ ხალხს ამდენი რუსული აათვისებინა...

მოუსმინეთ ჩვენს მეტყველებას, ეს მაგალითი განსაკუთრებული სულაც არ არის:

- კრასკები და კისტები ავიღოთ, გვოზდები სხვადასხვა ზომა, ბელილა და აბოი, ერთი ატვიორტკა და ერთი პლოსკო, სვარკის ელექტროდებიც და გავიდეთ, დაცხა, თითო პერაშკი და პივა დავურტყათ...

...ლიტვაში (ქვეყანა, რომელიც კონსოლიდაციისა და მიზანმიმართული მოქმედების თვალსაზრისით ჩვენთვის სამაგალითო დიდხანს იქნება) დღესაც, უადგილო ადგილზე რუსული თუ გამოიყენე, თვალებს დაგიბრიალებენ... ასეთი ვითარების ავკარგიანობის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ რუსეთის ენობრივ ექსპანსიას ლიტველები ვაჟკაცურად რო დაუხვდნენ, აშკარაა. განსაკუთრებით იმარჯვეს მათმა მასწავლებლებმა... დიახ, უპირველესად მათი დამსახურებაა, რომ რუსეთი ვერ გამაგრდა ამ უმშვენიერეს ქვეყანაში, სამუდამოდ გამოეთხოვა, გამოიტირა და ახლა მისი შევიწროვება თვითმკვლელობის დარი გაუხდა...

საქართველო კი კვლავ განსაცდელშია, იგი გაჟღენთილია რუსული ენაწყლიანობით, რუსული სულისკვეთებით (ჩართეთ ჩვენი ტელე-რადიო, თავად დარწმუნდებით), არც შიში და არც რიდი არა აქვთ რუსეთის მიერ დაქირავებულ ქართული გვარ-სახელის მქონე აგენტებს, რომლებიც პერმანენტულად რუსეთის საინფორმაციო სამსახურებისათვის შეტყობინების საბაბს ქმნიან - დაბორიალობენ ქალაქში, დაათრევენ რუსულ და კომუნისტურ ბაირაღებს, საგანგებოდ რუსულად დაწერილ ტრანსპარანტებს, თუმცა, რა ხანია საქართველოში მტარვალის ენაზე პლაკატებს აღარ წერენ. ეს მხოლოდ რუსი ტელემაყურებლისთვის კეთდება, რო გაიგოს, რაოდენ სძულს ქართველ ხალხს თავისი პრეზიდენტი და როგორ ენატრება პუტინის ჩახუტება... ანტისოროსად წოდებული, ეს უსაქმურთა ბრბო, როგორც ჩანს, სულელი კაცის ხელშია, თორემ ასეთი პრიმიტიული და უსამართლო ლოზუნგებით არ მოგვევლინებოდა. "საქართველოს მთავრობა მარიონეტია, მას ვაშინგტონი მართავსო". თქვე მართლა აბდლებო, ორი საუკუნე რო საქართველო ფეხის საწმენდი ჩვარივით იყო გაფენილი კრემლის საპირფარეშოს შესასვლელში, როგორ დაგავიწყდათ, როგორ დაგავიწყდათ კაზაკების მიერ ჩვენი ხალხის გაუთავებელი დაწიოკებები და ეგზეკუციები, როგორ დაგავიწყდათ 21 წლის ტრაგედია, როცა ამოხოცეს 400 ათასი ჯიშიანი ქართველი, როგორ დაგავიწყდათ დღემდე გამოძიების მომლოდინე ქერჩის ტრაგედია, როცა ორიოდ დღეში დაგვეღუპა მთელი თაობა. როგორ გადავიწყდათ 37 წელი, 9 მარტი, 9 აპრილი, აფხაზეთი, ცხინვალეთი?

კაცმა ფული ჩამოგვიტანა - რაიმე მოიმოქმედეთ, გაცოცხლდით, გაძლიერდითო. ტანკით ხომ არ გვესვრის, მესანგრის ბარით ხომ არ გვხოცავს, ქვეყანას ხომ ყუმბარებს არ აყრის. მოვიდა კეთილი ზრახვით, რო დაგვეხმაროს, მაგრამ საბჭოურმა ნაღრძობმა ჭკუამ ეს ვერ გაიგო, არიქა, თვითმყოფადობას დავკარგავთო, ამერიკანიზაცია იწყებაო... ნეტამც დაიწყოთ - ვიშრომოთ თავდადებით, ამერიკულად, ვისწავლოთ და გონებით გავნათდეთ ამერიკულად, ერთმანეთზე დღედაღამ ვიზრუნოთ ამერიკულად, კანონი და წესრიგი გავითავისოთ ამერიკულად, გვქონდეს ოჯახის პატივისცემა ამერიკულად (გოლეპის ინსტიტუტის ცნობით, ამერიკელი მამაკაცების 90 პროცენტი ცოლების ერთგულია), სისუფთავე დავიცვათ ამერიკულად, ბუნებას ვუპატრონოთ ამერიკულად, გვიყვარდეს სამშობლო ამერიკულად!

...ჩვენ ამერიკელებზე უფრო სპეტაკი და მაღალი ერი ვიყავით, მაგრამ ულმობელმა მტარვალმა გვძლია, თავის აყროლებულ ჭაობში ჩაგვითრია...

• • •

... - ერთი ფოსტა გვაქვს და მასში სამუშაო ადგილი გაჩნდა - დეპეშების დამტარებელი სასწავლებლად პოლონეთში წავიდა... ეს ამბავი მოსკოვიდან ჩამოსულმა რუსის ქალმა შეიტყო და ჩვენს ფოსტაში მუშაობა მოინდომა...

- ჰოდა იმუშაოს, თქვენ ამით რა? - შევეკითხე.

- როგორ თუ რა, ახალგაზრდაა, მალე თავისნაირზე გათხოვდება, დაოჯახდება, გამრავლდება... დასჭირდებათ რუსული საბავშვო ბაღი, სკოლა... ეს რომ არ მოხდეს, სკოლის მასწავლებლებმა გადავწყვიტეთ, ოღონდაც ის რუსი უკან, თავის სამშობლოში დაბრუნდეს, დეპეშებს თავად ჩვენ, რიგრიგობით დავარიგებთ...

მართლაც, უნდა გენახათ, ამ ამბავმა 1982 წელს როგორ გააერთიანა პატარა ქალაქი, მასწავლებლები კი, როგორც ქვეყნის ყველაზე ფხიზელი და ერთგული დამცველები, პირველები იყვნენ...

ლიტვა ტერიტორიით პატარაა, თორემ ღირსებით რუსეთზე ათჯერ დიდია...



# საფასური გადასახდელია

ბოლო პერიოდის, როგორც ქართული, ისე რუსული ტელევიზიების ყველა საინფორმაციო გამოშვება, ტოკ-შოუები, სხვადასხვა ტიპის საუბრები სტუდიებში ჩვენს ორ ქვეყანას შორის უკიდურესად გამწვავებულ ურთიერთობას ეძღვნება. უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებით, პოლიტიკოსებით დაწყებული და რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული, ყველა თავისებურ კომენტარს, შეფასებას იძლევა, პერსპექტივასა და გამოსავალს ეძებს. რუსეთის ტელევიზიის ცალკეული ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, ხელისუფლების წარმომადგენლების საუბრის ინტონაციის, არსის და მით უმეტეს, ზოგადად რუსული პოლიტიკის გარჩევისაგან თავს შევიკავებ. არც თქვენ და არც საკუთარ თავს ნერვებს ზედმეტად არ ავუშლი. პოლიტიკაში არაფერი გამეგება, ხოლო, რაც შეეხება, კომენტარებს, ისედაც ყველასათვის ნათელია. თანაც ის, რაც ამ დღეებში რუსული მედიის საშუალებით ჩვენი მისამართით მოვისმინეთ, დავინახეთ, უფრო მათი პრობლემაა, რომელიც, ადრე თუ გვიან, როგორც ნინო ბურჯანაძე იტყოდა - **имже аукнится**. რუსეთის შესახებ თავად რუსებს აქვთ ნათქვამი - "**Умом Россию не понять...**", ან "**Сила есть, ума не надо**" და ა.შ. რაც, მგონია, სიტუაციის იდეალურ პასუხად გამოდგება. ჩემი მხრიდან კი დავამატებდი, რომ "**от дурака и ... не обидно**" (ზუსტად არ მახსოვს, მგონი, **тумака**). აი, ქართული ტელევიზიით ჩვენი ცნობილი პიროვნებების, პოლიტიკოსების დიდი ნაწილის მსჯელობა კი, მგონი, მხოლოდ ჩვენი პრობლემაა, რომელიც ძირეულ გამოსწორებას თუ ვერა, დაფიქრება-გაანალიზებას მაინც მოითხოვს.

21-ე საუკუნისთვის სრულიად მიუღებელი მეთოდებით, ნაციონალური ნიშნით ქართველების დევნას, უკანონო დეპორტირებას, **обезьяник**-ებში დამწყვდევას, ბავშვების საბავშვო ბაღებიდან, სკოლებიდან გამოგდებას, სატვირთო თვითმფრინავებით, როგორც ნახირის, ხალხის გადაყვანას, ათასგვარი ფორმით პიროვნულ-მოქალაქეობრივ შეურაცხყოფას ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი საკმაოდ უცნაურად, არაადეკვატურად ეხმაურება. ზოგიერთი სრულიად უსაფუძვლოდ ისე ბაქიბუქობს, თითქოს ზრდასრული ადამიანი კი არა, მცირეწლოვანი ეზოს ყოჩი იყოს. ზოგიერთი კი საუბრობს, მაგრამ ისეთი გრძნობა მრჩება, რომ **обо всем**, **да не о главном**. საზოგადოების ნაწილი (უმეტესად ცნობილი) უკიდურეს სუბიექტივიზმშია ჩაფლული. ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნებისმიერ მოვლენას საკუთარი პატარა ფანჯრიდან - "მე გამირთულდა" - "მე არ გამირთულდა", "მე მაწყობს" - "მე არა"-თი აფასებს.

ის, რომ სხვადასხვა სოციალური ფენის, პროფესიის ქართველს თითო-ორი რუსი მეგობარი, კოლეგა, მამაკაცებს ქერა ქალი ჰყოლია; ის, რომ რუსეთში მივლინებაში ან სტაჟირებაზე ერთხელ მაინც ყველა ყოფილა და სასიამოვნო მოგონებებს დღემდე ინახავს; ის, რომ ერთი-ორი რუსი კლასიკოსის ნაწარმოები სკოლაში ყველას უსწავლია და "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" ან "აფონია" ერთხელ მაინც გვინახავს, ამაში უცნაური, არაბუნებრივი არაფერია (ჩვენს მეზობლად ბრიტანეთის იმპერია რომ ყოფილიყო, ალბათ, ამდენივე ბრიტანელი მეგობარი გვეყოლებოდა, ინგლისური რუსულივით, ბაირონი კი პუშკინივით გვეცოდინებოდა, რაც, თავისთავად, უარესი არ იქნებოდა). ჩვენ ხომ ათწლეულების მანძილზე ერთ დიად საბჭოთა ქვეყანაში ვცხოვრობდით, სადაც რუსიც, კალმიკიც და უდმურტიც ჩვენი ძმები იყვნენ. უცნაურია, რომ ამდენწლიანი გამოცდილების მიუხედავად რუსების, როგორც ერის, ფსიქოლოგია, ხასიათი ვერ შევისწავლეთ. მათი იმპერიული მენტალიტეტი ვერა და ვერ დავიჯერეთ. საბჭოთა წყობილებით გამოწვეული დაკნინება ვერ დავინახეთ. კდბ-ს მიერ მეთოდურად დანერგილ იდეოლოგიას, თითქოს სპეცინკუბატორში გამოზრდილ მუტანტებს თვალის ერთი შეხედვით ვერ ვცნობთ და ყველაფერ ამასთან ბრძოლის ან თავდაცვის რაიმე ელემენტარული მეთოდი, ტონიც კი ვერ შევიმუშავეთ. თითქოს, ეს ყველაფერი ჩვენთვის უცნობი და მოულოდნელი იყოს. ქართული საზოგადოების საუკეთესო, ცნობილი წარმომადგენლები - ჭკვიანი, ნიჭიერი, კოლორიტული, ენამახვილი ხალხი ტელევიზიით გამოდის და რუსეთთან დაკავშირებულ საკუთარ წარსულს, მიღებულ ჯილდოებს, დითირამბებს, სასიამოვნოდ გატარებულ მივლინებებს, ტრიუმფალურ გასტროლებს, თანასუფრელ მეგობრებს, ინტელიგენტურ სამზარეულოებში **посиделк**-ებს ან არაინტელიგენტურ ბანკეტებს სითბოთი, ნოსტალგიით იგონებს. ცდილობს რუსებსაც გაახსენოს, როგორ გვიყვარდა ერთმანეთი. პოლიტიკა უნდა რომ შეაცვლევინოს, იმპერიულ ამბიციებზე უარი ათქმევინოს, გული გაუდნოს, აუჩუყოს. არა, არ აუჩუყდებათ! რუსებმა შეიძლება ძაღლის ან ქოთნის ყვავილის ბედზე იტირონ, მაგრამ გლობალურ-ისტორიულად მათ არასდროს არაფერზე აჩუყებიათ გული. დღეს კი მართლაც ისტორიული მომენტია. რუსეთი კოლონიის სახით საქართველოს საბოლოოდ კარგავს და ამ ფონზე სუბიექტური ღიმილ-ცრემლნარევი მემუარები, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილოდ გამოიყურება. დღეს საქართველოს ყველა მოქალაქე, ცნობილი თუ უცნობი, არტისტი თუ გლეხი, თითოეული ჩვენგანი ჩვენი პირადი პრობლემებით, შეზღუდვებით, დეპორტირებით, აკრძალვით საქართველოს მომავლის ერთ დიდ, გლობალურ საფასურს ვიხდით და ეს თითოეული ჩვენგანის ვალია.

**P.S.** გახსოვთ ფრაზა - **Каждая доярка может править страной?**

აბსოლუტური სიმართლეა. მაგრამ აი, როგორ?!



# კონკურსი ჩატარდა...

თბილისის შუაგულში, შოთა რუსთაველის ძეგლთან, მეტროს გვერდზე მდებარე და ჩემ მიერ არაერთხელ ხსენებულ "შუშის სახლს" ანგრევენ! თანაც, მარტო კი არ ანგრევენ, არამედ რაღაც ახალის აშენებაც უნდათ! თანაც, არა უბრალოდ რამის აშენება, არამედ რამდენიმე თვით ადრე გამოცხადებულ ღია კონკურსში გამარჯვებული პროექტის მიხედვით! პროგრესია! პროგრესი! არ მითხრათ, რომ ძვირადღირებულ, კარგად ორგანიზებულ ამხელა ღია კონკურსებს, როგორიც ამ კვირაში ჯანაშიას სახელობის ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა, მიჩვეულები ხართ.



დრო, მოთხოვნები, კანონები იცვლება და ახლა მერიასა და არქიტექტორთა კავშირთან ერთად "შუშის სახლის" მეპატრონეებმა ყველაფრის გამჭვირვალედ, ცივილიზებულად გაკეთება მოინდომეს. კონკურსიც გამოაცხადეს, კომპეტენტური ჟიურიც მოიწვიეს, ჯილდოც დააწესეს და საუკეთესო ვარიანტის აშენებაც სურთ. არქიტექტორებმაც პასუხი არ დააყოვნეს და ხელოვნების მუზეუმის დარბაზში თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური ადგილის გაშენების ოცზე მეტი პროექტი წარადგინეს.

ადგილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმედი მაქვს, ასჯერ გაზომავენ და ერთხელ გაჭრიან, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს აარჩევენ. ამ ეტაპზე კი თამამად შემიძლია ვთქვა, რომ "შუშის სახლის" მფლობელებმა, ქალაქის ხელმძღვანელობამ, არქიტექტორებმა საქმისადმი არაფორმალურ დამოკიდებულებაში კონკურსის ჩატარების ფორმით ნამდვილად დამარწმუნეს.

ყველაფერი ძალიან კარგია და იმედის მომცემი. თუმცა, ცოტა ხმადაბლა ერთს კი მაინც დავამატებდი: ამა თუ იმ მასშტაბის კონკურსები მართალია იშვიათად, მაგრამ მანამდეც ჩაუტარებიათ, გვინახავს. გამარჯვებულიც გამოუვლენიათ, დაუჯილდოებიათ. რეალურად კი ან სულ სხვა, ან საერთოდ არაფერი განუხორციელებიათ.

კონკურსი ჩატარდა. ახლა ვნახოთ...

ნესტან ნიჟარაძე

# მესხი - ფოტოგრაფი



უსათაურო. 2006 წ.

დათო მესხი ან უბრალოდ მესხი. 27 წლის. ფოტოგრაფი. საკუთარი ფოტოაპარატი ჯერ არ აქვს - მხოლოდ უნდა რომ ჰქონდეს. აპარატის არქონა და არც მისი ქონის სურვილი, მესხს ხელს არ უშლის - ის მაინც იღებს. იღებს ბევრს. და ბევრს იცინის. თითქოს ცოტა სხვებზე მეტს. ცოტა სხვებზე უკეთეს ფოტოს იღებს და ცოტა სხვებზე სხვანაირია. მესხი არ არის მარგინალი, უბრალოდ ცოტა სხვანაირია. და საერთოდ, რაღაცნაირია მესხი. ფოტოგრაფია და თან კარგი. და ეს თვითონაც იცის. იცის და იცინის.

## ფოტომდე - მატარებლები

ჯერ იყო მატარებლები. პირველ ფოტომდე, პირველ ცუდ და მერე კარგ კადრამდე და საერთოდ, ყველაფერზე ადრე იყო მატარებლები. დიდი ვნება მატარებლებისადმი! ჯერ დედასთან ერთად იდგა ხოლმე მეტროს ბაქანზე და თვალით მატარებლებს აცილებდა. მერე უკვე მარტო, პლეხანოვიდან ავლაბარში გიმნაზიაში რომ გადაიყვანეს, მეტროში ვაგონებს შორის დგებოდა და სკოლაში ისე მიდიოდა. მას მერე კი, რაც გადაღება ისწავლა, ხან მარტო, ხან ვინმესთან ერთად ისევ მატარებელში ჯდება და უკვე ფოტოებს იღებს - მატარებლიდან.

მატარებლებს და ფოტოგრაფიას შორის მესხი სწავლობდა გეოგრაფიას და მაგისტრიც გახდა. მერე სწავლობდა კინომცოდნეობას და თავი დაანება, მერე მუსიკა უყვარდა და რაღაც ჯგუფშიც უკრავდა. უნდოდა რეჟისორობაც და ბოლოს ფოტოგრაფია შეუყვარდა. ჩააბარა თეატრალური ინსტიტუტის კინოფაკულტეტის მხატვრული და დოკუმენტური კინოს სპეციალობაზე. პედაგოგად ჯერ სანდრო მამასახლისი ჰყავდა და შემდეგ ბესო გულაშვილი. მანაც ისწავლა და უკვე 4 წელია, რაც მხოლოდ ფოტოს აკეთებს. ადრე ბარში მუშაობდა, რომ ფირის ფული ჰქონოდა და გადაეღო, ეხლა კი ჟურნალში "ცხელი შოკოლადი" მუშაობს და ფოტოგრაფია მისი სამსახურიც არის და ის რაღაც სხვაც, რასაც დიდი ხანი ეძებდა და ბოლოს იპოვა. და რას ეძებდა? რას და საკუთარი თავის გამოხატვის საშუალებას. როგორც მესხი ამბობს: "სულ მქონდა სურვილი რამე ფორმით შემოქმედებით პროცესში ვყოფილიყავი ჩართული და არ იყო მნიშვნელოვანი რა იქნებოდა ეს. ყველა ეტაპზე რასღაცას ვაკეთებდი და კარგად გამომდიოდა, მაგრამ მერე თავს ვანებებდი. ფოტო კი დღემდე შემომრჩა, რადგან სწორედ ეს აღმოჩნდა ჩემი თავის გამოხატვის ყველაზე ეფექტური საშუალება. ის, რასაც ვდებ ფოტოში, მიბრუნდება და ამიტომ რეალიზებულად ვგრძნობ თავს". ამიტომაც აღარ აქვს აკვიატებული სურვილი, გახდეს რეჟისორი. თუ როდესამე გადაიღებს, ეს იქნება ფოტოგრაფის გადაღებული ფილმი და არა პირიქით, ანუ არასდროს არ იქნება მესხი რეჟისორი, რომელიც უბრალოდ ფოტობსაც იღებს.

## მესხი - სუბიექტური და ობიექტური

და მერე მესხი საუბრობს იმაზე რასაც იღებს, რაც უნდა რომ გადაიღოს. და ამბობს, რომ არსებობს ბევრი რეალობა, მათ შორის არის სუბიექტურიც და ობიექტურიც. "მე ვცდილობ- ამბობს იგი, ობიექტურ რეალობაში სუბიექტური ნიშნები შევიტანო და ჩემთვის სუბიექტური, რომელიც თან ობიექტური ნიშნებით იტვირთება, სხვისთვის გასაგები გავხადო". მესხის ფოტოებზე გამოსახულებად ქცეული ობიექტურის და სუბიექტურის ურთიერმონაცვლეობა-ჩანაცვლების ეს რთული რიგი უფრო მარტივი აღსაქმელია, რადგან მესხის გამოსახულება საინტერესოა და კიდევ იმიტომაც, რომ მისი ფოტოები მასზე იმდენივეს ჰყვებიან რამდენსაც მათზე, ვისაც და რასაც იღებს მესხი. ამბობს კიდევაც, რომ თითოეული ფოტოს მიღმა თვითონ დგას და არაფერს აკეთებს ისეთს, რაც მისგან შეიძლება განსხვავდებოდეს. მერე ვიღაცის გამონათქვამს იხსენებს, რომ "ფოტოგრაფია მართალი ხელოვნებაა, მაგრამ არა ჭეშმარიტი". ხოდა არც მესხი ეძებს ჭეშმარიტებას ფოტოგაფიის მეშვეობით. უბრალოდ იღებს იმას, რაც მისთვის არის მართალი. ხოლო ჭეშმარიტებაა ეს თუ არა - ეს უკვე ფილოსოფიის საგანია. და მესხი ამაშიც მართალია. და კიდევ: "ფოტოგრაფია არის ჩემი სამყაროს შექმნის მცდელობა, რომელიც მერე უკვე მედიუმი ხდება სხვა ადამიანებთან საურთიერთოდ. ფოტომ მე ძალიან ბევრი ჩემთვის საინტერესო ადამიანისკენ გამიხსნა გზა. მე ამან იმდენი მომცა, რომ მემგონი მე და ფოტოს უბრალოდ ერთმანეთი გვიყვარს" - ამბობს მესხი და რა თქმა უნდა, იცინის.

## მხოლოდ დასაწყისი

4 წელი ფოტოგრაფიაში -არ არის ბევრი. მესხმა ეს იცის. ამბობს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯერ ახალგაზრდაა. იცის, რომ უნდა გავიდეს დრო. დრო მოიტანს გამოცდილებას, რომელიც უკვე ნელნელა გროვდება. "მე არ ვზივარ რომანტიკულად ჩაის ჭიქით ხელში და არ ვოცნებობ, რომ ჩემი ფოტოების ამერიკაში ან იაპონიაში გამოფენაზე. ჩვეულებრივად ვცხოვრობ თბილისში, ბევრს ვმუშაობ და მაქვს სურვილი, რომ ყველაფერი ცოტა უკეთესად იყოს".

თავდავე ამბობს, რომ ფოტო მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უკვე გახდა და მასში სამსახურიც, თავად ცხოვრებაც და შემოქმედებაც გაერთიანდა, ანუ ყველაფერი. ბუნებრივია, არასდროს არის კმაყოფილი იმით რასაც აკეთებს და მეტი უნდა. სხვებს მესხის ფოტოები უფრო მოსწონთ, ვიდრე თავად მესხს. ის კი ამბობს: "მე თვითონ უნდა ვიყო მეტი ჩემ ფოტოებში".

მესხს უკვე იცნობენ, როგორც საინტერესო ფოტოგრაფს. და მესხმა ეს იცის. არც უარყოფს, რომ თავმდაბალი გამოჩნდეს, უბრალოდ ამბობს, რომ "საქართველოში





ციკლიდან "სპორტსკოლა" 2004 წ.



*ციკლიდან "მეგობრები". 2004-2006 წ.*

ძალიან ადვილია მოხვდე რაღაც წრეებში და გახდე ცნობილი, დროში აქტუალური, მითუმეტეს თუ რამე ცოტა უცნაურს აკეთებ". მესხი დროში აქტუალურიც არის და უკვე ცოტა ცნობილიც, მაგრამ ამისთვის არაფერს ცოტა უცნაურს არ აკეთებს. უბრალოდ აკეთებს იმას, რაც უნდა და თან ისე, როგორც ეს მას უნდა.



## ციკლები

მესხს გადაღება განთიადზე უყვარს, მაშინ, როდესაც მზე ამოდის. რატომ განთიადზე? "იმიტომ, რომ ამ დროს დედამიწა თითქოს მსუბუქია. შენც მოწყვეტილი ხარ ყველაფერს. მზე რომ ამოდის, ეს განცდა ქრება და ყველაფერი იცვლება, მძიმდება".

თბილისში იშვიათად იღებს. უფრო სწორედ კი, თბილისს არ იღებს, ქალაქს. იღებს სახლებში - უფრო მოსწონს. იღებს, როდესაც მოგზაურობს მეგობრებთან ერთად, სადმე აქვე, საქართველოში - მაგალითად, ფოთში, სადაც სპეციალურად მზის დაბნელების სანახავად წავიდა. იღებს ევროპაშიც, მივლინებაში რომ მიდის სამსახურიდან. მაგრამ იქ ყოველთვის კონკრეტული დავალება აქვს შესასრულებელი და ამას იმდენი ენერგია მიაქვს, რომ დრო აღარაფრისთვის რჩება. "მე კი ენერგიის მაქსიმალური კონცენტრაცია და მედიტაციის მდგომარეობამდე მისვლა მჭირდება, რომ "ჩემი ფოტო" გადავიღო" - ამბობს მესხი. თავისუფლად მოგზაურობა რომ შეეძლოს, ჩრდილოეთის ქვეყნებში წავიდოდა, მაგალითად ისლანდიაში, ანუ იქ, სადაც ცოტა მზეა და გაშლილი თოვლიანი სივრცეებია.

თუმცა ვიდრე გაშლილ და თოვლიან სივრცეებს გადაიღებს, მესხს უკვე ფოტოების სამი დასრულებული ციკლი აქვს გაკეთებული (მესხი ყოველთვის ციკლებზე მუშაობს!). პირველი - ტანმოვარჯიშეთა სპორტსკოლის ციკლია, რომლშიც იგი სპორტული ვარჯიშების მხატვრულად გადაღების იდეით მოიხიბლა. და გადაიღო კიდეც! მეორე ციკლი - "ფერის გეომეტრია", სადაც იგი მხოლოდ ფორმაზე და ფერზე მუშაობს და ბოლოს, მესამე ციკლი - უკანასკნელი სამი წლის მანძილზე გადაღებული ფოტოების სერია, სადაც როგორც თავად ამბობს, მისთვის მნიშვნელოვანი ყველა ფოტო გაერთიანდა, ისევე როგორც მეგობრების პორტრეტების სერია. შემდეგ კი ალბათ სხვა ციკლებიც იქნება, ბევრი და საინტერესო.

ამ სამი ციკლიდან ერთი-სპორტსკოლა-2006 წლის სექტემბერში გერმანიაში, ნიურბერგში გამოიფინა, ქართველი ფოტოგრაფების ჯგუფურ გამოფენაში, სადაც მესხთან ერთად ნათელა გრიგალაშვილი, ლევან ხერხეულიძე და ბესო უზნაძის ფოტოებიც იყო წარმოდგენილი. გამოფენამ იმდენად დიდი წარმატებით ჩაიარა, რომ იგი განმეორებით წარდგება ნიურბერგელი მაყურებლის წინაშე და შემდეგ უკვე ბერლინშიც გადაინაცვლებს. კიდევ ერთ ციკლს მესხი, ლევან ხერხეულიძის და ნიკო ტარიელაშვილის ფოტოებთან ერთად ახლა ამზადებს გამოსაფენად, მხოლოდ უკვე თბილისში. "გამოფენა თითქმის უკვე მზად არის და ეს იქნება ერთგვარი სადემონსტრაციო ვერსია იმისა, თუ რას ნიშნავს ნამდვილი ფოტოგამოფენა-ამბობს მესხი. თბილისში ფოტოგამოფენები ხშირად დაბადების დღეებს უფრო ჰგავს, სადაც ახლობლები და ნათესავები მოდიან და ყველას ყველაფერი მოწონს. ჩვენი სურვილია, საზოგადოების ყურადღება მივიპყროთ ამ გამოფენით და ვაჩვენოთ, სინამდვილეში როგორი უნდა იყოს ფოტოგამოფენა".

მანამდე კი, მესხი აგრძელებს მუშაობას თავის საავტორო ციკლებზეც და "ცხელ შოკოლადშიც". ვორონცოვზე, პატარა ოთახში ლაბორატორია მოაწყო და საღამოობით თავადევ ბეჭდავს თავის ფოტოებს და თან, ამ ყველაფერთან ერთად, იცინის - ცოტა სხვებზე მეტს.

ასე რომ იცნობდეთ, ეს მესხია. დათო მესხი.











# შემოდგომა სვანეთში

































ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა
*ბენედეტო კროჩე*

# ერთადერთი ნორმალური მეფე

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეჟარაშვილი

1591 წლის აგვისტოს ერთ ცხელ ნაშუადღევს, სადილის შემდეგ იოანე მრისხანის ქვრივის კუთვნილი სასახლის ეზოში კივილი ატყდა: დიდი მეფის უკანასკნელი ვაჟი, მცირეწლოვანი დიმიტრი ეზოში უსულოდ აღმოაჩინეს. მოგვიანებით დაინიშნა საგამოძიებო კომისია თავად ვასილი შუისკის ხელმძღვანელობით. კომისიის დასკვნით, ბნედით შეპყრობილ დიმიტრის შეტევა სწორედ მაშინ მოუვიდა, როცა ტოლებთან ერთად იმ თამაშით იყო გართული, რომელსაც ჩვენში "დანასობიას" უწოდებენ, ის მიწაზე დავარდა და თავისივე დანაზე წამოეგო.

ეს ვერსია არავის დაუჯდა ჭკუაში. ჯერ კიდევ გამოძიების დასკვნამდე დიმიტრის დედის, მარიამის წაქეზებით ქალაქის მოსახლეობამ სულ ერთიანად გაწყვიტა მთელი გვარი, რომელსაც დედოფალყოფილმა შვილის მკვლელობა დააბრალა. ჭორებმა ბავშვის მკვლელობაში იოანე მრისხანის მეჯინიბე, ბორის გოდუნოვი დაადანაშაულა, რომელიც, ხალხის აზრით, ტახტისკენ ამგვარად იკვლევდა გზას. თუმცა, საქმეში არსებობს შეუმჩნევლად დარჩენილი ორი გარემოება.

პირველი იურიდიულია: დიმიტრი მოსკოვის ტახტზე ვერავითარ პრეტენზიას ვერ განაცხადებდა და ამიტომ სიცოცხლეში ვერავინ მიიჩნევდა მას კონკურენტად. საქმე ისაა, რომ მარიამი იოანეს მეშვიდე ცოლი იყო, ეკლესია კი მხოლოდ მესამე ქორწინებას მიიჩნევდა კანონიერად. ტახტზე უკანონო ვაჟის ასვლა უარეს სახალხო შფოთს გამოიწვევდა.

მეორე, ასე ვთქვათ, ემოციურია, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი. შემორჩენილია ერთი ამბავი: ერთხელ, ზამთარში, პატარა დიმიტრიმ თოვლის თოჯინებს კონკრეტულ პირთა სახელები დაარქვა, შემდეგ კი ზოგს თავი მოჰკვეთა, ზოგს ხელ-ფეხი დააჭრა, სხვებს კი მუცელი გამოფატრა — ასე მოვიქცევი, როცა გავიზრდებიო. სასტიკი და ავყია ხასიათის გამო, პატარა დიმიტრი სიცოცხლეში არავის უყვარდა. სახალხო შეგნებაში ის მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იქცა წამებულ უფლისწულად.

მცირეწლოვანი ყრმის სიკვდილით რუსეთის ისტორიაში იწყება მეტად მძიმე პერიოდი, ეგრეთ წოდებული "შფოთიანი დრო", რომელშიც განსაკუთრებით ერთი მოვლენა გამოირჩევა:




*ცრუ დიმიტრი I.*

ეს ეგრეთ წოდებული "ცრუ დიმიტრი პირველის" გამეფებაა...

დღემდე უცნობია, ვინ იყო სინამდვილეში კაცი, რომელიც მოსკოვის ტახტზე დიმიტრი იოანეს ძის სახელით ავიდა. წყაროებს თუ დავუჯერებთ, ეს ყმაწვილი პირველად კიევში გამოჩნდა ბერული სამოსით. მაშინ ორ უკრაინელ წარჩინებულს, მამაშვილ გაბრიელ და რომანოზ გოისკებს, სასულიერო სასწავლებელი ჰქონდათ გახსნილი. მიუხედავად იმისა, რომ იქ არიოზულ ერესს ასწავლიდნენ, მომავალმა თვითმარქვიამ მოახერხა პოლონური ლიბერალური განათლების საფუძვლების ათვისება და დამოუკიდებელ აზროვნებას მიეჩვია. ერესისა და ორთოდოქსიის დაპირისპირების ფონზე დაწყებული მისი განათლების უმთავრესი შედეგი ცრურწმენა კი არ იყო, არამედ ერთგვარი რელიგიური ინდიფერენტიზმი, რომელსაც შემდგომ იეზუიტებმაც კი ვერაფერი მოუხერხეს.

სწორედ ამ სასწავლებლიდან მოხვდა იგი 1604 წელს თავად ადამ ვიშნევეცკის კარზე, სადაც გამოაცხადა, რომ უფლისწული დიმიტრი იყო. ამბობენ, თავადმა ახალგაზრდა მსახურს გვარიანი ალიყური უთავაზა. პასუხად კი მიიღო: რომ იცოდე ვინა ვარ, ლანძღვასა და ცემას არ დამიწყებდიო. ვერასოდეს გავიგებთ, მართლა დაუჯერა თუ არა თავადმა მსახურს, მაგრამ პოლიტიკური პერსპექტივა მხედველობიდან არ გამორჩენია. ვიშნევეცკის ძმამ, კონსტანტინემ, ახალგამომცხვარი თვითმარქვია თავის სიმამრთან, სანდომირის მხედართმთავარ იური მნიშეკთან მიიყვანა, სადაც ცრუ დიმიტრის მასპინძლის ერთ-ერთი ქალიშვილი, მარინა შეუყვარდა.

ეს მნიშეკი საკმაოდ გაიძვერა ვინმე იყო: ახალგაზრდობაში პოლონეთის მეფეს სიგიზმუნდ-ავგუსტუსს დაუახლოვდა და მოხუცი მონარქის სისუსტეებზე თამაშობდა, მეფის სიკვდილის დღეს კი ისე გაძარცვა ხაზინა, რომ ცხედრის შესამოსად ვერაფერი იპოვნეს. ბუნებით თაღლითსა და უკვე ეკონომიკურად შეჭირვებულ სარდალს ახალი პერსპექტივა გამოუჩნდა - მოსკოვის ტახტის შესაძლო მემკვიდრე. მნიშეკის კარი ცნობილი იყო აღმოსავლეთ ევროპაში, ამიტომ ახალმა ამბავმა სულ მალე მიაღწია პოლონეთის იმჟამინდელი მეფის, სიგიზმუნდ მესამის ყურამდე. მეფე იეზუიტთა გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამ უკანასკნელთ კი თვითმარქვიას გამოჩენამ რუსეთზე გავლენის გავრცელების ახალი იმედები ჩაუსახა.

უფლისწულად წოდებულმა მალევე შეატყო, რომ მის გამოყენებას ცდილობდნენ და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ყველაფერზე თანახმა იყო. მეფე სიგიზმუნდმა ტახტის პრეტენდენტს დაუნიშნა პენსია წელიწადში 40.000 ოქროს ოდენობით და პოლონელი სამხედრო და პოლიტიკური კონსულტანტებიც გამოუყო. მაშინ დიმიტრის ჩამოართვეს ფიცი, რომ მოსკოვის ტახტზე ასვლისას იგი პოლონეთის იურისდიქციაში დააბრუნებდა სმოლენსკსა და სევერსკის მიწას, მთელს რუსეთში კათოლიკური ეკლესიების აგებას დაუშვებდა და სამისიონერო მოღვაწეობისთვის იეზუიტებს გზას გაუხსნიდა. ამას ისიც დაემატა, რომ სიგიზმუნდმა დახმარება სთხოვა შვედეთის გვირგვინის მოპოვებაში.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური თამაშის ფსონი საკმაოდ მსხვილი იყო. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დიმიტრის პიროვნება საკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა როგორც იეზუიტებისთვის, ასევე პოლონეთის სამეფო კარისთვის. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყურადღების ცენტრში მყოფი ადამიანი მართლაც იოანე მრისხანის ვაჟი იყო, უფრო მეტიც, იოანე მრისხანის ნამდვილი ვაჟი ვერც შეძლებდა ნდობის ამ ხარისხის მოპოვებას. ხოლო პიროვნებას, რომელსაც უკვე ყველა უწოდებდა დიმიტრის, მართლაც სურდა მოსკოვის ტახტზე გამეფება, მაგრამ დარიგებულ დაპირებათა შესრულება არც უფიქრია.

ამის შემდეგ დიმიტრიმ წერილობით მიმართა ერს. სამხრეთ რუსეთიდან მან საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება მიიღო: ხალხი ხალისით პასუხობდა თვითმარქვია უფლისწულის მოწოდებას. სულ მალე 3 000 მხედარი შეგროვდა, ამას 2 000 ზაპოროჟიელი კაზაკი დაემატა და დიმიტრიმაც როგორც იქნა გადაკვეთა თავისი მომავალი სამეფოს საზღვრები. მოსახლეობის რეაქცია გასაგები იყო: შიმშილისა და უსამართლობის დასაძლევად ყველა ღონე ვარგოდა. 1604 წლის ოქტომბერში დიმიტრის მორავსკი და ჩერნიგოვი დანებდა, მდინარე დესნას ნაპირებზე მცხოვრებნი პურ-მარილით ხვდებოდნენ, იარაღის ხმარებას შეჩვეულნი კი მოხალისეთა ლაშქარს უერთდებოდნენ.

1604 წლის 11 ნოემბერს დიმიტრი ნოვგოროდ-სევერსკს ალყით შემოეწყო, მაგრამ პირველ წინააღმდეგობას წააწყდა. აქ გამჟღავნდა პოლონელთა ხასიათი: დიმიტრი ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯის უფლებას არ აძლევდა მათ და ამ პირველივე დაბრკოლების შედეგად პოლონელებმა თვითმარქვიას ჯარი მიატოვეს. მეორე მხრივ, ჩანს, რომ რუსეთში დიმიტრი შევიდა არა როგორც მძარცველი და დამპყრობელი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც ქვეყნის კანონიერი პატრონობა სურდა და მის მოსახლეობას თავიდანვე განიხილავდა თავის მომავალ ქვეშევრდომად. ამიტომაც წასული პოლონელების ადგილი სულ მალე სხვადასხვა მხრიდან მომავალმა რუსებმა

**ყოველი ისტორია თანამედროვე ისტორიაა**

*ბენედეტო კროჩე*

შეავსეს. ლაშქარი 15 000-მდე გაიზარდა.

რუსეთის მეფემ, ბორის გოდუნოვმა დიმიტრის წინააღმდეგ ჯარი გააგზავნა, მაგრამ დამარცხდა. თუმცა, უკმაყოფილო პოლონელებმა დიმიტრის რიგებში კვლავ ამბოხი მოაწყვეს, რითიც ისარგებლეს რუსეთის სამეფო ძალებმა და 1605 წლის 21 იანვარს სევსკთან უკუაქციეს დიმიტრის ლაშქარი. თვითმარქვია პუტივლში გაიქცა.

პუტივლში დიმიტრის სამთვიანი ყოფნის განმავლობაში ეს პროვინციული დაბა ხალხმრავალ დედაქალაქად იქცა: ტახტის ახალი პრეტენდენტის ჯართან შესაერთებლად რუსეთის ყველა კუთხიდან მოედინებოდა ხალხი. მოკლე ხანში ის ბევრად უფრო გაძლიერდა.

პუტივლში ყოფნისას დიმიტრიმ ცოდნის წადილი გამოამჟღავნა. ბევრს კითხულობდა და განათლებულ ადამიანებს, ძირითადად, პოლონელებს იახლოვებდა. განსწავლული პოლონელები გაოცებულნი რჩებოდნენ კამათის დროს დიმიტრის მიერ გამოჩენილი გამჭრიახობითა და გონებრივი სიღრმით, რუსებს კი აშკარად რცხვენოდათ თავიანთი უწიგნურობისა. ამ დროს თქვა დიმიტრიმ: **"როგორც კი ღვთის შეწევნით მეფე გავხდები, მაშინვე შემოვიღებ სკოლებს, რომ ჩემს სამეფოში ბავშვებმა წერა-კითხვა იცოდნენ. მოსკოვში უნივერსიტეტს დავაარსებ, რუსებს უცხო ქვეყნებში გავაგზავნი, ჩემთან კი გონიერ და მცოდნე უცხოელებს მოვიწვევ, რათა მათი მაგალითით წავახალისო რუსები, თავიანთ ბავშვებს სხვადასხვა მეცნიერება და ხელობა ასწავლონ."**

ეს მაშინ იყო ნათქვამი, როცა რუსეთში მღვდლები აღსარების მიღებისას მრევლს ეკითხებოდნენ: "უცხო ქვეყნებში ხომ არ გიმოგზაურია?" თვით მართლმადიდებელი რუსეთის საზღვართა დატოვება მძიმე ცოდვად ითვლებოდა და ეპიტიმიას იმსახურებდა. ამიტომაც სამღვდელოება თავიდანვე მტრულად განეწყო დიმიტრის მიმართ. პუტივლში დააპატიმრეს რამდენიმე ბერი, რომელიც თვითმარქვიას მოსაწამლად ბორის გოდუნოვისგან იყო გამოგზავნილი. ბერებს ჩხრეკისას აღმოუჩინეს შხამი და აიძულეს, განზრახვა ეღიარებინათ, მაგრამ დიმიტრიმ აპატია და საპყრობილიდან გაათავისუფლა. ამასობაში ეკლესიამ, ასე ვთქვათ, იდეოლოგიური მუშაობა გააჩაღა დიმიტრის წინააღმდეგ: მოსკოვის ტაძრებში აცხადებდნენ, რომ დიმიტრი სინამდვილეში არის ვინმე გრიგოლ ოტრეპიევი, ჩუდის მონასტრის ყოფილი მორჩილი. ამგვარმა პროპაგანდამ ხელი შეუწყო თვითმარქვიას, რადგან გრიგოლ ოტრეპიევი მის გვერდით აღმოჩნდა და დიმიტრიმ იგი ხალხს წარუდგინა. ამის შემდეგ მის მიმართ ნდობა კიდევ უფრო გაძლიერდა.

1605 წლის მაისის ბოლოსათვის, როცა დიმიტრი თავისი მხარდამჭერებით ტულაში დაბანაკდა, გზად მას კვლავ პურ-მარილით ხვდებოდნენ. ტულაში დიმიტრიმ ნამდვილ სახელმწიფო საქმიანობას მიჰყო ხელი: მიიღო ინგლისის ელჩი, ვინმე სმიტი და მისი ხელით ინგლისის მეფეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ამცნობდა თავისი გამეფების შესახებ და ჰპირდებოდა, რომ ინგლისელ ვაჭრებს რუსეთის ტერიტორიაზე ისეთივე პრივილეგიები ექნებოდათ, როგორიც იოანე მრისხანის დროს ჰქონდათ.


ცრუ დიმიტრი I.


მარინა მნიშეკი.


ცრუ დიმიტრი II.

სეპუხოვიდან დიმიტრი უკვე მდიდრული ეტლით გამოემგზავრა. მოსკოვის მახლობლად, სოფელ კოლომენსკოეში მას გაშლილი ჩარდახი დახვდა. აქ ზღვა ხალხი იყო შეკრებილი მეფის შესახვედრად. დიმიტრიმ მდიდრული საჩუქრები მიიღო, მაგრამ ღარიბების მიერ მორთმეული პურ-მარილი განსაკუთრებით სიამოვნებდა.

1605 წლის 20 ივნისს დიმიტრი ზეიმით შევიდა სატახტო ქალაქ მოსკოვში. ბრწყინვალე იყო მისი ამალა, კრემლის მოედანზე სამღვდელოება შეკრებილიყო ხატებითა და ხორუგვებით. სწორედ აქ იგრძნეს რუსებმა პირველი შეუსაბამობა: ღვთისმსახურებისას პოლონელები მუსიკას აჟღერებდნენ, ხოლო თვით უფლისწული მთლად ისე არ ემთხვეოდა ხატებს, როგორც ეს რუსეთში იყო მიღებული. პირველ ჯერზე აპატიეს: "რას იზამ, — ამბობდნენ რუსები, — დიდი ხანი დაჰყო უცხოეთში". მართლმადიდებლობის მოშურნე დამცველებს არ მოეწონათ, რომ დიმიტრის კვალდაკვალ მთავარანგელოზის ტაძარში უცხოელებიც შევიდნენ.

ამის შემდეგ დიმიტრიმ "დედასთან", იმხანად მონაზონ მართასთან შეხვედრა მოინდომა და თავისი მეფედ კურთხევა სწორედ ამ მომენტამდე გადადო. 18 ივლისს მოსკოვში ჩამოაღწია იოანე მრისხანეს ქვრივმა. მომავალი მეფე მას სოფელ ტაინინსკოეში შეხვდა. ზღვა ხალხი მოეძალა ამ სანახაობას და როცა ყოფილი დედოფლის ეტლი გაჩერდა, დიმიტრი მკვირცხლად ჩამოხტა ცხენიდან და დედოფალს გადაეხვია. ორივე ქვითინებდა.

ბოლოს და ბოლოს, 1605 წლის 30 ივლისს მოსკოვის პატრიარქმა ეგნატემ ცრუ დიმიტრის სამეფო გვირგვინი დაადგა და მეფედ კურთხევის წესი აღასრულა. ცრუ დიმიტრი რუსეთის კანონიერი მეფე გახდა, ისევე როგორც ბორის გოდუნოვი, ან ვასილი შუისკი ან თუნდაც რომანოვთა დინასტიის ნებისმიერი წარმომადგენელი. ამის შემდეგ დაიწყო სამეფო ამნისტია: დააბრუნეს გოდუნოვების დასჯილი ბოიარები და თვით გოდუნოვებსაც მოხსნეს ყველა ბრალდება. **"არის მეფობის ორი ხერხი, — ამბობდა დიმიტრი, — მოწყალებითა და სიუხვით, ან სიმკაცრითა და სისასტიკით. მე პირველი ხერხი ავირჩიე".** როცა მეფის თანდასწრებით ვინმე ბორის გოდუნოვის ლანძღვას დაიწყებდა, დიმიტრი ამბობდა: "თქვენ ერთგულებას ეფიცებოდით, როცა ცოცხალი იყო, ახლა კი გარდაცვლილს ნუღარ გაკიცხავთ". დიმიტრის ბრძანებით მოხელეებს გაუორმაგდათ ჯამაგირი, მემამულეებს — მიწის ნაკვეთები, სასამართლო მომსახურება უფასოდ გამოცხადდა. ასევე მემამულეები კარგავდნენ ყმებზე ყოველგვარ უფლებას, თუ მოუსავლიანობის დროს არ კვებავდნენ მათ. გათავისუფლდა ვაჭრობა და მოიხსნა სახელმწიფოდან გასვლისა და მასში შემოსვლის ყოველგვარი შეზღუდვა.

თვითმხილველი ინგლისელები აღნიშნავდნენ, რომ ცრუ დიმიტრი იყო ევროპის პირველი მეფე, რომელმაც ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება დაამკვიდრა. დიმიტრიმ ბოიართა დუმის რეფორმა ჩაატარა და მას სენატი უწოდა. თვითონ ყოველდღე ესწრებოდა სენატის სხდომებს და ყველას აკვირვებდა აზროვნების სისხარტით.

თუმცა, მოსახლეობა ზოგი რამით უკმაყოფილო იყო. მაგალითად, ყველას უკვირდა, რომ დიმიტრი სადილის შემდეგ ქალაქში სეირნობდა და ესაუბრებოდა ხალხს, სხვადასხვა საკითხებს განიხილავდა სახელოსნოებსა და სავაჭროებში. სხვა მეფეები უფრო მკაცრად იცავდნენ ტრადიციას, ანუ სადილის შემდეგ იძინებდნენ ხოლმე. ასევე არ მოსწონდათ, რომ სხვის დაუხმარებლად ჯდებოდა ცხენზე და პირადად ნადირობდა დათვზე.

მაგრამ, განსაკუთრებულ გაკვირვებასა და საყვედურს იწვევდა დიმიტრის დამოკიდებულება სასულიერო საკითხებისადმი. უჩვეულო და შემაშინებელი იყო, რომ მან კარგად იცოდა საღვთო წერილი და თავისუფლად კამათობდა თეოლოგიურ საკითხებზე. დიმიტრი ამბობდა: "ჩვენში ბევრი წესი და რიტუალი არსებობს, მათი აზრი კი დაფარულია. თქვენი ღვთისმოსაობა მხოლოდ მარხვის დაცვა და წმინდა ნაწილებისა და ხატების თაყვანისცემაა, მაგრამ სარწმუნოების არსისა არაფერი გაგეგებათ".

მეფეს არ უყვარდა ბერები, მუქთამჭამელებსა და ორპირებს უწოდებდა. მისი ბრძანებით ჩატარდა სამონასტრო საკუთრების სრული აღწერა, რის შემდეგ დიმიტრიმ გამოაცხადა, რომ მხოლოდ აუცილებელს დაუტოვებდა მათ, დანარჩენს კი წმინდა მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვას მოახმარდა.

რომის პაპთან ურთიერთობისას მეფე ყოველთვის საკმაოდ მოხერხებულად არიდებდა თავს ეკლესიათა გაერთიანებაზე საუბარს. და მაინც, დიმიტრიმ კათოლიკეებს სარწმუნოების თავისუფლება მიანიჭა მოსკოვის სამეფოში, მაგრამ ასეთივე თავისუფლება მისცა ყველანაირი აღმსარებლობის პროტესტანტებსაც. მეფის პირადი მდივანი, ბუჩინსკი პროტესტანტი იყო. ამავე დროს მეფე დიდძალ თანხებს უგზავნიდა ლვოვის რუსულ საძმოს, რომლის მიზანი კათოლიკურ გარემოცვაში მართლმადიდებლობის შენარჩუნება იყო. როგორც ჩანს, ცრუ დიმიტრი სინდისის თავისუფლების პირველი პრაქტიკული განმახორციელებელი იყო არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც.

1605 წლის 12 ნოემბერს დიმიტრიმ დაადასტურა, რომ თანახმაა იქორწინოს მარინა მნიშეკზე. მოსკოვში კი თავი იჩინეს მისმა მტრებმა: 1606 წლის იანვარში სამეფო გვარდიამ, სტრელცებმა, მისი მოკვლა გადაწყვიტეს. შეთქმულება გაიხსნა და სასახლეში შემოჭრილ გაკოჭილ მკვლელებს დიმიტრიმ ასე მიმართა: "მებრალებით, თქვენ უხეშები ხართ და სიყვარული არ გაგაჩნიათ. რატომ იწვევთ შფოთს? ჩვენი საბრალო მიწა უამისოდაც იტანჯება. ნუთუ მისი საბოლოო გაჩანაგება გწადიათ?". შეთქმულების ფორმალურ საბაბად უფლისწულის თვითმარქვიობა სახელდებოდა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი სხვა იყო: რუსეთი ძნელად ეჩვეოდა სიახლეებს. მოგვიანებით პეტრე პირველს ანალოგიური რეფორმების ჩასატარებლად სულ სხვაგვარი მოქმედება დასჭირდა: მან ერთიანად ამოჟლიტა სტრელცები.

დიმიტრის ლმობიერებას ძლიერი მაგრამ ხანმოკლე ეფექტი აღმოაჩნდა: ხალხმა იგი ძალიან შეიყვარა. მოსკოვში საშიში იყო მეფის წინააღმდეგ სიტყვის დაძვრა — დონელი კაზაკები იმწამსვე კლავდნენ ყველა თავხედს. მაგრამ პოლონელ ქალზე ქორწინებამ ყოველგვარი პოლიტიკური ნიჭი და სულიერი სიკეთე გააქარწყლა. ჯერ ერთი, პოლონელთა მაყრიონი საზიზღრად იქცეოდა მოსკოვის ქუჩებში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ავაზაკთა უმრავლესობა მხოლოდ იწოდებოდა პოლონელად, სინამდვილეში ისინი მართლმადიდებელი რუსები იყვნენ, როგორც სამხრეთ პოლონეთის მოსახლეობის უმრავლესობა. ამის გარდა, მოსკოველები კვლავ გააღიზიანა ნეფე-პატარძლის საქციელმა ეკლესიაში, განსაკუთრებით კი იმან, რომ არც ერთი არ იცნობდა ხატის მთხვევის ადგილობრივ ტრადიციას. ამ წვრილმანმა გადასწონა შემცირებული გადასახადები, გაზრდილი მიწის ნაკვეთები, ვაჭრობის თავისუფლება და ათასი სხვა სიკეთეც. ხალხში იზრდებოდა ზიზღი მეფისადმი, რომელმაც უცხო ტომის ქალი შეირთო.

უკმაყოფილებით ისარგებლა ცნობილმა პოლიტიკურმა ინტრიგანმა, თავადმა ვასილი შუისკიმ. 1606 წლის 17 მაისს შეთქმულებმა შეაღწიეს სასახლეში და სიცოცხლეს გამოასალმეს ცრუ დიმიტრი. ახლა უკვე მონასტრიდან გამოძახებულმა მონაზონმა მართამაც განაცხადა, რომ მოკლული მისი შვილი დიმიტრი არ იყო. ხალხში ჯერაც ცოცხლობდა მეფისადმი სიყვარული: ხმა დაიძრა, რომ მიცვალებული ღამ-ღამობით დადიოდა. ამიტომაც ცრუ დიმიტრის გვამი ამოთხარეს ქალაქიდან გაიტანეს, დაწვეს და ფერფლი ქარს გაატანეს.

"შფოთიანი დრო" გაცილებით გვიან, 1614 წლის შემოდგომაზე დასრულდა, როცა რუსეთის ტახტზე უკვე პირველი რომანოვი იჯდა, რომელიც საშინელი სისასტიკით უსწორდებოდა ყველას, ვინც კი თუნდაც თეორიულად შეეცილებოდა ტახტს. "შფოთიანი დრო" ისევე დასრულდა, როგორც დაიწყო — უდანაშაულო ყრმის სიკვდილით. მეფის ბრძანებითა და პატრიარქ გერმოგენეს მოთხოვნით სწორედ მაშინ ჩამოახრჩვეს ყოფილი დედოფლის, მარინა მნიშეკის ოთხი წლის ვაჟი — ტახტის ბოლო პრეტენდენტი, რომლის მამა კიდევ ერთი თვითმარქვია, ცრუ დიმიტრი მეორე იყო, ტუშინელ ქურდად წოდებული. სიკვდილით დასჯა შემოდგომის სუსხიან დღეს შედგა. იქ დამსწრე ინგლისის ელჩი იხსენებს, რომ ბავშვის სხეული ძალზე მსუბუქი იყო და ყულფმა ყელზე ვერ მოუჭირა. რუსეთის სამეფოსა და წმინდა მართლმადიდებლობისთვის ბოლო საშიში ადამიანი საათნახევრის განმავლობაში ცოცხალი ეკიდა თოკზე, სანამ არ გაიყინა.

ხარუკი მურაკამი

ირაკლი ბერიაშვილის თარგმანი

ხარუკი მურაკამი 1949 წელს დაიბადა კიოტოში, იაპონიის ძველ დედაქალაქში, კლასიკური ფილოლოგიის მასწავლებლის ოჯახში. სწავლობდა კლასიკური დრამის ფაკულტეტზე ვასედას უნივერსიტეტში. ტოკიოში ჯაზის ბარი ჰქონდა.

წერა 29 წლისამ დაიწყო და მას შემდეგ წელიწადში საშუალოდ ერთ რომანს წერს. იღვიძებს ექვს საათზე და წვება ათზე. 33 წლისამ სიგარეტს თავი დაანება, დაიწყო ვარჯიში.

დასავლეთში გაემგზავრა და იქიდან ევროპელის თვალით დაუწყო ყურება თავის სამშობლოს.

თავისი შემოქმედებით მურაკამი არღვევს ჩვეულ იაპონურ ფასეულობებს: "ეცადე იცხოვრო ჰარმონიულად გარე სამყაროსთან", "არ გამოეყო გარემოს და ყველაფერი იღონე კარიერისთვის". ის სიამოვნებით არღვევს ტრადიციებს, რის გამოც ბევრი იაპონელის სიძულვილიც დაიმსახურა. "მე მომწონს დროის ფლანგვა. ქვეყნად იმდენი რამ არის, რაც მიყვარს - ჯაზი, კატები, გოგონები, შეიძლება წიგნებიც. ყველაფერი ეს ცხოვრების გაგრძელებაში მეხმარება".






# ნადირობა ცხვრებზე

გაგრძელება. დასაწყისი იხილე № 11, 12, 13, 14, 15, 16

## 3
## რაღაც დასრულდა

ქალაქში ივნისში დავბრუნდი.

სერიოზული საბაბი მოვიგონე, სამი დღით შვებულება ავიღე და სამშაბათს დილის "სინკანსენს" გავყევი. მოკლესახელოიანი თეთრი პერანგით, მუხლებთან გამობერილი მწვანე სპორტული შარვლით, ჩოგბურთის ძველი ფეხსაცმელებით და ბარგის გარეშე.

ნამძინარევს გაპარსვაც კი დამავიწყდა. ჩოგბურთის ფეხსაცმელები უკვე კარგა ხანია აღარ მცმია და ახლა რაღაცნაირად დაჭყლეტილი მეჩვენებოდა. ისე ვადგამდი ნაბიჯებს, თითქოს ნათხოვარი მეცვა.

შესანიშნავი გრძნობაა - შორი მატარებლით ბარგის გარეშე მგზავრობა. თითქოს სახლიდან სასეირნოდ გასული გამრუდებულ დრო-სივრცეში მოპიკირე ბომბდამშენის კაბინაში აღმოჩნდი და ყველაფერი გათავდა, ყველაფერი მორჩა - კალენდარში მონიშნული ვიზიტიც კბილის ექიმთან; არც შენი მოსვლის მოლოდინში მაგიდაზე დახვავებული პრობლემები; არც ეს "საზოგადოებრივი ურთიერთობები", საიდანაც თავის დაღწევა ცხოვრების ბოლომდე შეიძლება ვერ მოახერხო; არც ყალბი ღიმილი ფიზიონომიაზე გარშემომყოფთა ნდობის მოსაპოვებლად... ამ ყველაფერს რაღაც დროით უბრალოდ ჯანდაბას გზავნი. ყველაფერი, რაც რჩება - ეს ჩოგბურთის მოქცეულქუსლიანი ძველი ფეხსაცმელია. მხოლოდ ის და მეტი არაფერი. ისინი, იცოცხლე, მაგრად შეეზარდნენ ფეხს - მოგონებების გაურკვეველი ნაფლეთები სხვა დრო-სივრცეში. თუმცა ეს უკვე ისეთი საშიში აღარ არის. ასეთ მოგონებებს სულ იოლად გააძევებ ერთ-ორი ქილა ლუდით და ლორის სენდვიჩით.

უკვე ოთხი წელია ქალაქში არ გამოვჩენილვარ. ოთხი წლის წინათ ჩემს ქორწინებასთან დაკავშირებული ზოგიერთი, ასე ვთქვათ, წმინდა ბიუროკრატიული ფორმალობის მოსაგვარებლად ჩამოვედი. მგზავრობა უაზრო გამოდგა... აღმოჩნდა, რომ პირადად მე მიმაჩნდა ეს საკითხი "წმინდა ბიუროკრატიულად". დანარჩენები ასე არ თვლიდნენ. როგორ ვთქვა, შეხედულებების ჩვეულებრივი აცდენა. ის, რაც ერთი ადამიანისთვის უკვე დამთავრდა და "წარსულ საქმეებს" განეკუთვნება, მეორეს სულაც არ ეჩვენება ასეთად. თითქოს მხოლოდ ეს არის. დიდი არაფერი. მაგრამ სწორედ ამ მცირეშია დამალული ყველაზე მთავარი. რაც უფრო შორს გაავლებ მომავალში აცდენილი შეხედულებების ხაზს, მით უფრო ფართო იქნება ნაპრალი მათ შორის. მას შემდეგ ჩემთვის აღარ არსებობს "ჩემი ქალაქი". არ არსებობს ადგილი, სადაც შეიძლება დავბრუნდე... ამის გაფიქრებაზე გულზე მომეშვა. არავის არ სწყურია ჩემთან შეხვედრა. არავის არ ვჭირდები და არც არავის არა აქვს იმედი, რომ შეიძლება დამჭირდეს. ორი ქილა ლუდის შემდეგ ნახევარი საათით წავიძინე. გამოღვიძებულმა აღმოვაჩინე, რომ თავისუფლების წეღანდელი შეგრძნება და სხეულის სიმსუბუქე სადღაც გამქრალიყო. ფანჯარაში, თითქოს გაქცეულ მატარებელს მოსდევსო, მონაცრისფრო ღრუბელი საოცარი სისწრაფით ფარავდა ცას და ივნისის ხანგრძლივი წვიმით იმუქრებოდა. ამ ცის ქვეშ საითაც არ უნდა გაგეხედა, ერთი და იგივე მოსაწყენი პეიზაჟი გადაჭიმულიყო. რა სიჩქარითაც არ უნდა იმოძრაოს მატარებელმა, მოწყენილობას ვერსად გაექცევი. პირიქით: რაც მეტია სიჩქარე, მით უფრო ღრმად ეფლობა სული უძირო მოწყენილობის ჭაობში. ისე, სწორედ ეს არის მოწყენილობის, როგორც ასეთის, მთავარი პრინციპი.

ახალგაზრდა, ოცდახუთიოდე წლის კლერკი ჩემს გვერდით სავარძელში პრაქტიკულად გაუნძრევლად ზის, ერთიანად "კეიძაი სიმბუნის" კითხვაშია ჩაფლული. გაზიზინებული მუქლურჯი საზაფხულო კოსტიუმი და შავი ფეხსაცმელები. თეთრი პერანგი - ქიმწმენდიდან ახლად გამოტანილი. ვაგონის ჭერს მივაშტერდი და გავაბოლე. რაღაცით რომ მომეკლა დრო, შევეცადე გონებაში დამეთვალა რამდენი სიმღერა ჩაწერეს "ბითლზებმა" ფირფიტებზე. სამოცდაცამეტზე რომ მივედი, გავიჭედე. საინტერესოა, თვითონ პოლ მაკარტნი რამდენს დაითვლიდა...

ფანჯარას გავხედე და ისევ ჭერს მივაშტერდი. მაშ ასე. ოცდაცხრა წლის ვარ. კიდევ ნახევარი წელიწადი და გაფრინდება ჩემი ცხოვრების სამი ათეული წელი. არაფერი, აბსოლუტურად არაფერი დაგიტოვებია ამ ათ წელიწადში. ყველაფერს, რაც კი შეიძინე, გროშის ფასი აქვს. ყველაფერი, რასაც კი მიაღწიე, სრული უაზრობაა. და თუ რამე დარჩა, საბოლოოდ ჩემთან სწორედ ეს მოწყენილობაა... რა იყო მაშინ, დასაწყისში, რაც ახლა ვეღარ გამიხსენებია? რაღაც ხომ აუცილებლად იყო, უეჭველად იყო რაღაც. რაღაც მეხებოდა სულზე - ზუსტად ისე, როგორც სხვა ადამიანების სულებს... და აი, საბოლოოდ სწორედ ეს რაღაც დავკარგე სამუდამოდ. მე თვითონ გადავწყვიტე მისი დაკარგვა, ისიც ადგა და დაიკარგა. მაგრამ ამას გარდა, გარდა იმისა, რომ მოსუსტებული ხელებიდან გამეშვა ყველაფერი - სხვა რა გზა მქონდა?

ყოველ შემთხვევაში, ხომ გავძელი მაინც... რა თქმა უნდა, საუკეთესო ინდიელი, მკვდარი ინდიელია.

მაგრამ მე რატომღაც, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, კიდევ მინდოდა გაგრძელება.

რატომ?

ზღაპრები მოვუყვე ქვის კედლებს?

რა სისულელეა.

- რა ეშმაკმა მოგაფიქრებინა ოტელში გაჩერება? - გაუკვირდა ჯეის, როცა ოტელიდან გამოყოლილი ასანთის კოლოფი მივეცი ეტიკეტზე ტელეფონის ნომრით, - შენ ხომ გაქვს სახლი?

- ის ჩემი სახლი აღარ არის, - ვუპასუხე.

ჯეის აღარაფერი უკითხავს.

სამი თეფშით საუზმე დავილაგე წინ, ნახევარი კათხა ლუდი დავლიე და მხოლოდ ამის შემდეგ გადავაწოდე დახლზე ვირთხას წერილები. ხელისგულები პირსახოცით შეიწმინდა და ხელდახელ გადაავლო თვალი ორივე წერილს, მერე კი ნელა, დაკვირვებით ჩაიკითხა ყველაფერი თავიდან.

- ჰმ! - თითქოს გაუკვირდაო, ისე გაიჭიმა, - ესე იგი, ცოცხალია არა, ძაღლიშვილი?

- ცოცხალია და ჯანმრთელი, როგორც ხედავ! - ვთქვი და კიდევ მოვსვი ლუდი, - მისმინე, გაპარსვა მინდა, კრემსა და საპარსს ვერ მომცემ?

- რა პრობლემაა! - ჯეიმ დახლს ქვემოდან სამგზავრო ნაკრები გამოიღო, - ტუალეტში უფრო მოსახერხებელია გაპარსვა, მაგრამ ცხელი წყალი არ არის.

- არა უშავს, ცივითაც იოლად გავალ, - მთავარია მთვრალი დედაკაცები არ ეყარნენ იატაკზე. აი, მაშინ მართლა გამიჭირდება გაპარსვა.

ჯეის ბარი მთლიანად შეცვლილიყო.

წინანდელი "ჯეი'ზ ბარი" ერთი უბადრუკი ადგილი იყო ქალაქის მაგისტრალის პირზე მდგარი აჩოჩხილი მრავალსართულიანი სახლის სარდაფში. ზაფხულობით კონდიციონერებიდანაც კი ჰაერი კი არა, რაღაც ნესტიანი ნისლი გამოდიოდა. ცოტა დიდხანს გაჩერდებოდი და შეგეძლო პერანგი გაგეწურა.

ჯეის ნამდვილი სახელი ჩინური იყო - გრძელი და ძნელად სათქმელი. მეტსახელი ჯეი ამერიკელი ჯარისკაცებისგან დარჩა სამახსოვროდ, როცა აშშ-ს ავიაბაზაში მუშაობდა. მას შემდეგ ნამდვილი სახელი თავისთავად მიეცა დავიწყებას. როგორც თვითონ ჯეი ამბობდა, 54 წელს თავი დაანება ავიაბაზას და იქვე ახლოს გახსნა საკუთარი პატარა სასაუზმე. სწორედ ეს იყო სულ პირველი "ჯეი'ზ ბარი". საქმეები კარგად მიდიოდა. კლიენტურა ძირითადად სამხედრო მფრინავი ოფიცრები იყვნენ, ატმოსფეროც შესაფერი - საკმაოდ სოლიდური იყო. როცა ცოტა მომაგრდა, ჯეი დაქორწინდა, მაგრამ ხუთი წლის შემდეგ ცოლი მოუკვდა. სიკვდილის მიზეზზე ჯეი არასდროს არაფერს არ ყვებოდა.

63-ში, როცა ვიეტნამში ძალიან დაცხა, ჯეიმ თავისი ბარი გაყიდა - გადაწყვიტა, "რაც შეიძლება შორს გასცლოდა". ეს "რაც შეიძლება შორს" ჩემი ქალაქი გამოდგა. იქ გახსნა თავისი მეორე "ჯეი'ზ ბარი".

სულ ეს არის, რაც ჯეის შესახებ ვიცოდი. ერთი კატა ჰყავდა, დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა და სპირტიან სასმელს ახლოს არ ეკარებოდა.

სანამ ვირთხას გავიცნობდი, ხშირად დავდიოდი აქ, ყოველთვის მარტო. ლუდს ვწრუპავდი, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი, ხურდა ფულს ვყრიდი მუსიკალურ ავტომატში და ფირფიტებს ვუსმენდი. უკვე მაშინ ბარში ხშირად იყო ხალვათობა და მე და ჯეი დახლთან ხანგრძლივი საუბრებით ვერთობოდით. რაზე ვლაპარაკობდით, ნამდვილად აღარ მახსოვს. რა უნდა გვქონოდა სალაპარაკო ჩვიდმეტი წლის უფროსკლასელ უთქმელ ბიჭსა და დაქვრივებულ ჩინელს?

როცა თვრამეტის გავხდი და ქალაქიდან გავემგზავრე, ლუდის საწრუპად ჯეისთან მარტო ვირთხა დადიოდა. მაგრამ როცა 73-ში ვირთხაც გაემგზავრა, მომსვლელი აღარავინ დარჩა. სულ მალე ქალაქის მაგისტრალის გაფართოება დაიწყეს და ჯეის დაწესებულებაც იძულებული გახდა სხვაგან გადასულიყო. ასე დასრულდა მეორე "ჯეი'ზ ბარის" ისტორია. მესამე "ჯეი'ზ ბარმა" წინანდელისგან ხუთასიოდე მეტრში, მდინარესთან ახლოს დაიდო ბინა. აქაც საკმაო სივიწროვე იყო, მაგრამ გასარკევებულ ლიფტს ახალთახალი ოთხსართულიანი შენობის მესამე სართულზე აჰყავდი. უცნაური გრძნობაა - "ჯეი'ზ ბარში" ლიფტით შესვლა. კიდევ უფრო უცნაური იყო, "ჯეი'ზ ბარის" დახლთან მდგარი რომ გაჰყურებდი ქალაქის სინათლეებს.

დასავლეთისა და სამხრეთის ვეებერთელა ფანჯრებიდან მთების ტალღოვანი რელიეფი და დაბლობი მოჩანდა, სადაც ადრე ზღვის ტალღები ტყლაშუნობდა. რამდენიმე წლის წინ დაბლობი მიწაყრილით ამოავსეს და საფლავის ქვებივით მჭიდრო რიგებად ცათამბჯენები წამოჭიმეს... ერთხანს ფანჯარასთან ვიდექი, პეიზაჟს გავყურებდი. მერე კი უკან, დახლთან მივბრუნდი.

- ადრე აქედან ზღვა ჩანდა, არა? - ვკითხე.

- ჩანდა, - მიპასუხა ჯეიმ.

- ბავშვობაში იქ ვბანაობდი, - ვთქვი.

- მ-მ, - ზმუილით დამიდასტურა, თან მოზრდილი სანთებელით კბილებში გაჩრილ სიგარეტს მოუკიდა, - მშვენივრად მესმის შენი. დაშალო მთები, ააშენო სახლები, გორების ნარჩენებისგან ამოავსო ზღვა და ისევ სახლები ააშენო... ზოგიერთი იდიოტი ამას ახლაც მშვენიერ იდეად თვლის.

ჩუმად ვსვამდი ლუდს. ჭერში დაკიდებული დინამიკები ბოზ სკეგზის ახალ ჰიტს მღეროდა. მუსიკალური აპარატი სადღაც გაქრა. მაგიდებთან მსხდარი გამოწკეპილი სტუდენტური წყვილები ნელა, დინჯად წრუპავდნენ წყალგარეულ ვისკის და კოქტეილს. არც მთვრალი ქალები ტუალეტში, აღარც შაბათის ყაყანი, ყურებს რომ გტკენდა. მერე ყველანი თავ-თავიანთ სახლებს მიაშურებენ, პიჟამებს შემოიცვამენ, კბილებს გაიხეხავენ და დასაძინებლად დაწვებიან... და მერე რა რო? არც არაფერი. სუფთა, გამოწკეპილი ცხოვრება - რა არის ამაში ცუდი? - ბოლოს და ბოლოს, როგორი უნდა იყოს ეს ქვეყანა, როგორი უნდა იყოს ეს ბარი - არავინ იცის. არავინ იცის, იმიტომ რომ ერთიანი სტანდარტი უბრალოდ არ არსებობს. მთელი ეს დრო ჯეი ჩემს ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გაქცეულ მზერას აყოლებდა თვალს.

- აბა, რას მეტყვი, ყველაფერი ისე შეიცვალა, რომ ადგილი ვეღარ გიპოვია?

- სულაც არა, - ვთქვი, - ახლებურად შეფუთული ძველი ბარდაკი. სულ ეს არის.

"დათვმა ჟირაფს შლაპა გაუცვალა, ზებრამ კი დათვის სერთუკი ჩაიცვა".

- არსი კი იგივეა, არა? - გაიცინა ჯეიმ.

- დრო შეიცვალა, - ვთქვი, - იცვ-

ლება დრო, იცვლება ბევრი რამ, მაგრამ საბოლოოდ - ეშმაკსაც წაუღია, იცვლება და შეიცვალოს. ასე არ ვცხოვრობთ? ვიცვლებით და ვიცვლებით. ვის უნდა უსაყვედურო...

ჯეი გაჩუმდა.

კიდევ ერთი ლუდი ავიღე. ჯეიმ ახალ სიგარეტს მოუკიდა.

- როგორ ხარ? - მკითხა ჯეიმ.

- არც ისე ცუდად, - ვუპასუხე.

- ცოლთან?

- ვერაფერს გაიგებ. საერთოდ, როგორ არის ორ სხვადასხვა ადამიანს შორის? ზოგჯერ გეჩვენება, რომ ყველაფერი რიგზეა, ზოგჯერ სულაც არ გეჩვენება ასე. შენც კარგად იცი, ჩვეულებრივი ამბავია ცოლქმრულ ცხოვრებაში.

- არ ვიცი, - მოღუშულმა ჩაიდუდუნა ჯეიმ და ნეკით წარბი მოიქექა, - დამავიწყდა როგორია ცოლქმრული ცხოვრება. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ...

- კატა როგორ გყავს?

- ოთხი წლის წინ მოკვდა. ზუსტად თქვენი ქორწინების შემდეგ. რაღაც დაემართა ნაწლავებში... ისე, დრომაც უწია, თორმეტი წელი ცოტა არ არის. უფრო მეტი, ვიდრე მე და ჩემი ცოლი ვიყავით ერთად... თორმეტი წლის სიცოცხლე - თითქოს წვრილმანია, არა?

- ნუ იტყვი.

- ყური მოვკარი, იქ, გორაზე, ცხოველების სასაფლაოაო. აი, იქ დავმარხე. ახლა ამ ცათამბჯენებს ზემოდან მაინც გადმოხედავს. თორემ საითაც არ უნდა გადააფურთხო, ცათამბჯენს მოახვედრებ. კატას ეს ალბათ ფეხებზე ჰკიდია... მაგრამ მაინც.

- ნაღვლობ?

- ვნაღვლობ, ძალიან. არც კი ვიცი, ვინ უნდა მოკვდეს, რომ ასე ვინაღვლო... რა, უცნაურად ვლაპარაკობ?

თავი გავაქნიე.

სანამ ჯეი მორიგი კლიენტისთვის რაღაც ჩახუჭუჭებულ კოქტეილსა და სალათა "იულიუს კეისარს" ამზადებდა, მე ჩრდილოევროპული თავსატეხით ვერთობოდი. მინის კოლოფში ფრაგმენტებიდან სამყურა ბალახის მდელოზე მოფარფატე პეპლების ნახატი უნდა ამეწყო. მოთმინება მხოლოდ ათი წუთი მეყო, მერე მივაფურთხე და სათამაშო ადგილზე დავდე.

- ბავშვები არ გყავს? - მკითხა ჯეიმ, - შენს ასაკში უკვე დროა...

- რაღაც არ მინდა, - ვუპასუხე.

- სერიოზულად ამბობ?

- აბა, წარმოიდგინე: ვიღაც ჩემნაირი უნდა დაიბადოს - მერე წარმოდგენა არა მაქვს, რა უნდა ვუყო.

ჯეიმ შეფიქრიანებულმა ჩაიცინა და ლუდი დამისხა.

- რატომღაც მგონია, რომ ძალიან ბევრს ფიქრობ წინასწარ.

- არა, მაგის ბრალი არ არის. უბრალოდ, ვერ მივმხვდარვარ, ღირს თუ არა საერთოდ ამის გაკეთება - კიდევ ერთი სიცოცხლე აჩუქო ამ ქვეყანას... გაიზრდებიან ბავშვები, შეიცვლება თაობა. მერედა რა? უფრო მეტ გორაკს გაასწორებენ მიწასთან, უფრო მეტ ზღვას ამოავსებენ. სიჩქარეები მოემატება ავტომობილებს და კატაც უფრო მეტი გაიჭყლიტება... სულ ეს არის. რა, მართალს არ ვამბობ?

- მაგრამ ეს ცხოვრების მხოლოდ ბნელი მხარეა. კარგი რამეებიც ხომ ხდება. კარგი ადამიანებიც ხომ არიან...

- ჰო? აბა, მაშინ სამ-სამი მაგალითი მითხარი ერთისაც და მეორისაც და დაგიჯერებ...

ჯეი კარგა ხნით ჩაფიქრდა, მერე გაიცინა:

- სულ ერთია: კარგია თუ ცუდი, ეგ თქვენი გასარჩევი არ არის, თქვენი შვილების გასარჩევია... თქვენმა თაობამ უკვე, ჰმ...

- ჭირი მოგვჭამა.

- ასე ვთქვათ, - ამოღერღა ჯეიმ.

- ჭირი მოგვჭამა, მელოდიის აჩრდილი კი ისევ მღერის გულში...

- აბა, ნახე, რა ლამაზად ამბობ ყველაფერს...

- მარიაჟობაა, - დავიჯღანე.

* * *

ბარი ხალხით ივსებოდა. ჯეის დავემშვიდობე და ქუჩაში გამოვედი. ცხრა საათია. ღაწვისთავები მეწვის - ეგრე იცის ცივი წყლით პარსვამ და ლიმონიანმა არაყმა ლოსიონის ნაცვლად. თუ ჯეის დავუჯერებ, იგივე ეფექტია. ოღონდ ეს არის, სახე არყის სუნით მიყარს.

საოცრად თბილი ღამე იდგა, ცა ისეთივე მოღუშულ-მოღრუბლული იყო. სამხრეთის ნიავი ზანტად აწვალებდა ნესტიან ჰაერს. ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის იყო. წვიმის წინათგრძნობით გაჟღენთილი ზღვის სურნელი. ნოსტალგიით შეფერილი პეიზაჟი. ჭრიჭინების ჭრიჭინი მდინარისპირა ბალახბულახიდან და, როგორც ყოველთვის, აი ეს "თითქოსდა წვიმა" რაღაც უცნაურად ცრის. ვერ გაგიგია, ციდან ცვივა თუ ჰაერშია გამოკიდებული. არადა, სულ ცოტა ხანი და თავით ფეხებამდე გალუმპული ხარ.

ფარნების ცივ შუქზე ჩანდა, როგორ მირბოდა მდინარეში წყალი. მდინარე თითქმის დამშრალა, ძლივს მწვდება კოჭებამდე. მაგრამ ისეთივე სუფთაა, როგორც რამდენიმე წლის წინათ. ნაკადულები აქ პირდაპირ მთებიდან ჩამოდის და წყალი არასდროს არ იმღვრევა. მდინარის კალაპოტი იმავე მთებიდან ჩამოტანილი ქვითაა მოსაზღვრული.

წყალი თავისუფალ ადგილებში მხიარულად ჩუხჩუხებდა, ღრმა ადგილებში კი მდუმარედ მიედინებოდა. აქა-იქ თევზიც კი ფართხალებდა. თუ წვიმა დიდი ხნის მანძილზე არ მოდიოდა, მდინარისგან კალაპოტის გასწვრივ გრძელი გუბეები, ხოლო ყოფილი ნაპირის ადგილზე სველი ქვიშის თეთრი ნახევარკუნძულები ჩნდებოდა. ხშირად დავეხეტებოდი ამ ნახევარკუნძულებზე და იმ ადგილებს ვეძებდი, სადაც მდინარე უცებ ქრებოდა - ქვებს შორის ჩაწრეტილი საკუთარ ფსკერზე ღაფავდა სულს. თვალით მოვძებნიდი ხოლმე წყლის ნაკადის აი ამ სულ ბოლო წერტილს და გაშეშებული ვჩერდებოდი. წამით მეჩვენებოდა, თითქოს სხვა რაღაცასაც ვხედავდი, მაგრამ მაშინვე უკვალოდ ქრებოდა. თითქოს მდინარის ფსკერზე დამალული რაღაც უცნაური არსებები ცხოვრობდნენ. აი, ეს გზა მდინარის გასწვრივ ჩემი საყვარელი გზა იყო. მდინარესთან ერთად ვმოძრაობდი. მის ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქვას ვგრძნობდი. ისინი ნამდვილად არსებობდნენ. ეს მათ ააშენეს ქალაქი. ასობით საუკუნე წლიდან წლამდე - შლიდნენ მთებს, მიწად აქცევდნენ, იმ მიწით ზღვას ავსებდნენ, ხეებს რგავდნენ. ქალაქი იმთავითვე მათ ეკუთვნოდათ. ეტყობა, მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ივნისის წვიმების შემდეგ მდინარე აღარ მიღოღავდა ქვიდან ქვამდე, მხიარულად გარბოდა წინ, პირდაპირ ზღვისკენ. სანაპიროს გასწვრივ ჩარიგებული ხეების ცინცხალი ფოთლების სუნი მცემდა, მეჩვენებოდა, რომ ჰაერიც კი მწვანე ფერით იყო გაჟღენთილი. ბალახზე რამდენიმე ხელჩაკიდებული წყვილი იჯდა. მოხუცი ძაღლს ასეირნებდა. მოტოციკლზე დაყრდნობილი ბიჭი სიგარეტს ეწეოდა. ჩვეულებრივი ზაფხულის საღამო, როგორც ყოველთვის. გზად სასაუზმეში ორი ქილა ლუდი ვიყიდე და ქაღალდის პაკეტით ხელში მდინარისკენ ჩავედი. ადგილი, სადაც მდინარე ზღვაში ილვრებოდა, ახლა უბეს თუ სარწყავ არხს ჰგავდა. ცალი მხრიდან მიწა მიეყარათ. ზღვის უბიდან ორმოცდაათიოდე მეტრის სიგანის ჩამონაჭერიღა დარჩენილიყო... ქვიშიან პლაჟზე ყველაფერი ძველებურად იყო. პატარა ტალღები, ნაპირზე გამორიყული გლუვი ხის ნაფოტები. ზღვის სურნელი. არმატურაგამოჩრილი ბეტონის ტალღსაჭრელი ლოდები და პულვერიზატორიანი საღებავით გაკეთებული უხამსი წარწერები... ორმოცდაათიოდე მეტრის სიგანის წარსულის ნაჭერი. დანარჩენი ყველაფერი მოზღუდული იყო ათმეტრიანი ბეტონის კედლით. ეს კედელი, ზღვისგან წვრილი ზოლი რომ დაეტოვებინა, რამდენიმე კილომეტრით გრძელდებოდა... კედლის იქით კი, ჰორიზონტამდე, გიგანტური ურჩხულების ჯოგივით გაწელილიყო მრავალსართულიანი უფორმო საცხოვრებელი მასივები. ზღვა ორმოცდაათმეტრიან გალიაში შეაგდეს და მთლიანად გაანადგურეს. მაგისტრალზე, რომელიც ოდესღაც სანაპიროს მიუყვებოდა, მდინარიდან აღმოსავლეთით წავედი. ჩემდა გასაკვირად, ძველი ტალღმჭრელისთვის ხელი არ ეხლოთ. უცნაური სანახავი იყო - ტალღმჭრელი, რომელმაც ზღვა დაკარგა. იმ ადგილამდე მივედი, სადაც ადრე მანქანას ვაჩერებდი და ზღვას გავცქეროდი, ბეტონის ლოდზე დავჯექი, ლუდის ქილა გავხსენი და იქაურობა მოვათვალიერე. ზღვის ნაცვლად ხელოვნური გრუნტის კილომეტრები და მრავალბინიანი სახლების მწკრივი გაჭიმულიყო. უაზრო ჩამონაჭრებივით დაყრილი ეს სახლები სამშენებლო მასალას უფრო ჰგავდნენ სხვა, მიწისზედა ქალაქისთვის, რომლის მშენებლობა შუა გზაზე მიატოვეს. და კიდევ უფრო მეტად ჰგავდნენ შეშინებულ ბავშვებს, მშობლების მოლოდინში გზას რომ გასცქერიან.

სახლების სილუეტებზე გვირისტივით გადიოდნენ და აქეთ-იქით გარბოდნენ ასფალტის მაგისტრალის ძაფები, ვეებერთელა ავტოსადგომებს ებღაუჭებოდნენ, გორგალივით იხვეოდნენ ავტობუსების ტერმინალებთან. სუპერმარკეტები, ბენზინგასამართი სადგურები, უშველებელი პარკი, ყრილობათა დიდებული სასახლე - ყველაფერი ახალთახალი და საოცრად არაბუნებრივი იყო. მთებიდან ჩამოტანილ მიწას, ყველა ხელოვნური ტერიტორიის მსგავსად, ცივი ტყვიისფერი დაჰკრავდა. იმ ადგილებში კი, რომლებიც ვერ მოექცნენ გეგმიური ქალაქმშენებლობის დოლაბქვეშ, ხშირი შამბნარი ირწეოდა. პირდაპირ საოცარია, რა სისწრაფით მოედება ხოლმე სარეველა "ახალ მიწებს". თითქოს საგანგებოდ იმისთვის, რომ გაალიზიანონ და გაამაიმუნონ მოასფალტებული ქუჩის პირზე გაშენებული გაზონები და ინკუბატორის მცენარეები. თითქოს თან მიჰყვებიან ადამიანს, სადაც არ უნდა გადასახლდეს... ნაღვლიანი სანახაობაა.

მაგრამ რა მეთქმის ამაზე? ახალი თამაში ახალი წესებით უკვე დაწყებულია. მისი შეჩერება არავის ძალუძს. ერთიმეორის მიყოლებით გამოვცალე ქილები და იქით მოვისროლე, სადაც ოდესღაც ტალღები ტყლაშუნობდა. გაკვირვებულები დაბზრიალდნენ ჰაერში და აქოჩრილ შამბნარში ჩაიკარგნენ. სიგარეტს მოვუკიდე.

თითქმის ბოლომდე მქონდა მოწეული, რომ შევნიშნე, ვიღაც კაცი ფარნით ხელში ჩემკენ მოდიოდა. ორმოციოდე წლის იქნებოდა, ნაცრისფერი პერანგით, ნაცრისფერი შარვლითა და ნაცრისფერი ქუდით. ალბათ პოლიციელი იყო სახელმწიფო ობიექტების დაცვის სამსახურიდან.

- თქვენ ახლახან რაღაც გადააგდეთ, ასეა ხომ? - გვერდით გაჩერდა და მკითხა.

- გადავაგდე, - დავუდასტურე.

- რა გადააგდეთ?

- ლითონის მრგვალი საგნები. ცარიელი. ცალი მხრიდან გახვრეტილი.

პოლიციელი, ეტყობა, ცოტათი შეცბა.

- რატომ გადააგდეთ?

- ისე. უკვე თორმეტი წელიწადია მოვდივარ აქ და ვყრი. ხანდახან ბევრს ერთად. აქამდე არავის გამოუთქვამს პროტესტი.

- ეგ ადრე იყო. ახლა აქ მუნიციპალური ტერიტორიაა. ნაგვის გადაყრა მუნიციპალურ ტერიტორიაზე აკრძალულია.

ერთხანს შევიცადე. რაღაც ამიცახცახდა შიგნით სულ ერთი წამით, მაგრამ მაშინვე ჩამიყუჩდა.

- მთელი პრობლემა ის არის, - ვუთხარი პოლიციელს, - რომ თქვენს სიტყვებში მართლაც არის რაღაც აზრი.

- ასე წერია კანონში, - თქვა პოლიციელმა.

ამოვიოხრე და ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე.

- და რა უნდა ვქნა ახლა?

- ხომ არ მოგთხოვთ, რომ იქ, შამბნარში ჩახვიდეთ და მოძებნოთ. უკვე ბნელა, წვიმასაც აპირებს... ამიტომ სხვა დროს აღარ გადააგდოთ!

- მეტს აღარ ვიზამ, - შევპირდი, - ღამე მშვიდობისა.

- ღამე მშვიდობისა, - თქვა პოლიციელმა და ბინდბუნდში გაუჩინარდა.

ბეტონზე დავწექი, მოვიკუნტე და ცას მივაშტერდი. როგორც აღნიშნა მეთვალყურე პოლიციამ, წამოწინწკლა. სიგარეტს მოვუკიდე და პოლიციელთან დიალოგი გონებაში თავიდან დავატრიალე. მომეჩვენა, რომ ათი წლის წინათ უფრო გამომწვევად მოვიქცეოდი... თუმცა არა, ალბათ მომეჩვენა. ასეა თუ ისე, რა განსხვავებაა.

როცა მდინარესთან დაბრუნებულმა ტაქსი გავაჩერე, წვიმა სქელი ნისლივით ეკიდა ჰაერში.

- სასტუმროში! - ვუთხარი შოფერს.

- მოგზაურობთ? - დაინტერესდა.

- აჰა...

- აქ პირველად ხართ?

- მეორედ, - არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე.



გაგრძელება
შემდეგ ნომერში

# პარიზის ავტოშოუს სიახლეები

მერაბ ლორთქიფანიძე




## ფორდ იოსის X

უკვე ერთი წელია, "ფორდის ევროპული დიზაინ-სტუდია ამუშავებს ახალ კორპორატიულ სტილს სახელად "კინეტიკური დიზაინი", რომელიც ნაწილობრივ უკვე აისახება კომპანიის ზოგიერთ ევროპულ მოდელზე. პარიზის ავტოშოუზე "ფორდმა" წარადგინა კონცეპტუალური მოდელი "იოსის X", რომლის გარეგნობაც ფაქტობრივად, "კინეტიკური დიზაინის" ახალი ინტერპრეტაციაა.

"იოსის X-ის", დიზაინი უსიტყვოდ გვეუბნება, რომ ის წარმოებისთვის არაა განკუთვნილი და კონვეიერზე არც შორეულ მომავალში მოხვდება. სამაგიეროდ, მისი მეშვეობით, "ფორდის" სტილისტები გამოიკვლევენ იმ იდეებს, რომლებიც მეტნაკლებად აისახება "ფორდის" მომავლის მოდელებში.

"ფორდის" ევროპული შტოს დიზაინერებმა, რომლებსაც სათავეში მარტინ სმიტი უდგას, "კინეტიკური დიზაინი" საზოგადოების განსასჯელად პირველად ფრანკფურტის შარშანდელ ავტოსალონზე წარადგინეს. მაშინაც მათი ექსპონატი კონცეპტუალური მოდელი "იოსისი" იყო. იმ ავტომობილის ზოგიერთმა ელემენტმა უკვე ჰპოვა ასახვა მინივენ S-მაქსზე მეორე თაობის "ფოკუსსა" და ახალ "ფიესტაში". ახალი "იოსის X" კი იმის ნიშანია, რომ "კინეტიკური დიზაინი" ერთ ადგილს არ ტკეპნის და რომ მომავლის მოდელებში კიდევ ბევრი სიახლე გამოჩნდება.

ახალი "კინეტიკური დიზაინის" მთავარი დამახასიეთებელი თვისება დეტალების ტრაპეციოიდული მოყვანილობა და ეგრეთ წოდებული სამგანზომილებიანი ფორმებია რომლებიც ამ დეტალებს მკვეთრად გამოარჩევს დიზაინის სხვა ელემენტებისგან. ტრაპეციის მოყვანილობით გამოირჩევა რადიატორი, რომელიც ოთხ ნაწილადაა დაყოფილი. ერთი, ყველაზე დიდი, საკუთრივ რადიატორის ფუნქციას ასრულებს. მის ქვემოთ სანომრე პანელია, აქეთ-იქით კი - მუხრუჭების ჰაერამღები ორი "ლაყუჩი". ტრაპეციული მოყვანილობა გააჩნია წინა და უკანა საქარე მინებსაც.

ინტერიერშიც ტრაპეციის ფორმები დომინირებს. აქ პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს უზარმაზარი შუა კონსოლი, რომელიც ასევე ტრაპეციული ფორმის დეტალებითაა გაჯერებული. მოკლედ, თავისუფლად შეიძლებოდა, ამ ახალი სტილისთვის კინეტიკური კი არა, ტრაპეციული დიზაინი გვეწოდებინა.

სხვათაშორის, შუა კონსოლი ინტერიერს ფაქტობრივად, ორ ნაწილად ჰყოფს. ის წინა პანელიდან, წინა სავარძლების საფუძვლებამდე დაბლდება, თუმცა მერე კვლავ მაღლდება და უკანა სავარძლების უკან, თითქმის ჭერამდე ადის.

რაც შეეხება ავტომობილის სახელწოდებაში გამოყენებულ ასო X-ს, მარტინის თქმით, ეს მხოლოდ იმისთვისაა, რომ ყველა მიხვდეს - ეს ავტომობილი უგზოობისთვისაა განკუთვნილი.

დაბოლოს, ბუნებრივი კითხვა, რომელიც ამ ავტომობილის მნახველს შეიძლება დაებადოს - შესაძლებელია, თუ არა, რომ "იოსის X-ის" მსგავსი ავტომობილი საერთო სარგებლობის გზებზე გამოჩნდეს?

პარიზში "ფორდის" კულუარებში ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ დაახლოებით 18 თვის შემდეგ კომპანიის სამოდელო გამაში ახალი, ხუთკარიანი სპორტული ქროსოვერი გამოჩნდება. ჰოდა, არაა გამორიცხული, რომ 2008 წლის დასაწყისში ფორდის სადილერო პუნქტები მიიღებენ ახალ ავტომობილს, რომელიც სწორედ "იოსის X-ს" გაგვახსენებს.

## ფორდ მონდეო

ერთ-ერთი იმ ავტომობილთაგანი, რომელზეც "ფორდის" დიზაინერებმა "კინეტიკური დიზაინის" პირველი ვარიანტის ელემენტები გამოიყენეს, არის ახალი "მონდეო", რომლის წინასერიული ვარიანტი კომპანიამ პარიზში გამოფინა.

"ფორდის" პარიზულ პავილიონში მდგარი, უნივერსალისძარიანი "მონდეო" მნახველს ისეთი ექსტრავაგანტური დეტალებით იზიდავდა, რომლებსაც სერიულ ავტომობილზე არ გამოიყენებენ. პირველ რიგში, ასეთ დეტალებს განეკუთვნება შუქ-დიოდური წინა და უკანა მაშუქები, რომლებსაც სიძვირის გამო, "ფორდი" სერიულ მოდელზე დააყენებს.

გარდა ამისა, აუცილებლად შეიცვლება წინა ბამპერში ამოჭრილ ჰაერამღებთა მოყვანილობა, რომელიც სამკუთხა ფორმის ნაცვლად, სერიულ ვერსიაზე ამობრუნებული ტრაპეციის ფორმას მიიღებს (როგორც მინივენ S-მაქსზეა). ამას ადასტურებს პაპარაცების მიერ მოპოვებული ფოტოები, რომლებზეც ტესტირების სტადიაში მყოფი "მონდეოა" გამოსახული. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საერთო სარგებლობის გზებზე ტესტირებისას, კომპანიები ისე აფორმებენ თვიანთ სიახლეებს, რომ მათში მნახველმა ვერ იცნოს მომავალი დებიუტანტი.

ახალი "მონდეო" წინამორბედებთან შედარებით, უფრო დიდიც იქნება და კომფორტულიც. ამასთან, ბევრ დეტალსა და აგრეგატს მას "S-მაქსი" და "გალაქსი" გაუზიარებენ. ამ ავტომობილის წარმოების ორგანიზებისთვის და ბელგიის ქალაქ გენკში მდებარე ქარხნის (რომელიც მას გამოუშვებს) მოდერნიზაციისთვის, "ფორდმა" 715 მილიონი ევროს ინვესტირება გაიღო.

"ფორდის" ევროპული შტოს პრეზიდენტი და მთავარი აღმასრულებელი ჯონ ფლემინგი ბაზარზე ახალი "მონდეოს" გამოჩენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. "ჩვენი ევროპული ბიზნესისთვის "მონდეოს" დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ეს ავტომობილი ყოველთვის "დიდი მოთამაშე" იყო ევროპის CD სეგმენტში, სადაც მას დაახლოებით 4 მილიონი პოტენციური მყიდველი ელის და ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ მათი ყურადღების მისაქცევად მაქსიმალურად არ გამოვავლინოთ ჩვენი შესაძლებლობანი", - ამბობს ფლემინგი.

ბუნებრივია, ამერიკული კომპანია მყიდველს ძრავების ფართო სპექტრს შესთავაზებს. მათგან ყველაზე გამორჩეულებია "დურატორკის" სერიის 2.0-ლიტრიანი TDCi დიზელი და შესანიშნავი მახასიათებლების მქონე, 2.5-ლიტრიანი, ტურბოკომპრსორით აღჭურვილი, "დურატეკის" სერიის ბენზინის ძრავი, რომელიც "S-მაქსზე" გამოყენებული ანალოგიური აგრეგატის მოდერნიზებული ვარიანტია. გარდა ამისა, "მონდეოს" საბაზო მოდიფიკაციები აღიჭურვება 1.6-ლიტრიანი "დურატეკის" (ბენზინი) და 1.8-ლიტრიანი "დურატორკის" (დიზელი) ძრავებით.

პარიზში "ცისფერმა ოვალმა" ახალი "მონდეოს" შესახებ მხოლოდ ეს მცირე ტექნიკური ინფორმაცია გაავრცელა. სამაგიეროდ, პირობა დადო, რომ მის გაყიდვებს მერმის, გაზაფხულზე დაიწყებს.


შევროლე WTCC ულტრა

## შევროლე WTCC ულტრა

პარიზში "შევროლეს" სტენდის სუპერვარსკვლავის როლი შეასრულა რბოლებისთვის (ტურიზმის კლასი) განკუთვნილმა ავტომობილმა სახელად "WTCC ულტრა". ამ სახელის აბრევიატურა ასე იშიფრება - უორლდ ტურინგ ქარ ჩემპიონშიპ (ტურიზმის კლასის მსოფლიო ჩემპიონატი).

პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ეს ავტომობილი არის "ჯენერალ მოტორსის" მთელ მსოფლიოში გაბნეულ განყოფილებათა თანამშრომლობის პროდუქტი. მისი დიზაინი შეიმუშავა კომპანიის ავსტრალიელმა დიზაინერმა, 25 წლის ევან კინგსბერიმ, "ულტრას" პროტოტიპი იაპონიაში დაამზადეს, ძრავი კი კორეელმა სპეციალისტებმა შექმნეს და ევროპელებმა (გერმანელებმა, შვეიცარიელებმა და ბრიტანელებმა) სრულყვეს.

ავტომობილი აღჭურვილია ორლიტრიანი ტურბოდიზელით, რომლის საბაზო ვარიანტი გამოიყენება მოდელების, "ეპიკასა" და "კაპტივას" ევროპულ ვარიანტებზე. კორეელმა (ყოფილი "დეუს") კონსტრუქტორებმა ამ აგრეგატის სიმძლავრე 190 ცხენის ძალამდე გაზარდეს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამ ძრავის მეშვეობით, "ულტრას" დინამიკური მაჩვენებლები არაფრით ჩამოუვარდება ამავე ლიტრაჟის მქონე, ბენზინზე მომუშავე ძრავებით აღჭურვილ ანალოგებს.

ავტომობილი უხეში, აგრესიული გარეგნობით გამოირჩევა. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს მისი აეროდინამიკური პაკეტი - ელერონები, ფრთები, გამობურცული საბორბლე თაღები, დიდი ზომის წინა სამუხრუჭე ჰაერამღებები, უკანა დიფუზორი და სხვა დეტალები. სპორტულ ყაიდაზეა გაწყობილი "ულტრას" ინტერიერიც, სადაც მძღოლს (სალონში არ არის მგზავრებისთვის განკუთვნილი სავარძლები) ფოლადის მილების კარკასით გაძლიერებული კოკპიტი, ვიწრო, სპორტული სავარძელი და სარბოლი საჭის "რგოლი" დახვდება. კოკპიტში სპორტულად ასკეტური გარემოა შექმნილი - ყველაფერი პილოტის უსაფრთხოებას და ავტომობილის მართვის გაადვილებას ემსახურება.

გარდა იმისა, რომ "WTCC ულტრა" რბოლებისთვის განკუთვნილი ავტომობილია, ის იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მალე, "შევროლეს" ევროპული შტოს ავტომობილები სპორტულ, "ექსტრემალურ" გარეგნობას მიიღებენ.

პარიზში ნაჩვენები "WTCC ულტრა" სრულფასოვანი, მოძრავი პროტოტიპია, თუმცა "გენერლები" ჯერჯერობით არაფერს ამბობენ იმაზე, დაიწყებენ თუ არა მის სერიულ წარმოებას.

ფორდ იოსის X



ფორდ მონდეო





# ნობელის პრემიები ამერიკელ მეცნიერებს გადაეცემა

მერაბ ლორთქიფანიძე

*ტრადიციისამებრ, მეცნიერების სამყაროში, ოქტომბრის პირველი კვირა არის ნობელის პრემიის ლაურეატების გამოცხადების პერიოდი. ლაურეატები სახელდებიან ფიზიოლოგიასა და მედიცინაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ლიტერატურაში, ეკონომიკასა (1968 წლიდან) მშვიდობის დაცვის საქმეში.*

*ლაურეატთა დასახელებამდე, ნობელის პრემიის კომიტეტები საიდუმლოდ ინახავენ არამხოლოდ გამარჯვებულთა ვინაობას, არამედ იმ ინფორმაციასაც, თუ რამდენი მეცნიერი იყო წარდგენილი პრემიაზე, ვინ წარადგინა ისინი და რა ნაშრომისთვის არიან წარდგენილნი.*

*ნობელის პრემიის მოცულობა ამჯერადაც, შარშანდელივით 10 მილიონი შვედური კრონაა (დაახლოებით 1.37 აშშ დოლარი). ამ თანხას, ლაურეატ(ებ)ი ალფრედ ნობელის სიკვდილის დღეს, 10 დეკემბერს ღებულობენ თვით შვედეთის მეფე კარლ XVI გუსტავისგან. ფულად ჯილდოსთან ერთად, პრემიის მფლობელებს გადაეცემათ ოქროს მონეტა, რომელზეც ნობელის ბარელიეფია გამოსახული და სპეციალური დიპლომი.*

*აღსანიშნავია, რომ წელს სამივე სამეცნიერო დარგში ნობელის პრემია ამერიკელ მეცნიერებს გადაეცემათ.*



*ენდრიუ ფაიერი (მარცხნივ) და კრეიგ მელო*



*როჯერ კორნბერგი*



*ჯონ მეითერი*



*ჯორჯ სმუტი*

## ფიზიოლოგია და მედიცინა

ფიზიოლოგიასა და მედიცინაში პრემიის მფლობელები გახდნენ ამერიკელი მეცნიერები - ენდრიუ ფაიერი და კრეიგ მელო. მათ ესოდენ დიდი აღიარება დაიმსახურეს ეგრეთ წოდებული "გენების გაჩუმების" პროცესის აღწერისათვის. ამ ორმა მეცნიერმა დაადგინა მექანიზმი, რომლის დროსაც გენი შეიძლება გამოირთოს და ფუნქცია დაკარგოს. ამ აღმოჩენის წყალობით, მეცნიერებს ისეთ დაავადებათა შესწავლის საშუალება მიეცათ, როგორებიცა კიბო, სიბრმავე და შიდსი.

ფაიერი 47 წლისაა, მელო კი - 45 წლის. თანამედროვე მეცნიერების ისტორიაში, ისინი არიან ნობელის პრემიის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელები. მათ თავიანთი ნაშრომი 1998 წელს გამოაქვეყნეს და უმალ მოიპოვეს აღიარება სამეცნიერო წრეებში.

ჭიებზე დაკვირვებისას, ფაიერმა და მელომ აღმოაჩინეს, რომ რიბონუკლეინის მჟავას (რნმ) მოლეკულების მეშვეობით, ეგრეთ წოდებული რნმ-ს ინტერფერენციით, შესაძლებელია ნებისმიერი გენის გათიშვა. აღმოჩენა მალე აიტაცეს ფარმაცევტულმა და ბიოტექნოლოგიურმა კომპანიებმა, რომლებმაც სასწრაფოდ დაიწყეს ახალი ტიპის წამლების და სამკურნალო პროცედურების შემუშავება.

"ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ გარკვეული ზემოქმედების შედეგად, გენები შეიძლება გაითიშოს. თავიდან გვაინტერესებდა გენების დანიშნულების შესწავლა. რა თქმა უნდა, თავად გენი არაფერს გეტყვით იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება აქვს. მაგრამ თუ მას გათიშავთ, დაკვირვების საშუალებით, შეიძლება გაარკვიოთ მისი დანიშნულება. ჩვენ ჯერ გენის გათიშვის მეთოდები გამოვიკვლიეთ", - როიტერთან საუბარში განაცხადა ფაიერმა.

ნობელის პრემიის ლაურეატმა, შტატ მასაჩუსეტსის უაიტჰედის ბიოსამედიცინო კვლევის ინსტიტუტის პროფესორმა ფილიპ შარპმა, გენის გათიშვის მეთოდით შეძლო ადამიანის იმუნოდეფიციტის გამომწვევი ვირუსის მოკვლა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მალე შესაძლებელი იქნება შიდს-ის განკურნებაც.

როგორც წესი, მეცნიერები ნობელის პრემიას ნაშრომის გამოქვეყნებიდან ათეული წლების შემდეგ ღებულობენ, მაგრამ ხანდახან გამონაკლისებსაც აქვს ადგილი. ეს მაშინ ხდება, როცა ნაშრომს ფუნდამენტური მნიშვნელობა ენიჭება.

მაგალითად, 1962 წელს მედიცინასა და ფიზიოლოგიაში ნობელის პრემია გადაეცათ ჯეიმს უოტსონსა და ფრენსის კრიკს, რომლებმაც მანამდე ცხრა წლით ადრე აღმოაჩინეს დეოქსირიბონუკლეინის (დნმ) მჟავის - ცოცხალი ორგანიზმების სამშენებლო ბლოკის სტრუქტურა.

მელოს თქმით, ის ეჭვობდა, რომ მისი და ფაიერის ნაშრომი ოდესმე ნობელის პრემიას მოაპოვებინებდა, მაგრამ ოცნებაც კი არ შეეძლო იმაზე, რომ ეს ასე მალე მოხდებოდა. ის მასაჩუსეტსის სამედიცინო სკოლაში მოლეკულური მედიცინის დარგში პროფესორია და ჰარვარდის დოქტორის წოდებასაც ფლობს. რაც შეეხება ფაიერს, ის სტენფორდის საუნივერსიტეტო სამედიცინო სკოლაში პათოლოგიისა და გენეტიის კათედრის პროფესორია.

მასაჩუსეტსის სკოლის განცხადებით, რნმ-ს ინტერფერენციის ლიცენზიის გამოყენების უფლება შეძენილი აქვთ ისეთ ფარმაცევტულ გიგანტებს, როგორებიცაა "ნოვარტისი", "ბრისტოლმიერს სკვიბი", "მონსანტო", "გლაქსო სმიტკლაინი" და "პფიცერი".

## ფიზიკა

ფიზკაშიც ნობელის პრემიის მფლობელები ამერიკელი მეცნიერები გახდნენ. მეცნიერების უმაღლეს ჯილდოს დაეუფლებიან ჯორჯ სმუტი და ჯონ მეითერი, რომლებმაც კოსმოსური რადიაციის შესწავლისას, დაადგინეს სამყაროს ასაკი და გაამყარეს "დიდი აფეთქების" თეორია, რომელმაც, მეცნიერთა აზრით, დასაბამი დაუდო სამყაროს შექმნას.

შვედეთის მეცნიერებათა სამეფო აკადემიის განცხადებით, სმუტს და მეითერს პრემია ენიჭებათ ნაშრომისთვის, რომელიც "მეცნიერებს სამყაროს განვითარების პროცესის შემეცნებასა და კოსმოსის, ვარკვლავებისა და გალაქტიკების წარმოქმნის პროცესის ახსნაში ეშველება". სხვათაშორის, სმუტს და მეითერს ნაშრომის შექმნაში დაეხმარა NASA-ს მიერ 1989 წელს გაშვებული კოსმოსის კვლევის თანამგზავრი. მათმა გამოკვლევამ კიდევ ერთხელ გაამყარა "დიდი აფეთქების" თეორია, რომლის მიხედვითაც, სამყარო პატარა წერტილოვანი სხეულისგან წარმოიქმნა, რომელიც დაახლოებით 15 მილიარდი წლის წინ აფეთქდა და თანამედროვე სამყაროს დაუდო დასაბამი.

სმუტმა და მეითერმა თავიანთი ნაშრომი 1992 წელს გამოაქვეყნეს. მისი წაკითხვის შემდეგ, სახელგანთქმულმა კოსმოლოგისტმა სტივენ ჰოკინმა ნაშრომს "ყველა დროის თუ არა, საუკუნის უდიდესი აღმოჩენა" უწოდა. მეითერმა განაცხადა, რომ ნაშრომში მისა და სმუტის გარდა, ღვაწლი მიუძღვის 1500-კაციან კვლევით ჯგუფს.

მეითერი 60 წლისაა და ის კოორდინაციას უწევს NASA-ს პროგრამა COBE-ს რომელიც ხელოვნური თანამგზავრების საშუალებით, კოსმოსურ სივრცეს იკვლევს. 61 წლის სმუტი ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორია და მისი სპეციალობაა დაბალი ტემპერატურების პირობებში რადაციის მოქმედების შესწავლა.

სმუტმა და მეითერმა აღმოაჩინეს, რომ კოსმოსურ სივრცეში ვრცელდება მიკროტალღოვანი ჭავლები, რომელთა საშუალებითაც, სივრცეში გაბნეული მატერია ერთად იყრის თავს. ამის შემდეგ, დანარჩენ საქმეს გრავიტაცია აკეთებს - წარმოქმნილი ბირთვი კოსმოსურ მტვერსა და ნამსხვრევებს იზიდავს, რისი საშუალებითაც წარმოიქმნება კოსმოსური სხეულები, მათ შორის, ვარსკვლავები და პლანეტები.

## ქიმია

ქიმიაში ნობელის პრემიით დაჯილდოვდა ამერიკელი მეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატის შვილი როჯერ კორნბერგი. მას დაუფასდა ნაშრომი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ახერხებენ უჯრედები გენეტიკური ინფორმაციის კოპირებას. როჯერის მამამ, არტურ კორნბერგმა ნობელის პრემია მედიცინის დარგში 47 წლის წინ, გენებზე გამოქვეყნებული ნაშრომისთვის მიიღო.

უმცროსმა ნობელიანტმა კორნბერგმა შეძლო დაედგინა, თუ როგორ ახერხებს რიბონუკლეინის მჟავა (რნმ) გარკვეული გენური ინფორმაციის მთელ სხეულში გადატანას. ნობელის კომიტეტის დასკვნით, ნაშრომს "ფუნტამენტური მნიშვნელობა აქვს მედიცინაში". ამერიკელი მეცნიერის კვლევაში აღწერილია, თუ როგორ ხდება რნმ-ის მიერ დნმ-ში (დეოქსირიბონუკლეინის მჟავა) დაცული გენეტიკური ინფორმაციის წაკითხვა და გარკვეული პროტეინების საშუალებით, მისი უჯრედებს შორის გადაცემა.

როჯერი 12 წლის იყო როცა მამამისმა ნობელის პრემია მოიპოვა (1959 წელს) დნმ-ს მოლეკულებს შორის გენეტიკური ინფორმაციის მექანიზმის შესწავლისათვის. მამის დაჯილდოების ცერემონიას სტოკჰოლმში უმცროსი კორნბერგიც დასწრებია, თუმცა ის ახლა ამბობს, რომ მამის გამო არ აურჩევია თავისი პროფესია და მუშაობის მიმართულება.

"რაც თავი მახსოვს, ყოველთვის გარკვეული დოზით მაინტერესებდა მეცნიერება. რა თქმა უნდა, ეს მეტწილად მამაჩემის დამსახურებაა, მაგრამ მას ჩემს არჩევანზე გავლენა არ მოუხდენია. უბრალოდ, მაშინ სულ სხვა დრო იყო, სულ სხვა მსოფლიო და სხვა ცხოვრება", - ამბობს როჯერ კორნბერგი.

ცნობისათვის, ნობელის პრემიის ისტორიაში, ეს სულ მეექვსე შემთხვევაა, როცა მამა და შვილი ნობელის პრემიის ლაურეატები ხდებიან. არტურ კორნბერგის კიდევ ერთი შვილი, ტომას კორნბერგი სან ფრანცისკოში მდებარე, კალიფორნიის უნივერსიტეტში გამოყენებითი ბიოლოგიის კათედრის მკვლევარია. სხვათაშორის, უფროსი კორნბერგი ჯერაც მოღვაწეობს.

შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემიის განცხადებაში ნათქვამია, რომ როჯერ კორნბერგის მიერ აღწერილი გენების კოპირების მექანიზმი მთავარ როლს ასრულებს სიცოცხლის განვითარებაში. "ეს ბიოლოგიური მანქანის მთავარი მექანიზმია, ურომლისოდაც სულიერი არსების დაბადება შეუძლებელი იქნებოდა. ეს მექანიზმი მოულოდნელად რომ გაჩერდეს, მაშინ ყველა ცოცხალი არსება განადგურდება", - ამბობს შვედეთის სამეფო აკადემიასთან არსებული, ქიმიის დარგში ნობელის პრემიის კომიტეტის წევრი პერ ალბერგი და დასძენს, რომ კიბო და გულის დაავადება სწორედ ამ მექანიზმის დარღვევის შედეგია.

"გენეტიკური ინფორმაციის გადაცემის პროცესის შესწავლა საშუალებას იძლევა, აიხსნას, თუ რატომ გარდაიქმნება ღეროვანი უჯრედი ნერვად, კუჭის ან კუნთის უჯრედად. და თუ მეცნიერები მიაგნებენ სპეციფიკურ კოდებს, რომლებიც ღეროვან უჯრედს კონკრეტული ორგანოს უჯრედად გარდაქმნის, მაშინ შესაძლებელი გახდება ნებისმიერი სირთულის დაავადების მკურნალობა", - ნათქვამია აკადემიის განმარტებაში.

## კლუბები/რესტორნები/ბარები

დღეს

**DJ Ambrosian** /კალიფორნიიდან/; **ბილეთის ფასი:** 15 ლარი; **22.10.06- აზიური საღამო** /ცოცხალი მუსიკა/;**დასაწყისი:** 23:00.

**ბარი იხსნება: 17:00. ყოველ დღე: 23:00** ახალი DJ და დისკოთეკა. **მიმტანები: -** ქართველი და უცხოელი მოდელები. **მუდმივად** ეკრანზე **ფეშენ TV; 18/19/20.10.06-** მოდის ისტორიკოსის, თეატრისა და ოპერის მხატვრის **ალექსანდრე ვასილევის 3 მასტერკლასი. ფასი:** 60 ლარი **(ერთი მასტერკლასი).** დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელეფონით.

**რუსთაველის გამზირი 18;**
**ტ.: 92 22 88 (მობ.: 877 74 71 70; +995 93 27 47 57);**
ავტოსადგომი უფასოა.

დღეს

**დავით გომართელი**; ბილეთის **ფასი:** 30 ლარი; **დასაწყისი: 22:00;**

**ბიზნესლანჩი: 11:00-დან 18:00-მდე** ორშაბათი-ხუთშაბათი. **პარასკევი/შაბათი/კვირა: 22:00** ცოცხალი მუსიკა; ქართული ესტრადის ვარსკვლავები და მოწვეული სტუმრები; ლათინოფართი. **დისკოთეკა: 24:00** დიჯეი დაჩი;

**მეტეხის 22;**
**ტ.: 77 13 68;**
**მობ.: 877 75 44 00**

**იხსნება: 16:00; ბიზნესლანჩი: 12:00-დან 15:00-მდე. ყოველ დღე: 23:00-დან 03:00-მდე** ცოცხალი მუსიკა **- ვლად არამოვი და მისი ჯგუფი;** შაბათობით: **ლათინოფართი მაესტრო მორისთან ერთად**(განახლებული პროგრამა), **დასაწყისი:** 22:00; მუდმივი კლიენტებისათვის ფასდაკლება. შესაძლებელია წინასწარი შეკვეთები კერძო წვეულებებისათვის.

დარბაზი გათვალისწინებულია 80 სტუმარზე.
**ახვლედიანის 13.**
**ტ.: 92 00 45**

**იხსნება:** 20:00; **21 წლამდე** ახალგაზრდების **შესვლა** სასტიკად აკრძალულია**; ბილეთის ღირებულება:** 25 ლარი (ბიჭი) 15 ლარი (გოგო); **მკაცრი "ფეისკონტროლი"; მენიუ:** ქლაბ სენდვიჩი, ხაჭაპური, სალათები, ჩირი, თხილი, ხილის ასორტი; კლუბი **1000-მდე** სტუმარს იტევს. აქვს **300 დასაჯდომი** ადგილი და **10 VIP მაგიდა. შესაძლებელია** მაგიდების წინასწარ დაჯავშნა; ფუნქციონირებს **2 ბარი; გამოირჩევა** თანამედროვე ევროპული დიზაინით და ტექნიკურად უნაკლოდაა აღჭურვილი. აქვს საქართველოში ერთადერთი **ლაზერული განათება;**
**წინა ნომერში გამოქვეყნებულ ანონსში ცვლილებებია, რისთვისაც გიხდით ბოდიშს.**

**მტკვრის მარცხენა სანაპირო / ბარათაშვილის ხიდი /; ტ.: 92 30 16;** საკუთარი ავტოსადგომი.

**ნატა ჟანჟერიძე**
**სტუდია "ROOM'S"-ის დიზაინერი**

**ღიაა:** 09:00-დან 22:00-მდე **/ყოველდღე/;** საუკეთესო **რესტორანი და ლუდსახარში "თაღლაურა"** გაგიმასპინძლდებათ უგემრიელესი კერძებით, **ლუდითა და ბურახით!** მტკვრის ნაპირას, უჩვეულო ადგილას, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან "ინტერიერში" გემოვნებით ჩასმული ეგზოტიკური გარემო, ერთმანეთში არეულ-შერწყმული ქალაქურ-სოფლური დიზაინით, სილაღეს გაგრძნობინებთ და საქეიფოდ განგაწყობთ. მობრძანდით, გელით!

**მტკვრის მარჯვენა სანაპირო /ვახუშტის ხიდის მიმდ. ტერიტორია/;**

**გახსნილია:** 24 საათი; **ცოცხალი მუსიკა:** 19:30-დან 23:30-მდე; **სადღესასწაულო დღეებში სპეციალური პროგრამა;** თუ გიყვართ **უკრაინული ნაციონალური კერძები,** ან მრავალი მოგონება გაკავშირებთ ქალაქ კიევთან, **გვესტუმრეთ მეგობრებთან ერთად,** გაიხსენეთ წარსული, კვლავ ახალგაზრდად იგრძენით თავი და **ძველებურად მოილხინეთ.**

უკრაინული კერძების ფართო არჩევანი, განთქმული უკრაინული "ბორშჩი", "სბორნაია სალიანკა," "კატლეტი კიევურად," საუკეთესო **ქართული ღვინოები** და მხოლოდ **უკრაინული წიწაკისა და ხორბლის არყები** და რა თქმა უნდა, სახელგანთქმული **"ტორტი კიევურად"** ჭეშმარიტად კიევში გაგრძნობინებთ თავს. სლავური მუსიკისა და **თანამედროვე** რუსული და უკრაინული **ესტრადის ჰიტები** კი მოწყენის საშუალებას არ მოგცემთ და ზეაწეული განწყობა შეუძლებელს შეგაძლებინებთ. გვერწმუნეთ, რესტორანი **"კიევი" საუკეთესო ადგილია** თქვენთვის სასურველი **წვეულების მოსაწყობად.** იტევს 70 კაცს. შესაძლებელია მაგიდების წინასწარ დაჯავშნა.

**ვაჟა-ფშაველას 6;**
**ტ.: 38 76 46.**

**ღიაა:** 11:00-დან 23:00-მდე **/ღვინის მაღაზია/; იხსნება:** 13:00 **/რესტორანი, ბარი/;**

**ღვინის მაღაზია, რესტორანი, ბარი** გთავაზობთ **12 ქარხნის** წარმოებულ **საუკეთესო ღვინოებს, არაყსა და სხვა ბრენდებს.** მსურველებს აქვე შეუძლიათ **უფასოდ დააჭაშნიკონ** გაყიდვაში არსებული ნებისმიერი სასმელი, **შეარჩიონ** და შეიძინონ სასურველი ღვინო ან სხვა პროდუქცია **უფრო იაფად,** ვიდრე მაღაზიაში. **მიიღონ** პროფესიონალი მეღვინეებისგან მათთვის საინტერესო **კვალიფიციური რჩევები.** გაეცნონ ღვინისა და ვაზის ისტორიას და გააცნონ ის უცხოელ სტუმრებს. **დაესწრონ** კლასიკური (ფრანგული) **შამპანიზაციის პროცესს** და თავი ჭეშმარიტად ღვინის სამყაროში იგრძნონ. აქვე გაუწიონ სტუმრებს სასურველი მასპინძლობა. ვაზისა და ღვინის თემატიკით გაჯერებულ ინტერიერში, ცოცხალი მუსიკის ფონზე **მიირთვან** საუკეთესო ქართული და ევროპული კერძები, რომელთა უმრავლესობა ღვინოშია მომზადებული. **აგრეთვე,** შეიძინონ წვეულებებისთვის მაღალი ხარისხის ჩამოსასხმელი ღვინოები: ევროპულად დამზადებული **რქაწითელი** - 2,5 ლარად (1 ლიტრი), **ჩინური თეთრი** - 3 ლარად, **პინო წითელი** - 5 ლარად, **საფერავი** - 10 ლარად და ფრანგული ტექნოლოგიით დამზადებული **შამპანური "კიუვე მარგო"** სამწლიანი დაძველებით - 25 ლარად. რესტორანი და ბარი მუშაობს ბოლო სტუმრის გაცილებამდე.

**ლაღიძის 2 /ოპერასთან/;**
**ტ.: 98 95 84.**

**ღიაა:** 09:00-დან 24:00-მდე **/ყოველდღე/; ახალი კაფე** ყაზბეგზე. სადა და მყუდრო, წინ პატარა ტერასით. მრავალფეროვანი, **შერეული მენიუ** (წვნიანით დაწყებული,-დესერტით დამთავრებული) თქვენს ნებისმიერ მოთხოვნას დააკმაყოფილებს. აქ ზოგი **საფირმო პიცას** - "კანაპეს" **დასაგემოვნებლად მოდის** (7 პატარა მრგვალი პიცა ყველის, ლორისა და პიტნისაგან), ზოგი ბეკონის, ქათმისა და სოკოს **ტოსტებზე გიჟდება.** არც აქაურ **ხაჭაპურსა და ლობიანს ლორით** ელევა მსურველი.

ქათმის ფილე ბეკონით და ხბოს ხორცი სულგუნით ფიქრობთ არ მოგეწონებათ? აღარაფერს ვამბობთ **"ტირამიცუ"-**ზე და **"TIRAMISU WITH FRUITS"!** (რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ აქ არის და მალე ვაკეშიც იქნება) ცნობილი **იტალიური ყველით - მასკაპონე, რომით** გაჟღენთილი ბისკვიტით და **ნაღების კრემით.** ეს მხოლოდ ნამცხვარი არ არის, ეს კარგად გამომცხვარი იტალიური ხასიათია, რომელიც თანდათან თქვენში გადმოდის!

ყველაფერ ამასთან ერთად ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების ფართო არჩევანი **და დიდი მოულოდნელობა** - პატარა დახლი ბიჟუტერიის მოყვარულთათვის (**საკონტაქტო ტელეფონი:** 877 49 99 69).

ყაზბეგის 7, ტ.: 898 15 85 21;
აბაშიძის 14, ტ.: 23 14 53;

## მაღაზიები

გთავაზობთ: **BALIZZA, HERRY, SALVATINI, RCR, SAN&FA, SOCIETA და სხვა** ცნობილი ფირმების ქალის, მამაკაცისა და ბავშვის მაღალი ხარისხის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. **სპეციალური შეთავაზება: "MILA VITSA"-ს საუკეთესო თეთრეული** ქალბატონებისთვის.

**მთავარი სიახლე -** თქვენ **აღარ დაგჭირდებათ ფულის სამომავლოდ შეგროვება,** ახლა ყველაფერი რაც მოგეწონებათ **შეგიძლიათ შეიძინოთ განვადებით.** ამიტომ მობრძანდით ოჯახთან ერთად და თამამად გააკეთეთ თქვენი არჩევანი. **"სახალხო ბანკი"** გთავაზობთ უპრეცედენტო **სესხს 3 თვიდან 2 წლამდე განვადებით.** ამისათვის საჭიროა თქვენი ოჯახის **შემოსავალი** მინიმუმ **150 ლარი** იყოს. ხოლო **სტუდენტებს** მათი **VISA** ბარათებით შეეძლებათ ნებისმიერ შენაძენზე **ისარგებლონ 20%-იანი ფასდაკლებით.**

და ეს ყველაფერი არ არის! **"სტანდარტ ბანკის" VISA** ბარათის წარდგენის შემთხვევაში, **ქალბატონები** იყიდან ყველაფერს რაც უნდათ და გადაიხდიან **10%-ით ნაკლებს.**

**ღიაა: 11:00-დან 19:00-მდე,**
**კვირას: 12:00-დან 19:00-მდე;**
**ტ: 23 15 64;**
**ფალიაშვილის 58 (რიგის ქ. კუთხეში).**

## მაღაზია N52

თუ თქვენ **გემოვნებიანი მყიდველი ხართ,** შეიძინეთ **ახალი ჯინსები** ახალ **"კიდობანში."** ჩვენ გთავაზობთ ქალის ჯინსის შარვლების, ქვედაბოლოების, ქურთუკების, კაბებისა და სხვა აქსესუარების **საუკეთესო არჩევანს.**

უკვე გაქვთ ერთი? მეტი? განა შეიძლება **ჯინსი იყოს იმაზე მეტი, ვიდრე გინდა რომ გქონდეს?!** რამდენიც არ უნდა იყიდო, რა მოდელიც არ უნდა მოირგო, მაინც ნახავ რაღაც ისეთს, რაც არ გაქვს და რაც **აუცილებლად მოგინდება.** ჯინსები ბევრია, არჩევანი გაცილებით ნაკლები. და თუ გადაწყვიტე, რომ კიდევ ერთი ახალი ჯინსი გჭირდება, **დაიმახსოვრე!** შენ მას აუცილებლად აარჩევ ჩვენთან. ჩვენ გვაქვს **ის, რაც შენ სულ გინდა...** იყიდე ოცნება, **დაიკმაყოფილე სურვილი!**
**ღიაა:** 10:00-დან 18:00-მდე **/ყოველდღე/;**
**ყურადღება! მიღებულია ახალი კოლექცია.**

**ცაბაძის 8,** ახალი **"კიდობანი,"**
**მე-3 სართული, მაღაზია N52;**
**ტ.: 899 49 87 11.**

### პარფიუმერია / კოსმეტიკა

პარფიუმერიისა და კოსმეტიკის მაღაზიათა ქსელი **"ლუტეცია"** გთავაზობთ: **ANGELSCHLESSER, LALIQUE, ISADORA, FERAUD, ALLESANDRO, Aagent provocateur, MAT, MASAKI MATSUSHIMA, KALOO, J.DEL POZO, YVES ROCHER** და სხვა ფირმების **საუკეთესო ბრენდებს. სიახლე:** სუნამო ***Nina,*** ახალი მომაჯადოვებელი არომატი **Nina Ricci**-საგან.

ყვავილებისა და ხილის ცინცხალი არომატის, მომხიბვლელობის, ქალურობისა და თანამედროვეობის საუკეთესო ნაზავი. ცდუნების ძველთაძველი ისტორიის თემაზე შექმნილი თანამედროვე ზღაპარი, ვერცხლისფერ ფოთლებიან წითელი ვაშლის ფორმაში ჩაღვრილი. ნაცნობი შინაარსის არანაკლებ ნაცნობი ფორმა, რომელიც ყველაზე უკეთ გამოხატავს მის არსს. გზა ცდუნებიდან ვნებამდე ხომ ვაშლით დაიწყო?!
**ღიაა:** 11:00-დან 21:00-მდე **/ყოველდღე/;**

**LUTECIA გამსახურდიას 25, ტ.: 374479**
**LUTECIA აღმაშენებლის 110, ტ.: 954128**
**LUTECIA ახვლედიანის 23, ტ.: 999035**
**LUTECIA რუსთაველის 2/4, უნივერმაღი თბილისი, ტ.: 999982**
**LUTECIA ყაზბეგის 6, ტ.: 385672**
**FRENCH PERFUM SALOON გამსახურდიას 30, ტ.: 931412**
**YVES ROCHER რუსთაველის 2/4, უნივერმაღი თბილისი, ტ.: 990006**
**YVES ROCHER ჭავჭავაძის 10, ტ.: 222413**

ჩვენი არჩეONE-ის იმპრესარიო
მაია კაპანაძე
ინფორმაციისა და რეკლამის განსათავსებლად დარეკეთ:
☎ 899 95 57 67